# საერთო გაზეთი

№24 (616)
ოთხშაბათი
7 ივლისი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.

## ჩაშლილი „პრაიდ-პარადი“ და რუსთაველის გამზირიდან გატანილი ნაგავი






დარწმუნებული ვართ, 5 ივლისის შემდეგ ქართველი ხალხი სხვანაირი იქნება და ამიერიდან, არავითარ შემთხვევაში, არ წაუყრუებს მისი ქვეყნის მტრებს – არც შინაურებს, არც გარეულებს.

## 5 ივლისი ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი გარდატეხის თარიღია

### წასვლის ხელოვნება



სწორედ პოლიტიკიდან წასვლით დააშამათა ივანიშვილმა თავისი ყეყეჩი მეტოქეები, რომლებიც დღემდე ვერ მოსულან გონს და დღემდე ვერ მიმხვდარან, რა დაემართათ

### განაჩენი ნაცმოძრაობისთვის...



თქვე უჯიშოებო, პროვოკაციებს თქვენ უწყობთ ქართველ ხალხს და ირაკლი ღარიბაშვილი უნდა გადადგეს?

### საქართველო - კავკასიის ცენტრი



ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ საქართველო კავკასიის ცენტრი გახდეს

### სერგეი ესენინი, აისედორა დუნკანი, გიორგი გახარია და მიხეილ სააკაშვილი

### „მკითხველო, რას ფიქრობთ ჩემზე“

### საჯარო გაუპატიურება „მთავარში“ გიორგი გაბუნიასთან ერთად




ქართველი გმირი ქალი და ფსევდოლიბერალური ინსინუაციები

### ფილადელფიის ექსპერიმენტი, ანუ რა მოხდება ოთხ წელიწადში მსოფლიოში და საქართველოში?

### „მახსოვს, ძველი, დიდი ამერიკა“

### ყოვლისმცოდნე საზოგადოება, მე და მუდრეგი კოვიდ-19

## „საერთო გაზეთი“ - გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

## რედაქტორის სვეტი



### ვახტანგ ხარჩილავა:

— ძალადობა მიუღებელია!

— ძალადობა დაუშვებელია!

— ძალადობა გაუმართლებელია!

ორი დღეა მხოლოდ ეს სიტყვები ისმის გარშემო.

რა თქმა უნდა, ეს სწორია — ძალადობას არანაირი გამართლება არ აქვს, მაგრამ როცა ამას ვამბობთ, არც იმის თქმა უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძალადობა მარტოოდენ ფიზიკური ანგარიშსწორება არ არის, მას მრავალნაირი სახე და ფორმა აქვს, რომლებიც, ზოგჯერ, ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე უფრო სასტიკი და შემზარავია.

არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ 30 წელია ვიღაც-ვიღაცები ქართველ ხალხზე ძალადობენ, ამცირებენ, ღირსებას ულახავენ და თითქოს არაფერი.

არადა, ხალხზე ძალადობაც ისევე მიუღებელია, ისევე დაუშვებელია, ისევე გაუმართლებელია, როგორც ცალკეულ პერსონებზე.

5 ივლისს რაც მოხდა, ეს იყო ქართველი ხალხის პასუხი იმ ძალადობაზე, რაც 30 წელიწადია მის წინააღმდეგ ხორციელდება.

ამ პასუხში იყო ძალადობის ელემენტები, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ძალადობას შობს ძალადობა, ხოლო დამნაშავე, პირველყოვლისა, ისაა, ვინც ძალადობის პროვოცირებას ახდენს, ვინც მიზანმიმართულად ძალადობს ადამიანებზე, რომ წონასწორობიდან გამოიყვანოს და ძალადობისკენ უბიძგოს.

რვა წელია ქართველ ხალხს პროვოკაციას უწყობენ ე.წ. ლგბტ თემთან დაკავშირებული თემატიკით, ეს პროვოკაცია კი იმით დამთავრდა, რითაც უნდა დამთავრებულიყო.

ამ პროვოკაციის უკან მდგომმა ძალებმა ზუსტად იცოდნენ, რა რეაქცია ექნებოდა ქართველ ხალხს პრაიდის გამართვასთან დაკავშირებით, იცოდნენ და მაინც არ იხევდნენ უკან, რომ ქვეყანაში როგორმე დიდი არეულობა და დესტაბილიზაცია მომხდარიყო.

მათ გამოიწვიეს ქართველი ხალხი, თუმცა იმედოვნებდნენ, რომ ხალხი უკან დაიხევდა, მაგრამ საქართველომ მიიღო ეს გამოწვევა და პროვოკატორებს საკადრისი პასუხი გასცა.

5 ივლისს არა მარტო ლგბტ აქტივისტებს, არამედ ბევრ ვინმეს და ბევრ რამეს გაეცა პასუხი.

დარწმუნებული ვარ, 5 ივლისის შემდეგ ქართველი ხალხი სხვანაირი იქნება და ამიერიდან, არავითარ შემთხვევაში, არ წაუყრუებს მისი ქვეყნის მტრებს — არც შინაურებს, არც გარეულებს.

5 ივლისი ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი გარდატეხის თარიღია.

# ჩაშლილი „პრაიდ-პარადი“ და რუსთაველის გამზირიდან გატანილი ნაგავი

## თქვე უჯიშოებო, პროვოკაციებს თქვენ უწყობთ ქართველ ხალხს და ირაკლი ღარიბაშვილი უნდა გადადგეს?

5 ივლისი. საქართველოს დედაქალაქში ლგბტ თემის „პარადი“ (იმათებურად „პრაიდი“) უნდა ჩატარებულიყო. სურვილი გეებსა და ლესბოსელებს კი ჰქონდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ, ჩაეშალათ.

ჩაშლის მიზეზი?

4 ივლისს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მართლმადიდებელ მრევლს მოუწოდა, არ დაეშვათ სოდომ-გომორული ღონისძიების გამართვა რუსთაველის გამზირზე. ქაშუეთის ეკლესიაში 5 ივლისს 5 საათზე დაიგეგმა პარაკლისი.

ამბობენ, პატრიარქისა და საპატრიარქოს მოწოდებამ ქართველი ერი გამოაღვიძაო. ვერ გეტყვით, ვის ეძინა, ვინ გამოიღვიძა, მაგრამ ხალხის დიდი ნაწილი რომ აჰყარა და ქუჩაში გამოიყვანა, ეს ცხადია. დღის პირველ ნახევარში, სანამ მზე შუბის ტარზე ავიდოდა, ტალიკ-ტალიკა ბიჭებმა პარლამენტის წინ ჩაოხრებული ტერიტორია გაწმინდეს, ანუ საზოგადოების მოთხოვნა შეასრულეს. მე არ მესმის, ან აქამდე რატომ არ გაწმინდა იქაურობა სპეციალურმა სამსახურმა?!

წარმოგიდგენიათ?

რატომ უნდა ჰქონდეთ ბაჩალიაშვილებს, მაჩალიკაშვილებს, სააკაშვილებსა და სხვებს რუსთაველზე კარვები გადაჭიმული? რა ფუნქცია აქვს დედაქალაქის ცენტრში მონღოლოიდური სიბინძურის არსებობას, რომლის თავზეც უკვე გასამართლებული და მისჯილის, ქვეყნიდან გაქცეული მიხეილ სააკაშვილის პლაკატიც იყო გამოკრული? სად, როდის, რომელ ქვეყანაში ხდება ასეთი რამე?



რუსთაველის გამზირის გაწმენდას ეგრევე მოჰყვა პროვოკაციები ე.წ. ქართული მედიის მხრიდან, მაგალითად, „ტვ პირველიდან“, „მთავარი არხიდან“, „ფორმულადან“, „კავკასიიდან“ და სხვა მსგავსებიდან, დაიწყეს გაშუქება, რომ მოძალადე ჯგუფებმა დაუნდობლად დაარბიეს ბაჩალიაშვილისა და მაჩალიკაშვილის კარვები. თან ტონი იყო ძალიან გამაღიზიანებელი, გეგონება რუსთაველის გამზირი ბაჩალიაშვილ-მაჩალიკაშვილების საკუთრებაა და იქ მოძალადე ჯგუფები შეიჭრნენ. საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ, რასაკვირველია, ძალიან გააღიზიანა ქუჩაში გამოსული ხალხი და იმ წამსვე გაჩნდა საშიშროება, რომ ამ გაღიზიანებას მავნებლები აუცილებლად გამოიყენებდნენ. რაც შემდგომში მოხდა, ამის თაობაზე პირადად მე მაქვს ორი ვერსია, რომლის შესახებაც ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ, ამჯერად კი გავყვეთ მოვლენებს და იმას, თუ რა განცხადება გააკეთა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა:

„მარშის ჩატარება მიმაჩნია მიზანშეუწონლად, მოსახლეობის უმრავლესობითვის აღნიშნული აქციის ჩატარება არის მიუღებელი. შესაბამისად, მე მიმაჩნია, რომ აღნიშნული აქცია არ უნდა ჩატარდეს რუსთაველის გამზირზე! ეს საქართველოა, ჩვენ გვაქვს ჩვენი ტრადიციები და წესები და ყველამ უნდა სცეს პატივი ჩვენს წესებს და ტრადიციებს“!

მშვენიერი გამოსვლა იყო, მშვენიერი სიტყვა, მაგრამ ამავე დროს — საშიში. მე პირადად გამიჩნდა ეჭვი, რომ ასეთი პათოსის განცხადებას მე-5 კოლონა სათავისოდ გამოიყენებდა და ასეც მოხდა, ცოტა ხანში დედაქალაქის ცენტრში და სხვა ადგილებში ერთდროულად დაიწყო ტელევიზიების ოპერატორებისა და ჟურნალისტების ცემა-ტყეპა, ე.წ. ოპოზიციურ არხებს ზედ მიაყოლეს „იმედის“, „რუსთავი 2“-ისა და „პირველი არხის“ წარმომადგენლებიც. როგორც ამბობენ, სულ იცემა 53 მიკროფონიანი და ვიდეოკამერიანი ადამიანი. ფაქტია, ვიღაცამ ბრძანება გასცა და აქციაში ჩანერგილებმაც ერთდროულად გაიფინეს წიხლებქვეშ მიკროფონ-კამერიანი გოგო-ბიჭები. საზოგადოებაში უმალ გაჩნდა დამატებითი აგრესია, რაც ამათ დათესეს, იმას იღებენო. ვინც ამდენი სიძულვილი თესა ქვეყანაში და ვინც ცილი დასწამა უამრავ ადამიანს, ისინი სტუდიებიდან არ გამოსულან, მათ ჩაკეტილი სივრცეებიდან დაიწყეს ყეფა, რომ დაგეგმილი სისხლისღვრა გაიმართა მედიის წინააღმდეგო... ხელისუფლებამ სისხლიანი დღე გაუთენა მედიასო... მწვანე შუქი აუნთოო პრემიერმა მედიაზე თავდასხმასო. არადა, ვისაც ამდენი ხალხის ცემა არ აწყობდა, ეს გახლავთ პრემიერ-მინისტრი, მთავრობა და ხელისუფლება. ვისაც ქვეყანაში დაძაბულობა აწყობს, ამაზე ირაკლი ღარიბაშვილმა თავის განცხადებაში პირდაპირ თქვა, სიტუაცია იმართება საქართველოს გარედან მიხეილ სააკაშვილის ხელითო.



გახსოვთ, სააკაშვილი ხელებს რომ იფშვნეტდა, თქვენთვის ძალიან ბევრი სიურპრიზი მაქვსო? აი, ეს არის მისი სიურპრიზები, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით ვარდება და უქმდება. ერთი ეგ არი, ამ ავანტიურისტის ფანტაზიას დაასრული არ უჩანს, გამჩენი არ ასვენებს. თუ ვინმეს აწყობს ჟურნალისტების მასობრივი ცემა-ტყეპა, ეს არის მიხა და ეს არის მასთან დაკავშირებული ხროვა.

რასაკვირველია, ახლა ირაკლი ღარიბაშვილზე დაიწყება შეტევა, უფრო ზუსტადაც, უკვე დაიწყო ფართომასშტაბიანი შტურმი მოთხოვნით: — გადადგეს ღარიბაშვილი!

თქვე უჯიშოებო, პროვოკაციებს თქვენ უწყობთ ქართველ ხალხს და ირაკლი ღარიბაშვილი უნდა გადადგეს? აი, სწორედ აქ უნდა იმარჯვოს ჯანსაღმა საზოგადოებამ. ფაქტია, ღარიბაშვილი მოქმედებს ქართველი ხალხის ინტერესებით, და თუ საჭირო გახდება, ქართველმა ხალხმა ის უნდა დაიცვას და, დარწმუნებული ვარ, დაიცავს კიდევაც.

მე (და ალბათ თქვენც) არ მომწონს ცემა-ტყეპა. მით უფრო მასობრივი, გამიზნული, ე.წ. პოლიტიკური, რომელიც აზიანებს ქვეყანას, სახელმწიფოს. არანაირი ჩაგვრა არ მომწონს, მაგრამ რაც 5 ივლისს მოხდა, ეს უფრო მეტად მიუღებელია.

თუმცა!

მე (და ალბათ თქვენც) არც ის მომწონს, რა ტონითაც ლაპარაკობენ ტელეეკრანიდან გრიგოლიები, მელაძეები, გაბუნიები, გვარამიები თუ მათი მსგავსი ვიგინდარები. არ მომწონს, როცა ისინი ურტყამენ ადამიანებს, სცემენ, ცილს სწამებენ, ემუქრებიან და ამავე პათოსით ზრდიან ე.წ. მომავალ თაობას, ახალგაზრდა ჟურნალისტებს. სინამდვილეში კი ისინი ზრდიან ზონდერებს... არავითარი წიგნიერება, არავითარი განათლება, არავითარი ურთიერთობა, არავითარი პროფესიული უნარ-ჩვევები, მათ ახასიათებთ მხოლოდ ველური ინსტიქტები. დაუკვირდით მათ მასწავლებლებს, განა თვითონაც ასეთები არ არიან? განა თვითონვე არ თესავენ სიძულვილის ენას და ძალადობრივ მეთოდებს? განა გრიგოლიები თუ გვარამიები არ უქნევენ ყოველდღიურად თითებს ამ ხელისუფლებას, რომ დაამხობენ, რომ მალე „ქართული ოცნება“ აღარ იქნება, რომ სხვები მოვლენ, რომ ბიძინა ივანიშვილს გააძევებენ, ყველა მის მომხრეს დაიჭერენ, გააქრობენ... ჯერ არ ამბობენ (თუმცა შინაურობაში აცხადებენ), სკალპებს აგაძრობთო. 5 ივლისს ინგა გრიგოლიას ყველა მოძრავი ორგანო მოერღვა, მოეშალა და თავის კორესპონდენტებს მოუწოდა, სასწრაფოდ დაეტოვებინათ ლოკაციები და აღარ გაეშუქებინათ არანაირი აქცია. გამიკვირდა, აშკარად ჩანს, ქალბატონი ინგა 1990-იან წლებშია ჩარჩენილი, როცა ერთი არხი არსებობდა. უი, არ გააშუქებ, თორემ დავრჩებით თლა უინფორმაციოდ, აი!

როდესაც ვამბობ, მოჟურნალისტო გოგო-ბიჭების ცემა-ტყეპაში მე-5 კოლონის ხელი ურევია-მეთქი, უპირველესად ვგულისხმობ ნაციონალებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, ანუ მთელ ე.წ. ოპოზიციას. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაიწყო გამოძიება და დარწმუნებული ვარ, ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრის გამოსვლამდე ძალიან ბევრი რამ გაირკვევა — დამიჯერეთ, ცეპა-ტყეპის ორგანიზატორთაგან ყველა იქნება ნაციონალი.

აგერ, სანამ ამ წერილს დავამთავრებდი, სოციალურ ქსელებში უკვე გამოქვეყნდა ფოტოები, სადაც მოძალადეთა ვინაობაა გაშიფრული. ხედავთ გიგა ბოკერიას? ხედავთ ერთ-ერთ მოძალადეს? ჰოდა, არაფერი გაგიკვირდეთ, მეგობრებო, არაფერი. დანარჩენზე მომდევნო ნომერში უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# წასვლის ხელოვნება

## სწორედ პოლიტიკიდან წასვლით დააშამათა ივანიშვილმა თავისი ყეყეჩი მეტოქეები, რომლებიც დღემდე ვერ მოსულან გონს და დღემდე ვერ მიმხვდარან, რა დაემართათ



**ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა, მაგრამ მისი ოპონენტების რეიტინგი მაინც კატასტროფული სიჩქარით მიექანება თავქვე, ნულისკენ და არავითარი იმედი არ არსებობს, რომ ოდესმე ეს რეიტინგი აღმასვლას დაიწყებს**

მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა, ვიღაც-ვიღაცები მაინც ვერ ისვენებენ და ყველგან და ყველაფერში ბიძინა ივანიშვილი ელანდებათ.

მათ რომ მოუსმინო, თითქოსდა ივანიშვილის ბრალია, ისინი ასეთი უნიჭოები, ასეთი ხელმოცარულები, ასეთი უვარგისები, ასეთი პოლიტიკური იმპოტენტები რომ არიან და ინტრიგნობის, პროვოკატორობისა და წვრილმანი თაღლითობის გარდა ხელიდან რომ არაფერი გამოსდით.



ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა, მაგრამ მისი ოპონენტების რეიტინგი მაინც კატასტროფული სიჩქარით მიექანება თავქვე, ნულისკენ და არავითარი იმედი არ არსებობს, რომ ოდესმე ეს რეიტინგი აღმასვლას დაიწყებს.

მე იმათ რიცხვს მივეკუთვნები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილის წასვლას პოლიტიკიდან შეიძლებოდა ქვეყნის ცხოვრებაში სერიოზული გართულებები მოჰყოლოდა, თუმცა ამჯერადაც ივანიშვილის გათვლა უფრო სწორი და გამართლებული აღმოჩნდა — მან თავისი წასვლით, ფაქტობრივად, გაანეიტრალა ხელოვნურად შექმნილი დაძაბული და ფეთქებადსაშიში სიტუაცია და პოლიტიკური პროცესების მშვიდ ვითარებაში განვითარების პერსპექტივა შექმნა.

ბიძინა ივანიშვილს ჭადრაკისთვის სერიოზულად რომ მოეკიდა ხელი, დარწმუნებული ვარ, ის ბრწყინვალე მოჭადრაკე იქნებოდა, რადგან მას აქვს ნიჭიერი მოჭადრაკისთვის აუცილებელი შემდეგი თვისება — მას შეუძლია მრავალსვლიანი კომბინაციის გათვლა და გადამწყვეტ მომენტში ისეთი სვლის გაკეთება, რომელიც, გგონია, რომ უხეში შეცდომაა, მაგრამ სულ მალე ირკვევა, რომ სწორედ ეს, ერთი შეხედვით მცდარი სვლაა მომგებიანი და მომგებიანია არა მხოლოდ მისთვის, არამედ, პირველყოვლისა, ქვეყნისთვის.

ბიძინა ივანიშვილი წლებია, თითქოს ერთდროული თამაშის სეანსებს ატარებს და, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეთა რიცხვი ძალიან დიდია, მას არც ერთი პარტია არ წაუგია.

ძნელია ამის მიღწევა, მით უმეტეს, მაშინ, როცა ზოგჯერ საკუთარი გუნდის წევრიც შენს წინააღმდეგ თამაშობს და ჩუმჩუმად და მალულად შენს ოპონენტებთან თანამშრომლობს.

**„ქართულ ოცნებაში“ შემოპარული და „ქართული ოცნებიდან“ გაპარული მოღალატეთა და გამცემთა მთელი ბატალიონი ბოგინობს დღეს ქართულ პოლიტიკაში, თუმცა ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაღწია თუნდაც უმნიშვნელო წარმატებას, ვერ დაიმკვიდრა ადგილი და ვერ მოიპოვა საკუთარი სივრცე,** მიუხედავად იმისა, რომ მტკიცედ სჯეროდათ, ბიძინა ივანიშვილის ჩრდილიდან გამოვიდოდნენ თუ არა, ეგრევე ალვასავით აიყრიდნენ ტანს.

ტანის აყრა კი არა, მზეზე გამოდგმული ცვილის ფიგურებივით ნელ-ნელა დადნენ, დაჩიავდნენ, დაპატარავდნენ.

ზუსტად იგივე დაემართათ ოპოზიციურ პარტიებსაც, რომლებიც მთელი მსოფლიოს გასაგონად გაჰკიოდნენ, რომ „სულთამხუთავი ოლიგარქი“ არ აძლევდათ გაზრდისა და განვითარების საშუალებას, მაგრამ გაეცალა „ოლიგარქი“ ასპარეზს და ესენიც ერთბაშად ჩაიფუშნენ და ჩაიჩუტნენ.

თუნდაც „ნაცმოძრაობას“ დააკვირდით, რა მოუვიდათ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ — გაძლიერების და მოღონიერების ნაცვლად დასუსტდნენ, დაბეჩავდნენ და ჭაჭანაჭამი ინდაურებივით დაბორიალობენ აღმა-დაღმა.

**დარწმუნებული ვარ, სულ მალე „ნაცმოძრაობა“ არ იქნება ქვეყნის მთავარი ოპოზიციური ძალა, ხოლო მისი ხელისუფლებაში დაბრუნების ყოველგვარი რესურსი ამოწურულია, ყოველივე ეს კი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლამ განაპირობა.**

სწორედ პოლიტიკიდან წასვლით დააშამათა ივანიშვილმა თავისი ყეყეჩი მეტოქეები, რომლებიც დღემდე ვერ მოსულან გონს და დღემდე ვერ მიმხვდარან, რა დაემართათ.

აქ არ შევუდგები იმის ახსნას და გაშიფვრას, რატომ ხდება ასე და რა ბერკეტები იწყებს ავტომატურად ამოქმედებას, როცა პოლიტიკოსის მიერ ზუსტად არის გათვლილი და შერჩეული პოლიტიკიდან წასვლის მომენტი, რომელიც რიკოშეტივით აისხლიტავს მისკენ ნასროლ ისრებს და ბუმერანგივით უკან უბრუნდება მსროლელს.

რაც შეეხება იმათ, ვისაც დღემდე ყველგან და ყველაფერში ბიძინა ივანიშვილი ელანდებათ, ისინი ერთ რამეში არ ცდებიან — **ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა თუ არ წავა, ეს არ არის მთავარი — მთავარი ის არის, რომ ბიძინა ივანიშვილი საქართველოსა და ქართველი ხალხის ცხოვრებიდან, ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერასოდეს ვერ წავა, რადგან თავისი გრანდიოზული საქმეებით ის საქართველოს ისტორიის განუყოფელი და მარადიული ნაწილია.**

ჩვენ, ერთმანეთის თანამედროვენი, ვერც ერთმანეთის პირუთვნელ მსაჯულებად გამოვდგებით, ვერც იმ დიდი კაცების ობიექტურ შემფასებლად, რომლებსაც ათასში ერთხელ ხსნასავით მოგვივლენს განგება.

რაც უფრო დიდი ღვაწლი ამა თუ იმ პიროვნებისა, მით უფრო დიდი დრო და მანძილი გვჭირდება, სრულფასოვნად, პანორამულად დავინახოთ ამ ღვაწლის მნიშვნელობა.

საუკუნეების შემდეგ ბიძინა ივანიშვილის ფიგურა გაცილებით მონუმენტური იქნება, ვიდრე დღეს არის.

— მე იმ ქართველების მაგივრად მრცხვენია, ვინც ბიძინა ივანიშვილზე აუგს ამბობს და ლაფსა და ტალახს ესვრის, — თქვა ერთმა კარგმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ.

სირცხვილით ჩვენ რატომ უნდა გვრცხვენოდეს ამ ვიგინდარების ნაცვლად, თუმცა არ შეიძლება რაღაცნაირი უხერხულობის გრძნობა არ დაგეუფლოს, ეს პატარა, სულმდაბალი და სულგაყიდული კაცუნებიც ქართველებად რომ იწოდებიან.

ისინი ვერ აცნობიერებენ, ბიძინა ივანიშვილს კი არა, საქართველოს და საკუთარ თავს რომ ებრძვიან.

მათ ისიც კი არ იციან, რომ მომავლის მემატიანე მათ გვარსახელებით მოხსენიების ღირსადაც არ ჩათვლის და ერთ საერთო საფლავში მიუჩენს ადგილს, საფლავში, რომელსაც დიდი შავი ასოებით ეწერება — მოღალატეები.

**ვახტანგ ხარჩილავა**







# დასავლეთი ზოგჯერ ისეთ რაღაცებს უჭერს მხარს, გეგონება, რუსეთზე მუშაობსო

*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, საქართველოში პრაიდის კვირეული ჩატარდა. ყველამ ვნახეთ, როგორ განვითარდა მოვლენები 5 ივლისს. რა მიზანს ემსახურება მაინცდამაინც ახლა, პრაიდის ჩატარება?**

— პირველი ხმაურიანი პრაიდის დროს — 17 მაისის მოვლენების მერე, კათედრაზე ვიყავი, როცა ახალგაზრდამ დააკაკუნა, კისერზე ფერადი ხაზები ანუ, ლგბტ-ს დროშის ფერები ჰქონდა. ლგბტ თემზე სოციოლოგიურ გამოკვლევას ვატარებთ, რამდენიმე კითხვა მაქვსო — მითხრა. ბოლოს დაასკვნა: თქვენ, როგორც ჩანს, ამ თემის მიმართ კარგად არ ხართ განწყობილიო. დამიტოვა საკმაოდ ტევადი წიგნი — „ლგბტ-ს ფსიქოლოგია“. უცხოურიდან იყო თარგმანი, ავტორები ქართველები არ გახლდნენ. წიგნი ერთ-ერთი ქვეყნის საელჩოს მიერ იყო დაფინანსებული. ასე, რომ ქვეყნები რომლებიც ცდილობენ ეს მიდგომა თავისთან დაამკვიდრონ, იგივე მცდელობა სხვა ქვეყნებშიც აქვთ. ჩვენნაირ ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობა ბევრად დაბალია, ევროპული ქვეყნები აქ, ამ ტიპის პროცესებს ხელს უწყობენ. წიგნს თუ გამოსცემენ, ალბათ, ბანერებსაც დაბეჭდავენ და სხვა ტიპის ფინანასური დახმარებაც ექნებათ. ასე, რომ აქ, ქართულ ხასიათში არც არის საქმე, არამედ ეს უფრო ფართო ტიპის პროცესია, რაც მსოფლიო მასშტაბით არის გავრცელებული, ვგულისხმობ, ევროპას. როგორც წესი, ამ შემთხვევაში, რაღაც ტიპიურ, ისეთ მოვლენებს ვაკვირდებით, რასაც ხშირად აქვს ადგილი. კერძოდ, როცა ადამიანებს არ სიამოვნებთ რომ მათ განსხვავებულად მიიჩნევენ, ისინი ცდილობენ არა იმას, რომ საკუთარ თავში არსებული ეს განსხვავებულობა, ორიენტაცია შეიცვალონ, არამედ შენ შეგიცვალონ ორიენტაცია საიმისოდ, რომ მათ მიმართ კრიტიკულად განწყობილი აღარ იყო. ფაშისტურ გერმანიაში, იგივე, საბჭოთა კავშირში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები სახელმწიფოს მიერ იდევნებოდნენ. დევნაც რომ არ იყოს, მერე მათ უჩნდებათ პრეტენზია აფიშირების, მანიფესტირების, გამომწვევი საქციელის ჩადენის და ა.შ. მარტო ჩვენთან კი არა, მთელს დასავლეთში ასეა. მათ ხასიათში დევს გამომწვევი სტილი. საერთოდ, ჩვენთანაც და სხვა ქვეყნებშიც, სადაც როგორც წესი, არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია მიუღებელია, ასეთი ხალხი ცდილობს ჩრდილში იყოს, რაც რა თქმა უნდა, მათთვის გარკვეული დისკომფორტია. მათ ურჩევნიათ გარეთ გამოვიდნენ და გამომწვევად იმოქმედონ იმის დასასაბუთებლად, რომ ისინი სხვებზე მეტი თუ არა, ნაკლებნი არაფრით არიან. ასეთი მოვლენა უცხო არ არის. მაგალითად, ზოგი ონკოლოგიური ავადმყოფი ცდილობდა, მასთან მისული მნახველებისთვის საკვები თავისი თეფშიდან შეეთავაზებინა. ეს იმ პერიოდში, როცა გავრცელებული იყო ონკოლოგიური დაავადების ვირუსული ვერსია. ანუ, ადამიანებს ეს თვისება აქვთ — როცა მათთვის საკუთარ თავში რაღაც მიუღებელია, უკეთესად გრძნობენ თავს, თუ სხვასაც იგივე დაემართება. დაახლოებით, ანალოგიური ტენდენციებია საქართველოში. რაც შეეხება შეკითხვას: რატომ ახლა? თითქოს, ერთი პერიოდი ჩუმად იყვნენ, ხომ. მე მაინც მგონია, რომ ახლა, ეს იმდენად ფსიქოლოგიური თემა არ არის, რამდენადაც პოლიტიკური. ჩვენ ვხედავთ, რომ გარკვეული ძალები ყველანაირად ცდილობენ საქართველოში არსებული სტაბილური მდგომარეობა შეარყიონ, რის მაგალითებსაც ყოველდღიურად ვხედავთ — ეს გახლავთ პოლიტიკური დესტაბილიზაცია, პარლამენტში შეუსვლელობა, კარვები რუსთაველის გამზირზე, რასაც არ იღებენ, ეკლესიასთან ჭიდილი და ა.შ. ამ ფონზე, შეიძლება ითქვას, წამოსწიეს არატრადიციული ორიენტაციის ხალხის დემონსტრაციული გამოსვლები იმ იმედით, რომ ვიღაცას ნერვები უმტყუნებს და უკვე ამ მიზეზით დესტაბილიზაციის პროცესს შეუწყობს ხელს. ეს არის ძირითადი მოტივი — რატომ ტარდება პრაიდი ახლა. შედეგსაც ხედავთ, დესტაბილიზაცია სახეზეა.

**— ბაიდენმა განაცხადა: ქვეყნებში, სადაც ლგბტ-ს უფლებებს არ იცავენ, ადამიანის უფლებების დაცვაზე საუბარი ზედმეტიაო. ევროპარლამენტის დეპუტატები, სხვადასხვა ქვეყნის ელჩები ლგბტ თემს აქეზებენ: ქუჩაში გამოდითო და ჩვენ მოგვიწოდებენ: მათ, ხელი არ ახლოთო. ისინი აქ ისედაც ხელშეუხებელნი არიან, მათ, დისკრიმინაციას არავინ უწევს. მაინცდამაინც, შიშვლებმა უნდა გაიარონ ქუჩაში?**

— წლების წინ, ამერიკის საელჩომ თავის ქვეყანაში მიმავლინა მასმედიის თემასთან დაკავშირებით. ორსაათიანი შუალედი მქონდა, შორს წასვლას ვერ ვასწრებდი, იქვე, წიგნების მაღაზია დავინახე და შევედი. კარებში საყურეებიანი, წვერებიანი კაცი იდგა. მთელი ლიტერატურა მხოლოდ არატრადიციულ სექსს ეძღვნებოდა. გამოვედი, კიდევ დავინახე მაღაზია, იქაც, იგივე, სიტუაცია დამხვდა. მერე, ჩვენთან საელჩოში ვიკითხე: განა, რა ხდება ასეთი, რომ ერთ მოედანზე ორი დიდი მაღაზია ერთიდაიგივე პროფილის ლიტერატურას ჰყიდდა. მითხრეს: ასეთი ტენდენციაა — ყველა გაიძახის: არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ვარო. თურმე, იმიტომ, რომ სამსახურიდან თუ გააგდებენ, მაშინვე ატეხავს ყვირილს: არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ვარო. ასე, რომ ამ ადამიანთა უფლებების დაცვის ასეთ მიმართულებას გარკვეული პრაგმატიზმი ახასიათებს. არადა, ამ დროს, რეალურად, ამდენი მსგავსი ორიენტაციის ადამიანი არ არის. მათი რიცხვი 1%-ს არც აღწევს. მაგრამ თუ დროშად არატრადიციულ ორიენტაციას აიფარებ, უკვე, შეძლებ განაცხადო: მჩაგრავენო. ხომ ხედავთ, კანის ფერის თუ სექსუალური ორიენტაციის გამო დაჩაგრული ადამიანები შეტევაზე, ხშირად, გადმოდიან. დღევანდელი ამერიკა ამის თვალსაჩინო მაგალითია. ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ასეთი პროცესები ვითარდება, რასაც ხშირად პოლიტიკური დატვირთვა უფრო აქვს, ვიდრე ფსიქოლოგიური.

**— სხვათა შორის, სოც.ქსელში ვინც კი პრაიდზე ნეგატიური პოსტი გამოაქვეყნა, „ფეის-ბუქმა“ ყველა დაბლოკა. ეს რას ნიშნავს, გამოხატვის, სიტყვის თავისუფლება ცალმხრივია?**

— თქვენ გინდათ, რომ ყველაფერი ისე იყოს როგორც იწოდება?! გამოხატვის თავისუფლებაზე ლაპარაკობს ამერიკა, მაგრამ გახსოვთ, ტრამპს რა უქნეს — ქვეყნის პრეზიდენტს სიტყვის თავისუფლება დაუბლოკეს. რაღაზეა ლაპარაკი.

**— წინამდებარე პრაიდებისგან განსხვავებით, ამჟამინდელს საერთაშორისო სტატუსი აქვს და ამ საკითხში სხვადასხვა ქვეყნის ელჩები არიან ჩართულნი. როგორც ჩანს, პროცესი გარედან მართულია. რატომ აკეთებს ამას დასავლეთი, ვერ ხვდება, რომ ასე რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს?**

— თქვენ, საკითხს ამ კუთხით აყენებთ? — სამწუხაროდ, შედეგებზე არავინ ფიქრობს. მათი მოტივაცია ერთი მიმართულებითაა — გავრცელდეს ის, რაც ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას სწორად მიაჩნია. ამ შემთხვევაში ამერიკას სწორად ის მიაჩნია, რამაც ბაიდენის ციტატაში გაიჟღერა. დიახ, მათ ეს მართებულად მიაჩნიათ, მაგრამ არ უფიქრდებიან შემდეგს: თუ პრაიდის ჩატარებას დამაძალებ, ეს შეიძლება წამგებიანი ნაბიჯი აღმოჩნდეს. მგონი, ცალსახად გამოიკვეთა, რომ ეს სწორედ წამგებიანი ნაბიჯი იყო. ვიღაც, „ფეის-ბუქზე“ წერდა: ახლა, მივხვდი, რატომ არის ისე, რომ ამერიკა ამდენ ქვეყანაში შევიდა და მისადმი სიმპატიით განწყობილი არცერთი მათგანი არ არის — იმიტომ, რომ ამერიკას აქვს ტენდენცია, რომ ის დიდი, ძლიერია და პატარა ქვეყნების მისწრაფებებს ყურადღებას არ აქცევს. რუსეთსაც აქვს ასეთი ტენდენციები. საერთოდ, დიდ ქვეყნებს ეს ახასიათებთ. ამერიკის მიერ დაშვებული შეცდომები მასზე ირეკლება-ხოლმე. ანალოგიურია, რუსეთის შემთხვევაშიც. მან, თითქოს, მრავალი ქვეყანა გადაარჩინა ნაციზმს, მაგრამ ბევრ მათგანს რაც შეიძლება სწრაფად სურდა მისი გავლენისგან გათავისუფლება. დიდი ქვეყნები პატარა ქვეყნებს გარკვეულ სამსახურს უწევენ და მერე გაწეული სამსახურისთვის, ღირებულებების და სხვათა სახით, ავანსს ითხოვენ, რაც მერე, უკან უბრუნდებათ. ჩვენთან მიმართებაში, პოლიტიკური თვალსაზრისით, თვალსაჩინოა კოსოვოს პრობლემა, რაც არაერთხელ გვიხსენებია. მუდმივად ამბობდნენ: რუსეთი ვერ გაბედავს საპასუხო ქმედებასო. რუსეთმა დაიმუქრა: კოსოვოს თუ აღიარებთ, მე, აფხაზეთს და სამხრეთ-ოსეთს ვაღიარებო. ამერიკელებმა გაიცინეს: ვერ გაბედავსო. რუსეთმა გაბედა. ვის კისერზე გადატყდა ჯოხი? აი, ასეთმა ფაქტებმა უნდა დაგვაფიქროს: უცხოეთი ყოველთვის მართალია? საქართველო ყოველთვის მართალია? ჩვენი შეცდომები ხომ უნდა გავიაზროთ. სხვაც რომ უშვებს შეცდომებს, ხომ უნდა ვისწავლოთ. ვიღაც, ადამიანურ შეცდომას უშვებს — როგორც თავად ცხოვრობს, ჰგონია, რომ ეს არის საუკეთესო. ასეთი შეცდომა ყველას მოსდის. მაგრამ შენ, რა უნდა ჰქნა ამ დროს? ჩვენ გვაქვს ტენდენცია: რადგან უცხოელებმა თქვეს, ე.ი. სწორია. ასე, არ არის! მის ნათქვამს ყური დაუგდე, მაგრამ შენ ის გააკეთე, რაც თავად მიაგჩნია მართებულად.

**— სხვა პრაიდებისგან განსხვავებით, წელს შეიქმნა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ამ ღონისძიების ჩატარებას 15 პოლიტიკურმა პარტიამ მოაწერა ხელი.**

— დიახ, შედეგსაც მალე მოიმკიან — როცა ამ პარტიებს მხარდამჭერები საგრძნობლად შეუმცირდებათ. ისიც, საკითხავია: აქვთ კი დარჩენილი იმის რესურსი, რომ მხარდამჭერების რიცხვმა იკლოს. მგონი, ეს რესურსიც ამოწურული აქვთ. ამ დოკუმენტის შექმნით რაც გააკეთეს, ეს, კეკლუცობის ფორმაა, სხვა არაფერი.






**— რამდენად მზარ არის ქვეყანა მსგავს პროვოკაციებზე გასამკლავებლად?**

— ქვეყანა ასე ადვილად არ მარცხდება რადგან ორიენტირებულია იმაზე, რომ არ დაჩაგრო. მეორე მხრივ, ვთქვათ, ლევან ვასაძემ, როგორც დაგვპირდა, პარტია შექმნა. იგი მკაფიოდ კონსერვატულ ღირებულებებზე იქნება ორიენტირებული. პრაიდის გამომწვევი აღნიშვნა, ხომ იმის პირობას ქმნის, რომ ლევან ვასაძემ უფრო მეტი ხმა აიღოს. ეტყობა, სანამ დასავლეთი ცხვირს არ დაარტყამს, იქამდე, რაღაცებს ვერ ხედავს. გეგონება, იგი, რუსეთზე მუშაობს ისეთ რაღაცებს აკეთებს ღირებულებებისა და კულტურის თვალსაზრისით. დასავლეთი, ტრადიციულ ღირებულებებს, ხაზგასმით უარყოფს. რუსეთიც ამას ამბობს: დასავლეთი ტრადიციულ ღირებულებებს არღვევს, მე კი — ვიცავო. ამიტომ, საქართველოში ბევრი აღმოჩნდება რუსული გავლენის მომხრე, რაც არც რუსების ბრალი იქნება და არც ქართველების, არამედ იმ სისულელის, რასაც ასე ბეჯითად, ჯიუტად ცდილობს დასავლეთი.

**— როგორ ფიქრობთ, ინტელექტუალურად რამდენად მზად არის თავად ერი ამ პროცესების გასამკლავებლად. კეტით გამოკიდებაც ხომ არ არის გამოსავალი?**

— რა თქმა უნდა. კეტით გამოკიდება არის ის რეაქცია, რომლის ჩამდენი უფრო დიდი დამნაშავე გამოჩნდება, ვიდრე ის, ვის გამოც კეტს იქნევს. არ მოგწონს ლგბტ, კი ბატონო, მაგრამ კეტს ნუ იქნევ, თორემ, მერე, უარესი ჩანხარ, ვიდრე ის არატრადიციული ორიენტაციის ხალხი. პრინციპში, კეტის თუ ტაბურეტის გამომყენებელი ისევ ეროვნულ ღირებულებებს უკეთებს ცუდ საქმეს და ზომიერ ადამიანს ალტერნატივის წინაშე აყენებს — ან ლგბტ-ს თაყვანისმცემელი უნდა იყოს, ან მას კეტით დასდევდეს. ზომიერ ადამიანს არც ერთი უნდა და არც მეორე. ინტელექტუალური არ ვიცი, მაგრამ ემოციური მომზადება ნამდვილად გვაკლია, რათა ყველა საკენკზე კრიახი არ ავტეხოთ და ყველა ანკესზე არ წამოვეგოთ. აი, ამისთვის ემოციური მომზადება გვჭირდება. ზოგი რამ მშვიდად უნდა აწონ-დაწონო — ამის ემოციური კულტურა არ გვაქვს. დიახ, სიმშვიდის ემოციური კულტურა არ გვაქვს. თავად ემოციურობა არ გვაკლია. სწორედ ამის გამოა, მერე, კეტსაც რომ ვიქნევთ და ათას სისულელეს ვაკეთებთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# საბრალდებო განაჩენი ნაცმოძრაობისთვის, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება

### ისინი აუცილებლად ჩაბარდებიან წარსულს... და არა ისტორიას

ამა წლის ივნისის ბოლო რიცხვებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კიდევ ერთხელ (მორიგ ჯერზე) გამოცხადდა საქართველოს პარლამენტში და კიდევ ერთხელ (მორიგ ჯერზე) არა მხოლოდ ამხილა გაბოზებულ-გაფარჩაკებული,, ნაციონალური მოძრაობა" არამედ, ნაწილობრივ დაასამარა კიდევაც. მეტიც, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, უჯიშოთა კლანი სკამებზე დაადუღა!

### რაღაცნაირად გადახვეული ლირიკა

სანამ ირაკლი ღარიბაშვილის ანგარიშს მიმოვიხილავ და შევაფასებ, სანამ ე.წ. ოპოზიციის მსუბუქ ყოფაქცევაზე მოგახსენებთ, ჟურნალისტ მერაბ ხაჩიძის,, იდეა" უნდა შემოგთავაზოთ: თურმე, ბოლო ოცდაათ წელიწადში საქართველოს მოსახლეობა 48 პროცენტით შემცირდა. რაც დავრჩით, ათ წელიწადში განახევრდება. ხომ გახსოვთ, ნაპოლეონისთვის რომ არ დაეტოვებინა, კუტუზოვმა მოსკოვი რომ გადაწვა?

ჰოდა... ბატონი მერაბი გვეუბნება, უკვე დადგა დრო, საქართველო გადავწვათ... აბა, ამ წალკოტს, ამწვანებულ ტყეებს, თოვლიანი მწვერვალებს, ანკარა მდინარეებსა და მობიბინე მინდორ-ველებს მაქარაშვილებს, მაჭუტაძეებს, ლგბტ პრაიდელებს და ათას ოხერს ხომ არ დავუტოვებთ?

ვერ დაგიმალავთ... არის რაღაც რაციონალურ-რომანტიკული მერაბ ხაჩიძის „იდეაში", მართლაც რატომ უნდა დავუტოვოთ ამ უგნურებს ეგეთი წალკოტოვანი ქვეყანა? ვნახოთ, იქნებ ათ წელიწადში ან საქართველო განიწმინდოს, ან ქართველები გამოსწორდნენ, ან კიდევ სხვა რამე სასწაული მოხდეს? იქნებ საკუთარი ქვეყნის გადაწვა აღარ დაგვჭირდეს? ვუყურებ ამ ე.წ. ოპოზიციას, ვუყურებ პარლამენტს და არ მაქვს იმედი, რომ რამე გამოსწორდება, მაგრამ მაინც.

### თახსირი ოპოზიცია

და მაინც... რა გააკეთა ამ ჯერზე ირაკლი ღარიბაშვილმა, რა ფორმით მოიშალა ნერვები, რანაირად გაუთხარა კიდევ ერთი სამარე,, ნაციონალებსა" და მათთან გათანაბრებულ პარტიებს? სიმართლე გითხრათ, დამრჩა შთაბეჭდილება, პრემიერ-მინისტრი პარლამენტში არ იყო საშიროდ მისული, მას სამომავლო გეგმები უფრო აინტერესებდა, მაგრამ ყველანაირად ჩაფლავებულმა, მდარე აზროვნების ე.წ. ოპოზიციონერებმა არ მოისვენეს და ამანაც თქვაის, რაც (რატომღაც) აქამდე არ ვიცოდით. სხვათა შორის, ძალიან მიკვირს, რატომ არ ვიცოდით? პრემიერის თქმით, 2008 წლის ომის შემდეგ ქართველი ოფიცრები რუსებმა დაატუსაღეს და ასე ვთქვათ, გააციმბირეს, ციმბირის ციხეებში გამოამწყვდიეს. ასეთი ყოფილა 14 ოფიცერი. ზოგიერთი გაუმწესებიათ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ციხეებში, სულ 20 ადამიანი ყოფილა. მიატოვეს ამ თახსირებმა რუსეთის ციხეებში, სადაც ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის პირობებია, შეიძლება უფრო უარესიც. მოვიდა მთავრობის მეთაურად (პირველ ჯერზე) ირაკლი ღარიბაშვილი და ყველა დააბრუნა სამშობლოში. გესმით? ამის შესახებ არავის არაფერი უთქვამს, არავის არაფერი გაუზმაურებია. ცხინვალის ქუჩებში რომ ჩატოვეს ჯარისკაცების ცხედრები, ეს ვნახეთ... პატრიარქი რომ შევიდა და გამოიტანა ცხედრები, ესეც ვნახეთ... ესენი ამ დროს სამალავებიდან იჟურებოდნენ და ქუჩაში გამოსვლას ვერ ბედავდნენ, მერე გამოძვრნენ და ზეიმი გამართეს, გავიმარჯვეთო, რუსეთის უძლეველი არმია დავამარცხეთო. ირაკლი ღარიბაშვილმა,, ნაციონალებს" იმედი გადაუწურა, ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი არ გაქვთ, დროს ტყუილად კარგავთ, დაისვენეთო;,, სააკაშვილმა მიატოვა საზღვრეობი. მე იმას არ ვამბობ, რომ ჩვენ რუსეთის არმიას დავამარცხებდით, მაგრამ ის ქაოსი, უბედურება და განუკითხაობა, რაც ხდებოდა ომში, იყო სწორედ სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა. ერთს შეგახსენებთ... 9 აგვისტო, უშიშროების საბჭოს სხდომა, ვხედავთ, ალბათ არაფხიზელ მდგომარეობაში, საეჭვოდ ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფ სამარცხვინო ადამიანს, რომელიც ღლიცინებდა, როდესაც ჩვენი გმირი სამხედროები იქ იღუპებოდნენ. ხმას ნუ იღებთ, ფაქტებს შეგახსენებ თ. ყველას კარგად გვახსოვს. ეს არის სიმართლე. უბედურებაა, თქვენ 8 წელი ქვეყნის განვითარებას საფრთხეს უქმნით. თქვენ ხართ საფრთხე"!

სწორი გამოთქმაა,,, ნაციონალები" კი არ უქმნიან საფრთხეს ამ ქვეყანას, არამედ თავად წარმოადგენენ საფრთხეს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა პრემიერ-მინისტრისგან:,, ძალიან ცუდად მომხვდა ყურში, არაერთმა გამომსვლელმა, მათ შორის ბატონმა ვაშაძემ, ქალბატონმა ჩარკვიანმა, ქვეყანა მოიხსენიეს შემდეგი ეპითეტებით — „ყველაზე უბედური ქვეყანა", ძალიან მერიდება ამის თქმა — „ჩამპალი ქვეყანა" და ასე შემდეგ. თქვენ ქვეყანა არ გიყვართ, მეგობრებო? როგორ საუბრობთ ჩვენს სახელმწიფოზე საერთოდ"?!

ეს ხომ მოდად იქცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში? თუ შენს ქვეყანაზე რამე კარგს იტყვი, ჰგონიათ, რომ ხელისუფლებას აქებ. არა, არ შეიძლება საკუთარი ქვეყნის შექება, ჩვენ ყველაზე უბედური სახელმწიფო ვართ... მეტიც, არ ვართ ჩვენ სახელმწიფო... აქ არაფერი კეთდება, არაფერი შენდება, ყველაფერი ინგრევა და ყველა შიმშილობს, ქუჩები სავსეა მკვდრებით, მთელი საქართველო ნაგვის ურნებში იქექება და ამ დროს... ქუჩებში მუდმივად საცობებია, ავტომობილების ტევა აღარ არის, მეორადდირებულ მანქანების გვერდს ვეღარ აუქცევ... რესტორნებში, დასასვენებელ ადგილებსა თუ ზღვათა სანაპიროებზე ისმის ქართული გადაძახილები: ეჰეჰეჰეჰეეე... ბიჭო, გოგოაააავ!

ეს რეალობაა, ტელევიზორში კი სულ სხვანაირადაა... ტელევიზორში აფორიაქებული ინგა გრიგოლია ქოშინით ჰყვება, რომ ქვეყანა აღარ არსებობს, მოსახლეობა იღუპება, თუმცა იღუპება კი არა, უკვე დაიღუპა, მხოლოდ თვითონ, ნოდარა მელაძე, ავთო წერეთელი, მამუკა ხაზარაძე, ბადრი (ვგარი აღარ მახსოვს) და კიდევ რამდენიმე კეთილი ადამიანიღა დარჩა ცოცხალი. თუ ბიძინა ივანიშვილი არ გავაძევეთ, ესენიც დაიხოცებიან და ეს იქნება სანქციების დაწესების საფუძველი. ინგა გრიგოლიას,, დაჟე" უკვირს, აქამდე რატომ არ დაგვიწესეს ამერიკელებმა სანქციები? საქართველოში ხომ ყველა შიმშილობს? ჰო, ჰო, ჰო... ერთი გრიგოლია შიმშილობს და მეორე კიდევ უკრაინაში ჩარჩენილი სააკაშვილი მიხა... ისე, იცით, რა მიკვირს? ერთი შეხედეთ, ბოლო დროს რა ძალიან დაემსგავსნენ ერთმანეთს მიხა და ინგა? რავი, ეს რაღა სინდრომია?!

ჰო, იმას ვამბობდი, ამ ქვეყანაში მოდად იქცა საკუთარი სახელმწიფოს ძაგება, თუ გინდა, რომ თანამედროვე ტიპად წარმოჩინდე, ყველას და ყველაფერს უნდა აგინო, არაფერი არ უნდა მოგწონდეს... ყველგან უნდა ჰყვებოდე, რომ ბიძინამ არ გაამართლა, დაპირებები არ შეასრულა... მუდმივად უნდა სვამდე შეკითხვებს: აბა, რა კეთდება? აბა, სად კეთდება? ჰმ...,, ქართული ოცნების" პერიოდში აქ ერთი,, ბუტკაც" კი არ აშენებულა. თუ იტყვი, მაშ მტყუნის დედა მოვტ...ანო, ყველა ჩუმდება!

სხვათა შორის, ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთი,, საიდუმლო" გაგვიმხილა... თურმე ეს ავაზაკი მამუკა ხაზარაძე სახელმწიფოს უჩივის ლონდონის სასამართლოში და ითხოვს მილიარდნახევარ დოლარს 3 მილიონის სანაცვლოდ, რაც ანაკლიის პორტის ე.წ. მშენებლობაში დაუხარჯავს. ესეც ახალი ამბავი, მე პირადად ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. წარმოგიდგენიათ? ტიპი ლამის ყოველდღე გამოჰყავთ ტელევიზორში, გულის ფიცარი ჩანგრეული აქვს მჭიდების რტყმითა, პირის აპარატი მოირღვა ნამეტნავი ლაპარაკითა და თურმე 3 მილიონში მილიარდნახევარს ითხოვს. ნამუსი აქვს ეხლა ამას? ფუჰ, შენი!!!

ყური დამიგდეთ, უარესს გეტყვით... ამაზე გია ვოლსკიმ განაცხადა მაგ სხდომის დროს: ესე იგი, რამდენიმე თვის წინ ვოლსკისთვის ჟუჟუჟურრრრნალისტებს უკითხავთ, ხაზარაძეზე რას იტყვით, ფულს მართლა ათეთრებდაო? ამას უთქვამს, მაგას სამართალდამცავები გაარკვევენ, თუ ათეთრებდა, დაისჯებაო. მამუკა და ბადრი სასამართლოში გაცვივდნენ, ვოლსკის უჩივლეს, რეპუტაციის შელახვისთვის 251 ათას დოლარს ითხოვენ. ახლა მოსამართლეს რომ წამოუაროს და ხაზარაძეს მოთხოვნა დაუკმაყოფილოს, როგორც ვოლსკი ამბობს, ამდენ ფულს ვერ გადაიხდის და იძულებული გახდება, თავისი ბინა გადაუფორმოს. გაიგონეთ? რაღაც სატელევიზიო კომენტარის სანაცვლოდ ხაზარაძე ითხოვს 251 ათას დოლარს! განა სიმბოლურ 1 ლარს, ან ბოდიშის მოხდას, ან სხვა რამეს? ითხოვს ნახევარ მილიონზე მეტ ლარს!

მოკლედ, ამ ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებიც სულ ჩივიან, უჩივიან ყველას, ჩივიან ყველაფერზე და ითხოვენ დიდ ფულს. როგორც ჩანს, პერიოდულად ხეირობენ კიდევაც და თავიანთ მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ. ეს გახლავთ არა მხოლოდ ფინანსური სარგებლის გამო ჩივილი, არამედ სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც, ამათ სხვანაირად არ შეუძლიათ, ამათ მუდამ უნდა ჰქონდეთ სასამართლოში შეტანილი ერთი-ორი საჩივარი.

ირაკლი ღარიბაშვილისეული დასკვნა: „ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდი სურვილი გვაქვს, ყველანი გავერთიანდეთ, ასეთი დამოკიდებულებით უბრალოდ არ მესმის, ვერ ვხედავ პერსპექტივას, ამ ოპოზიციასთან — „ნაციონალურ მოძრაობასთან" ვითანამშრომლოთ. ქვეყანა 6 თვის განმავლობაში ამყოფეს საბოტაჟის რეჟიმში და დღეს პასუხი არ გაუციათ ჩვენი მოქალაქეებისთვის, რატომ დააზიანეს ჩვენი სახელმწიფო. იციან, რას მეუბნებიან ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მეგობრები? ისინი დაიღალნენ „ნაცმოძრაობის" ლიდერების ჩივილით ჩვენზე, კონკრეტულად ჩემზე ან ლიდერებზე კი არა, არამედ ქვეყნის პრობლემებზე, რეალურად იმაზე, რომ აქ რაღაც საშინელება ხდება. ჩვენ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ და ღიად გააჟღერეს, რომ დღეს თურმე მათივე შეფასებით, ქვეყანა არ არის მზად, გახდეს ნატო-ს წევრი. შევახსენეთ მათ, რომ დაჟინებით ითხოვდნენ, არ მიეცათ ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი მოქალაქეებისთვის, მათივე თანამოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი. ჩვენ ამას მივაღწიეთ, მეგობრებო და კიდევ უფრო მეტს მივაღწევთ, მიუხედავად ამ მავნებლური პოლიტიკისა. მე არ მოვერიდები ამის თქმას, ეს არის მავნებლობა. ამათ განაცხადეს, ქვეყანა არ არის მზად, გახდეს ნატო-ს წევრიო, ამაზე მეტი პრორუსული განცხადება, მითხარით, რომელია? ეს არის პირდაპირ რუსული პოლიტიკის გაგრძელება და გატარება"!

ვერა და არა, არ გამოვა ამათთან არც თანამშრომლობა, არც მეგობრობა, არც ოპოზიციონერობა, ესენი არიან გაქსუებული ადამიანები, რომლებსაც სიძულვილი აქვთ ძვალსა და რბილში გამჯდარი... ისინი არიან მავნებლები და სანამ არ ამოიძირკვებიან პოლიტიკიდან, ყოველთვის იქნება პრობლემები. ამჯერად აქ დავსვათ წერტილი... მე მაინც მაქვს იმედი, რომ მალე დადგება დრო, როცა მავნებლები აუცილებლად ჩაბარდებიან წარსულს... და არა ისტორიას.



**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ საქართველო კავკასიის ცენტრი გახდეს

*გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, თქვენ, არაერთხელ გისაუბრიათ დასავლეთისა და საქართველოს ურთიერთობებზე. როგორ ფიქრობთ, ხომ არ მოვიდა დრო დასავლეთმა, კავკასიის რეგიონში, ქართული სახელმწიფოს ლიდერად ჩამოყალიბება დაისახოს მიზნად?**

— მოგახსენებთ, რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო, თვისობრივად, შეიცვალა. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლას თავად აშშ და დასავლეთი არ ელოდა. მეტიც, ისინი მისი დაშლის წინააღმდეგნი იყვნენ. 1989 წელს ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ჯორჯ ბუშ-უფროსს მოხსენება წარუდგინა, სადაც აშშ-სთვის მოსალოდნელ საფრთხედ საბჭოთა კავშირი იყო განხილული. ამერიკელებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ თუ როგორ განვითარდებოდა პროცესი. ამიტომაც იყვნენ საბჭოთა კავშირის დაშლისა და ზვიად გამსახურდიას პოლიტიკის წინააღმდეგნი. მერე, რაც მოხდა, კი ვიცით. საქართველოს მოპოვებული დამოუკიდებლობა, თავისუფლება, სისხლში ჩაახშეს. იმ დროს გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას პუტჩისტები თავზე ბომბებს აყრიდნენ. დამოუკიდებლობამოპოვებული საქართველო გაეროს შემადგენლობაში ყველაზე გვიან შევიდა. გაეროში შეგვასწრო ყაზახეთმა, თურქმენეთმა, ტაჯიკეთმა. რატომ მოხდა ასე? ჯერ ერთი, ეს შიდა არეულობამ, გადატრიალებამ განაპირობა, მეორე, უმთავრესი კი გახლდათ ის, რომ დასავლეთს იმ დროისთვის ყველაზე მეტად რუსეთის ეშინოდა, რომელიც ბირთვულ იარაღს ფლობდა. დასავლეთს მთავარი ყურადღება რუსეთზე, ბელორუსიასა და უკრაინაზე ჰქონდა გამახვილებული. აქაურმა ნეო-კომუნისტურმა ძალებმა ჯერ გადატრიალება მოახდინეს, მერე კი ქვეყანა თავიდან ბოლომდე გაძარცვეს, რასაც მათი შთამომავლები, სამწუხაროდ, დღემდე აგრძელებენ.

როგორ მოიქცა დასავლეთი? — იგი, საქართველოს დამოუკიდებლობაზე ყურადღებას ნაკლებად ამახვილებდა და ცდილობდა ჩვენი ხალხი შიმშილით არ დახოცილიყო, რათა ჭკუაზე გადასული მოსახლეობა, ისევ, დასავლეთს არ შესეოდა. აქვე, არ შემიძლია არ ვთქვა: გორბაჩოვის, შევარდნაძისა და იაკოვლევისნაირი ხეპრე პოლიტიკოსები მსოფლიოს არ ჰყოლია. რა დაუტოვა საქართველოს შევარდნაძემ? — ტერიტორიებმორღვეული, დემოგრაფიულად იავარქმნილი ქვეყანა, განადგურებული ეკონომიკა და ჟვანია-სააკაშვილის კლანი, რომელთაც ქვეყანა ყოველმხრივ გაანადგურეს.

**— დღეს როგორ იქცევა დასავლეთი?**

— ახლა, ჩვენ, ძალიან საინტერესო ვითარებაში ვართ. ეს ისტორიული პროცესია, რაშიც ბიძინა ივანიშვილმა შეგვიყვანა. როგორ? — მისი პოლიტიკაში მოსვლის შედეგად, საქართველოში ზომიერების პროცესი განვითარდა. ანუ, ისტორიულმა პროცესმა ისეთი პიროვნების პოლიტიკაში შემოსვლა მოითხოვა, როგორიც ივანიშვილია. რომ არა ბატონი ბიძინა, დღეს საქართველოში, ნაცებისა და მისი დამქაშების მიერ, სისხლისღვრა იქნებოდა გაჩაღებული. დიახ, ივანიშვილმა ვითარება ზომიერების პროცესამდე მიიყვანა, რაშიც დასავლეთიც ჩართულია. მას, დღეს, სამხრეთ-კავკასიაში ერთადერთი დასაყრდენი კუნძული აქვს და ეს საქართველოა. შემთხვევითი როდი გახლდათ აშშ-ს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის პომპეოს ვიზიტი. ზოგს ჰგონია, რომ ხელისუფლებები მიდიან და პოლიტიკაც იცვლება. არა ბატონებო, ასე არ ხდება. აშშ-ს ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში სტრატეგიული პოლიტიკა აქვს არჩეული, რაც საქართველოზე გადის. ამიტომ, დასავლეთი საქართველოში განვითარებულ მშვიდობიან პროცესებზე სისხლხორცეულად არის დაკავშირებული. შარლ მიშელის ჩამოსვლაც ამის დასტურია. მას ჰქონდა ინფორმაცია, თუ რა ნეგატიური ძალები მოქმედებდნენ აქ, რომლებიც არჩევნების შედეგებს არ აღიარებდნენ. რა უნდა მოვითხოვოთ დასავლეთისგან? თუ მას სურს, საქართველო ეკონომიურად ჭეშმარიტად დასავლურ სახელმწიფოდ გადაიქცეს, მაშინ, ერთბაშად, ეკონომიკური დახმარება უნდა გაგვიწიონ. ეკონომიკის წინ წამოწევას 25–30 მილიარდი დოლარი დასჭირდება, ოღონდ, მათივე მონიტორინგით.

დასავლეთის ჩვენდამი მიდგომა უნდა შეიცვალოს. მოსახლეობა რადიკალურ ცვლილებებს ელის. ქვეყანას განვითარება და არა ნახევრადგანვითარება სჭირდება, რაც დასავლეთის დახმარებით უნდა მოხდეს. დრო საქართველოზე მუშაობს. პირები რომლებიც ქვეყნის დამარცხებით არიან დაინტერესებულნი, გარე ძალებთან უხილავი თუ ხილული ძაფებით არიან დაკავშირებული. კონსოლიდაცია უნდა მოხდეს, ოღონდ, ამის გაკეთება დაუსჯელობის სინდრომის გარეშემო, შეუძლებელია. წარმოგიდგენიათ, პარლამენტზე შტურმის ორგანიზატორები ციხიდან გამოუშვეს, რაც სახელმწიფოებრივად ყოვლად მოუთმენელია. ამერიკა დემოკრატიის აკვნად მიაჩნიათ, მაგრამ როდესაც მავანმა სახელმწიფოს ხელისუფლებას პრობლემები შეუქმნა, ტყვია პირდაპირ შუბლში ესროლეს. აი, ასეთი სიმტკიცით შეიძლება მომავალი თაობისთვის იმის ჩვენება, რომ ვინც დააშავებს, ის, აუცილებლად, დაისჯება.

ყოფილმა ექსპრეზიდენტმა დანანებით თქვა: ჩაგვივარდა 20 ივნისი, ცოტა დაგვაკლდა, თორემ, მე, ვიცი რასაც ვიზამდიო. ასეთი სიტუაციაა. თუ ერმა არ გამოიღვიძა, რომელიც ჯერ კიდევ ჩაძინებულია, ქვეყანა ხელში შემოგვადნება. იმ დიდი საქმის დასრულებას, რაც ივანიშვილმა წამოიწყო, მარტო ვერ შეძლებს. კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა: თუ მთელმა ერმა არ მოინდომა, თვით, ალექსანდრე მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებსო. ამას მარტო ერთი კაცი ვერ შეძლებს. საჭიროა, ამომრჩევლის ტვინის მოდერნიზება, თორემ ჩიხში შევალთ. გადავხედოთ, „ნაცმოძრაობის“ სიას: რა უნდა ბუბა კიკაბიძეს პოლიტიკაში? ან დევი ჭანკოტაძეს, რომელიც ეროვნულ ხელისუფლებას ზარბაზნებს ესროდა. გუბაზ სანიკიძე ხომ, საერთოდ, ყვარყვარიზმის საოცარი გამოვლინებაა. პოლიკარპე კაკაბაძე ცოცხალი რომ იყოს, მასზე უკეთეს ყვარყვარეს ვერსად ნახავდა. კაცი რომელიც სააკაშვილს ჯალ-ალედინს უწოდებდა, ახლა, მას უჩოქებს. გია ბარამიძე ყველამ ვიცით ვინც არის და ა.შ. რომელი ერთი ჩამოვთვალო. პოლიტიკა დაავადებულია. ამ ხალხთან ერთად — ზვიად გამსახურდიას დაუძინებელ მოწინააღმდეგეებთან დგას, ვითომ, ეროვნულები — ეკა ხერხეულიძე, ბოცო წიკლაური. მოკლედ, ყველა სფეროში კრიზისია.









**— თქვენ, ახლა პარლამენტზე განხორციელებული შტურმი გაიხსენეთ. დასავლეთი რატომ უჭერს ნაცების უკან მობრუნებას მხარს? მიშელმა საშემოდგომოც კი გამოგვაყოლა — ერთხელ ჩაბარებული საგანი, ოქტომბერში ხელახლა უნდა ჩავაბარო თ. ეს რას ნიშნავს?**

— შევხედოთ პოლიტიკურ რუკას — რა არის საქართველო? — სულ რაღაც სამ მილიონამდე მოსახლე. თუ ვიმეს ჰგონია, მსოფლიო პოლიტიკა საქართველოს ირგვლივ ტრიალებს, ძალიან ცდება. 1989 წლის 11 აპრილს დიდმა ჭაბუა ამირეჯიბმა დაწერა: ჭკუით ქართველებო, ჩვენ, ობოლი ერი ვართო. ამიტომ, ჩვენგან ყველა სარგებელს ელოდება. ჭკუა უნდა ვიხმაროთ და უმეტესი სარგებელი თავად ვნახოთ. ვფიქრობ, ივანიშვილი საქართველოს უმძიმეს გასაჭირში არ მიატოვებს. მას იმდენი სიკეთე აქვს გაკეთებული, წყალში არ ჩაეყრება. მე, ქართველი ხალხის და მის მაღლა მდგომი უზენაესის იმედი მაქვს.

მუდმივი არაფერია. რამდენი იმპერია აღიგავა მიწისაგან პირისა. რაც იბადება, ის ბერდება და კვდება. ყველას ასე მოუვა. პოლიტიკა ხელოვნებაა. თუ ჭკუა გვაქვს თავში, დავფიქრდეთ: პუტინისა და ბაიდენის შეხვედრა დამთავრდა. პუტინმა თქვა: უკრაინის ნატოში გაწევრიანებაზე საუბარი არ ყოფილაო. ანუ, მსოფლიო პოლიტიკის მამაებმა გვითხრეს: ჯერ არ დამდგარა ის დრო, რომ ჩვენი ქვეყნის საკითხი რაიმე მნიშვნელოვან პოლიტიკაში იყოს წარმოდგენილი. დღევანდელ დღემდე ახალი მსოფლიო წესრიგი ვერ ჩამოყალიბდა. დიდი ეჭვია, რომ პანდემია აშშ-ში მიმდინარე არჩევნებთან ყოფილიყო კავშირში. მთელ მსოფლიოს გლობალიზაცია მოედო, რასაც უაღრესად დიდი ნაკლოვანებები აქვს. საქმე ისე წავიდა, ხალხს სიტყვა — ლიბერალიზმი შეაძულეს. ილია ლიბერალი იყო. მეც, ეროვნულ-ლიბერალი ვარ. დღეს, ეს სიტყვა ლიბერალურ ფაშიზმად გადაიქცა. რეიგანმა თქვა: თუ ოდესმე ამერიკაში ლიბერალიზმი დაბრუნდება, იგი, ფაშიზმის სახით დაბრუნდებაო. ამას, ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის გონივრული განჭვრეტა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გლობალიზმი გაგვთელავს. ჩვენს გამო ლიბერალურ ფაშიზმს ვერც ვერავინ შეაჩერებს და ვერც დაამარცხებს, მაგრამ თუ ერმა საკუთარ თავში არსებობის ძალა არ იპოვა, უმძიმეს სიტუაციაში აღმოჩნდება. თქვენ, მკითხეთ, ფეხზე რატომ ვერ დავდექითო. ვერც დავდგებით, სანამ დასავლეთი და რუსეთი ჩვენს მიმართ ასეთ პოლიტიკას აწარმოებს. იმიტომ, რომ სპილოები იბრძვიან. ამ დროს ჭიანჭველა უნდა ეცადოს თავი ბუჩქებს შეაფაროს, თორემ გავიჭყლიტებით. საინტერესო მომენტია: ცივი ომის დროს აშშ და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს ებრძოდნენ. რომელიმე მათგანის ტერიტორიაზე ერთი, უბრალო ბომბი ჩამოვარდა? — ბომბი ვარდებოდა მხოლოდ მესამე ქვეყნების ტერიტორიაზე. დღესაც ანალოგიური პროცესი მიდის. მითხარით: დასავლეთი გვეხმარებოდა, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სად ჩამოვარდა ბომბები, ჩვენთან ხომ? ჭკუა ხომ უნდა ვიქონიოთ და ვთქვათ: ეს, არ უნდა განმეორდეს. ერთი რამ მნიშვნელოვანია. ამ ხელისუფლების დროს, პირველად 30-წლიანი საქართველოს დამოუკიდებლობისას, ომი არ ყოფილა. ეს ივანიშვილის გასაოცარი მიღწევაა, რითაც ისტორიაში შევა. ახლა, ის ხალხი ტრაბახობს, ვინც წითელ ხიდზე ერთმანეთს თავებით ახტებოდა. რა მივიღეთ 2008 წლის ომის შედეგად? — არაფერი. მეტიც, „ნაცმოძრაობამ“ ხელი მოაწერა დოკუმენტს, სადაც ეწერა, რომ ომი საქართველომ დაიწყო. ამ ხალხის პარლამენტში, თუნდაც, ოპოზიციაში ყოფნა შეიძლება? ისინი ქვეყნისა და ერის წინაშე სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან.



**თამარ შველიძე**

555 23 28 24

# სერგეი ესენინი, აისედორა დუნკანი, გიორგი გახარია და მიხეილ სააკაშვილი

სერგეი ესენინზე ფანატიკურად შეყვარებული ბალერინა აისედორა დუნკანი მოსვენებას არ აძლევდა პოეტს და სადაც არ უნდა წასულიყო, მყისვე მის გვერდით ჩნდებოდა.

ესენინი კონსპირაციის ყველა მეთოდს იცავდა, მაგრამ საქმეს არაფერი შველოდა — აისედორა როგორღაც იგებდა პოეტის გადაადგილების მარშრუტს და საყვარელ პოეტს მოჩვენებასავით ისე მოულოდნელად დაადგებოდა ხოლმე თავზე, პოეტი პანიკაში ვარდებოდა და გაქცევით შველოდა თავს.

ესენინი გარბოდა, აისედორა მისდევდა.

პოეტმა საქართველოში გადაწყვიტა გამგზავრება — აისედორა იქ მაინც ვერ მომაგნებს და ცოტა ხანს დავისვენებო — იფიქრა.

რაოდენ დიდი იყო შოკი, როცა ესენინს თბილისში, იმ სასტუმროს კარებთან, სადაც უნდა დაბინავებულიყო, ცბიერად მომღიმარი აისედორა დახვდა.

შიშისგან თავდარდაცემული პოეტი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა და სასოწარკვეთილი ხმით ყვიროდა: მიშველეთ! მიშველეთ!

თბილისელი მასპინძლები სტუმარს გამოეკიდნენ, ძლივს დაეწივნენ და, როგორც იქნა, დააშოშმინეს.

სანამ აისედორა თბილისიდან არ წავიდა, ესენინი „საიდუმლო“ ბინიდან არ გამოსულა.

●

რაც ესენინსა და დუნკანს შორის ხდებოდა, თითქმის იგივე ხდება დღეს გახარიასა და სააკაშვილს შორის.

სააკაშვილი ცდილობს, რეალურ ფაქტად აქციოს და „სამხილებით“ განამტკიცოს საზოგადოებაში მოარული ხმები მათი „საიდუმლო რომანის“ შესახებ და ამიტომ, როგორც კი გაიგებს, გახარია აქა და აქ არის დაბინავებულიო, მყისვე იქითკენ მიეშურება, რომ „სატრფოს“ „სპალნაში“ შეუვარდეს და პოლიტიკური ჯვრისწერის ინსცენირება მოაწყოს.

ახლაც ასე მოხდა — სააკაშვილს შეატყობინეს, გახარია ვაშინგტონში ამა და ამ სასტუმროშია გაჩერებულიო და თავის ამალასთან ერთად დაუყოვნებლივ იქითკენ გაეშურა, გზიდან კი ამერიკაში მოღვაწე ნაცნობ ჟურნალისტს დაუმესიჯა — ისტორიული კადრების გადაღების შანსი გაქვს და ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა, სასწრაფოდ ჩაუსაფრდი გახარიას ამა და ამ სასტუმროში და მეც მალე მოვალო.



თუმცა გახარიას „დაზვერვასაც“ არ ეძინა — გახარიას აცნობეს, სააკაშვილი მოდის შენსკენ და თავს უშველეო.

გახარიაშიც მყისვე ამუშავდა კრიზისმენეჯერის უნარ-ჩვევები და სასტუმროდან სასწრაფო ევაკუაციის ბრძანება გასცა.

ორ წუთში გახარია და მისი ჯგუფი შეკრული ბარგი-ბარხანით სასტუმროს ფოიეში იჯდა და ტაქსს ელოდებოდა.

სასტუმროს ადმინისტრაცია ამაოდ ცილობდა გაეგო, რამ გაანაწყენა ძვირფასი სტუმრები ჯორჯიიდან და რატომ ტოვებდნენ ასე ფათხაფუთხით სასტუმროს.

სააკაშვილმა დააგვიანა — ის რომ სასტუმროში მოვიდა, გახარია უკვე კარგა ხნის წასული იყო სასტუმროდან.

— ახლა კი დამისხლტა ხელიდან, მაგრამ არა უშავს, ერთხელაც იქნება და მაინც მოვიხელთებ სადმე, სად წავა, სად გამექცევაო — უთქვამს სააკაშვილს და ნადავლის სახით ის ჰალსტუხი წამოუღია, რომელიც გახარიას სიჩქარეში სკამდე გადაკიდული დარჩენოდა — ნივთმტკიცებად შეიძლება გამოგვადგეს და ეს ჰალსტუხი კარგად შეინახეთოც — გაუფრთხილებია დაცვა.



სამშვიდობოზე გასული გახარია ჟურნალისტებს „ჩვენებას“ აძლევდა და გულმხურვალედ ამტკიცებდა, რომ სააკაშვილს არსად გადაყრია და, აქედან გამომდინარე, სუფთა და ხელდაუკარებელი იყო,. თუმცა საკითხავია, რამდენ ხანს ირბენს გახარია სასტუმროდან სასტუმროში, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში, როდემდე გაექცევა ამ ცუდად ატეხილ სააკაშვილს და როდემდე შეინარჩუნებს პოლიტიკურ უბიწოებას.

●

რა უნდოდა აისედორას ესენინისგან, ვიცით!

მაგრამ რა უნდა სააკაშვილს თავის პოლიტიკურ უმანკოებას სასოწარკვეთით გადაფარებული გახარიასგან, ჯერჯერობით არ ვიცით, ისე, როგორც არ ვიცით, რა მიზნები ამოძრავებთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ძალიან უნდათ, სააკაშვილს და გახარიას პოლიტიკურ საწოლში წაასწრონ და იძულების წესით ჯვარი დასწერონ.

ძნელი სათქმელია, ვის რა ხეირი და რა სარგებელი ამით, თუმცა, ალბათ, არსებობს რაღაც გათვლა, თორემ ორი ყოფილის, ყოფილი პრეზიდენტის და ყოფილი პრემიერის, „დაქორწინებაზე“ ამდენი დრო და ენერგია რატომ უნდა იხარჯებოდეს?!

ვიღაც-ვიღაცები იმასაც ამბობენ, სააკაშვილი კი არ დასდევს გახარიას, გახარია დასდევს სააკაშვილსო.

კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ვის დასდევს, ან ვინ ვის უნდა „ჩაუდონ“ — გახარია სააკაშვილს თუ სააკაშვილი გახარიას.

ცუდი ის არის, რომ იმგვარი სიტუაცია შეიქმნა, შესაძლებელი გახდა, ყოფილი პრეზიდენტისა და ყოფილი პრემიერის პოლიტიკური ქორწინების ალბათობა რეალობად იქცეს, ამისი წინაპირობა კი, ნებსით თუ უნებლიეთ, სწორედ რომ გახარიამ შექმნა.

**P.S**. ამასწინათ სააკაშვილი გამოტყდა: მე და გახარია არამარტო ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით, არამედ ერთ ლოგინში ვიწექით. დიდი სიამოვნება მივიღეო.

ყოჩაღ, გახარია!!!

კი ამბობდნენ, მანგარი მახოდალი რე თე გახარიაო, მაგრამ ასეთი მაგარი თუ იყო, მაინც არ გვეგონა — დიდი სიამოვნება მიუნიჭებია თურმე ექსპრეზიდენტისთვის...

ყოჩაღ, გახარია, ყოჩაღ, ეგრე გააგრძელე!

# საჯარო გაუპატიურება „მთავარში“ გიორგი გაბუნიასთან ერთად

**„ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერთა დიალოგიდან:**

„— უყურე გაბუნიას, ქოცები რომ ჰყავდა მოწვეული სტუდიაში?

— კი, ვუყურე, ნეტა, არ მეყურებინა...

— რა ხდება, იქნებ, ვინმემ გამაგებინოს? შეიძლება „სპალნაშტ“ მოიწვიო ტიპები, რომლებიც 9 წელია, დასაჩინჩლად დაგდევენ? თუ მოიწვევ, იმას ხომ უნდა ხვდებოდე, რომ დაგჩინჩლავენ. დაგჩინჩლავენ და ვერც გაუმალიანდები — შენ თვითონ არ მოიპატიჟე საჟიმაოდ?

— რა გითხრა, დავიბენი, ვერა და ვერ ვხვდები, რას ნიშნავს ეს ყველაფერი. სახლში მოვიწვიეთ ქოცები და ისინიც საკუთარ სახლში გვაუპატიურებენ, თანაც სახალხოდ, საჯაროდ, ყველას თვალწინ.

— ღალატი ჰქვია ამას, სხვა რა ჰქვია? ეს გვარამია სად დაიკარგა? ვერ ხვდება, რას აკეთებს მისი საყვარელი ჟურნალისტი?

— გვარამიას ჩაწყობილი მგონია ეს ყველაფერი... როგორც ჩანს, ეშინია, არ დამიჭირონო და ერთ ადგილას უძვრება ქოცებს. მას სხვა დროსაც გაუკეთებია ეგეთი რაღაცები. ვაჟკაცობაზე რომ დებს თავს, სინამდვილეში მშიშარა და მხდალი კაცია გვარამია, მშიშარა და მხდალი კაცისგან კი ყოველ წუთს ღალატს უნდა ელოდო.

— საინტერესოა, მიშა როგორ ეგუება ამ ამბავს, თვალწინ გაუბახეს ტელევიზიაც, „ნაცმოძრაობაც“, გაბუნიაც და ხმას რატომ არ იღებს?

— რა ვიცი, რა გითხრა? ფაქტი ერთია — ქოცებმა ჩვენს ხარჯზე, ჩვენსავე ტელევიზიაში გადაწყვიტეს საარჩევნო კამპანიის ჩატარება და გიორგი გაბუნია მთავარ პიარშიკად, მთავარ იმიჯმეიკერად მოიწვიეს.

— ამას ისიც დავუმატოთ, პარლამენტში ირაკლი ღარიბაშვილი რომ გვიტრიალებს დედ-მამის სულს, ჩვენსავე ტელევიზიაში კი დანარჩენი ქოცები გვხმარობენ რიგრიგობით. ნამდვილი სახალხო გაუპატიურება მოგვიწყვეს ამ ოხრებმა. ჩვენ კიდევ რას ვშვრებით?

— ჩვენ ინგლისურ შეგონებას მივსდევთ — როცა გაუპატიურებენ, მოდუნდი და შეეცადე, სიამოვნება მიიღო“.

●

როგორც ამ დიალოგიდან მიხვდებოდით, ძვირფასო მკითხველო, საუბარი „მთავარის“ ახალ პროექტს ეხება, რომელსაც „გიორგი გაბუნიას ინტერვიუ ხელისუფლებასთან“ ჰქვია.

ეს პროექტი რომ დაანონსდა, ვიღაც-ვიღაცებმა სიხარულის ყიჟინა დასცეს — ნახეთ, როგორ აწყევლინებს თავ-ბედს ამ უნიათო ქოცებს პუტინთან მეომარი გმირი გაბუნია. მაგათ ბუმბულს ვნახავთ გაშლილს, გაფანტულს ველადაო, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ — ყველაფერი უკუღმა მოხდა და „უნიათოებმა“ კუდით ქვა ასროლინეს გაბუნიას.

ეგეთი ბუნჩულა, ეგეთი ღუნღულა, ეგეთი თბილი და ტკბილი, ეგეთი კეთილგანწყობილი, როგორც ხელისუფლებასთან ინტერვიუებშია, გაბუნია ჯერ არავის უნახავს.

სად გაქრა ასე უცებ სულ მუდამ ავანტურაზე, პროვოკაციებზე და მავნებლურ ინტრიგებზე ორიენტირებული გაბუნია, რომელსაც იმდენი მორალური თუ ეკონომიკური ზიანი აქვს მიყენებული საქართველოსთვის, რომ, სადაც სამართალია, ციხეში უნდა იჯდეს.

როგორ იქცა ასე უცებ ამგვარი და ამნაირი გაბუნია სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ქვეყნის გულშემატკივარ, ზეპარტიულ ჟურნალისტად, რომელმაც უცებ გადაწყვიტა, რომ ხელისუფლებასთან კონსტრუქციულ რეჟიმში ითანამშრომლოს.

როგორ ახსნის შეგირდის ამგვარ მეტამორფოზას მისი გურუ და მასწავლებელი ნიკუტა გვარამია, რომელიც ახლა სადღაც ჩირგვებში იმალება და იქიდან ადევნებს თვალს, როგორ აუპატიურებენ ქოცები მის საყვარელ მოწაფეს.

მართალია, „ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა, აქ ჯამლეთამ ჯონდო დააორსულა“, ისიც მართალია, რომ ისე აირია ყველაფერი, ვერ გაარკვევ, ვისი ვიოლინო ვის როიალშია, მაგრამ მთლად ასეთი სოდომ-გომორიც არ ვარგა, თქვე უჯიშოებო და ურჯულოებო.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს, ისინი ორ ნაწილად არიან გაყოფილნი.

ერთნი თვლიან, რომ „მტრის“ ტერიტორიაზე იდეოლოგიური დესანტის გადასხმა სტრატეგიულადაც და ტაქტიკურადაც გამართლებულია და „ქართულ ოცნებას“ ეს ბევრ სარგებელს მოუტანს.

მეორე ნაწილის აზრით, ბილწებთან ზავით შეკვრა არ შეიძლება და ნაცების ჯიბის ტელევიზიასთან ამ სახის თანამშრომლობა ბევრ კითხვის ნიშანს და ბევრ ეჭვს აჩენს, რამაც შეიძლება მკვეთრად უარყოფითი გევლენა მოახდინოს იმ ელექტორატზე, რომლისთვისაც „ნაცმოძრაობა“ კრიმინალურ-ფაშისტური ძალაა და მასთან ნებისმიერი ფორმით ურთიერთობა და კომპრომისი რადიკალურად მიუღებელია.

ალბათ, გასათვალისწინებელია ის ამბავიც, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა უმრავლესობა სწორედ ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება.

ასე რომ, დასაფიქრებელი და ასაწონ-დასაწონია ის საშიშროებაც, რომ მტრის ბანაკში ზედმეტად ფამილარულმა მოქმედებებმა შეიძლება საკუთარი ამომრჩევლები დაგვაკარგინოს.

**დავით ქავთარია**









# „დრო მოწყდა თავის ანჯამს“ ანუ ქართველი გმირი ქალი და ფსევდოლიბერალური ინსინუაციები

1934 წელს ლონდონში, ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა საფრანგეთში გადახვეწილი ქართველი ემიგრანტი ქალის, კატი დადეშქელიანის მემუარები: „თავადის ქალი მუნდირში“. მხატვრული სიტყვის გურმანები კანადიდან – ვიდრე ავსტრალიამდე დღემდე ინტერესით ეცნობიან სვანეთის მმართველი საგვარეულო შტოს ღირსეული წარმომადგენლის, მამაცი და გონიერი, უიღბლო და მშვენიერი ქალბატონის მიერ მიმზიდველად მოთხრობილი ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლების, მშვიდობისა და ომის ისტორიებს.

კატი, ეკატერინე დადეშქელიანის მემუარებში აღწერილია მისი მამის – ალექსანდრე დადეშქელიანის ტრაგიკული აღსასრული, დედის – ბაბილინა ერისთავის დაპატიმრება, უახლოესი ნათესავების ღალატი, უიღბლო ქორწინება ესტონელი ბარონის, ვოლდემარ იქსკულის ვაჟზე, დის, თამარის თვითმკვლელობა, მძიმე სულიერი კრიზისი, რამაც კატის ომში წასვლა უკარნახა, საბრძოლო ეპიზოდები, გმირობისა და სილაჩრის ფაქტები, ომი როგორც გამძლეობისა და პიროვნული სახის შენარჩუნების გამოცდა, ძმის, ჩეპყანის მკვლელობა, ქვეყნიდან გაქცევა, თურქეთში დედის მოულოდნელი გარდაცვალება, საფრანგეთში გადახვეწა, წითელი ჯვრის საზოგადოებასა და ბავშვთა ჰოსტელის ტიპის პანსიონში სამსახური, მარტოობისა და სამშობლოში დაბრუნების ნატვრაში განვლილი ცხოვრების წლები.

მძიმე აღმოჩნდა ბედის უკუღმა ტრიალთან შერკინება სვანეთის მმართველი საგვარეულო შტოს გამგრძელებლის, უკეთილშობილესი, სამშობლოსთვის გულანთებული, მტკიცე ნებისყოფის მქონე ქალისთვის, რომელიც ექიმის სპეციალობის დაუფლებაზე ოცნებობდა და მაღალმთიან სვანეთში, მამასთან ერთად, საავადმყოფოს დაარსებას გეგმავდა.

მაგრამ სულ სხვაგვარად იწერებოდა კატი დადეშქელიანის ბედის წიგნი, ისევე როგორც რუსეთის იმპერიისა, სადაც ქვეყნის განვითარების, ეკონომიკური აღმავლობის ტენდენცია პირველმა მსოფლიო ომმა დრამატულად შეცვალა, მრავალი უბედურება დაატყდა თავს ქვეყანას და არსებულის გადარჩენაც ეჭვქვეშ დააყენა. კატის პიროვნული ტრაგედია რუსეთში განვითარებულ მოვლენებს რაღაც იდუმალი ძაფებით შეენივთა და თვითგადარჩენისა და სულიერი კრიზისის დაძლევის ერთადერთ გზად 1914 წელს დაწყებულ პირველ მსოფლიო ომში ჩართვა აღმოჩნდა. ახალგაზრდა ქალი „ველურ დივიზიაში“ ნებაყოფლობით ჩაეწერა და თითქმის სამი წელი დასავლეთის ფრონტზე, თათართა ლეგიონში მამაკაცის მუნდირითა და ჯემალ დადეშქელიანის სახელით მამაცურად იბრძოდა. ძალგულოვნება, შეუპოვრობა, მაღალი დისციპლინა, ორგანიზატორული ნიჭი და ურთულესი სიტუაციებიდან სწორი გამოსავლის პოვნის უნარი, ექსტრემალურ ვითარებაში გამოჩენილი საოცარი გამძლეობა, ალექსანდრე დადეშქელიანის უფროსი ქალიშვილის, ტიპური სვანი ქალის ხასიათის თვისებები, მისი დნმ-ის განუყოფელი, ხილული წახნაგებია.

მამაკაცის მუნდირში გამოწყობა და ჯემალ დადეშქელიანის სახელით ბრძოლებში მონაწილეობა ნიკოლოზ მეორის განკარგულებამ განაპირობა, რომლითაც ფრონტის წინა ხაზზე ქალის გასვლა და საომარ ოპერაციებში ჩაბმა იკრძალებოდა. ომში ქალები, ძირითადად, მოწყალების დის ფუნქციას ასრულებდნენ. თუმც გამონაკლისსაც იცნობს პირველი მსოფლიო ომის ისტორია. მაგ. ლეგენდარული მარია ბოჩკარიოვა, იგივე „იაშკა“, უშუალოდ ნიკოლოზ მეორის განკარგულებით ჩაერთო ბრძოლაში და, როგორც მეომარმა, დიდ წარმატებას მიაღწია. მოწინააღმდეგეს მარია შიშის ზარს სცემდა, მაგრამ გარემომ ის შინაგანად ვერ შეცვალა და „იაშკა“ სიცოცხლის ბოლომდე მამრის მოტრფიალ ქალად დარჩა.




კატის – „ჯემალისა“ და მარიას – „იაშკას“ გზები პირველ მსოფლიო ომში არ გადაკვეთილა. მაგრამ დასავლეთში მათ ხშირად ერთმანეთის გვერდით მოიხსენიებენ, როდესაც ამ ომის მონაწილე გმირი ქალების ბიოგრაფიებს წარმოაჩენენ და მათ პიროვნულ თვისებებზე, განსაკუთრებით, სექსუალურ ორიენტაციაზე აკეთებენ აქცენტს.

ფრანგული დედნიდან ინგლისურად თარგმნილი და გამოცემული კატი დადეშქელიანის მოგონებები მიმზიდველი აღმოჩნდა ინგლისურენოვანი მკითხველისათვის და მის გამოჩენას წიგნის ბაზარზე არაერთი გამოხმაურება მოჰყვა. მემუარების ავტორი დასავლეთმა გაიცნო, როგორც პირველ მსოფლიო ომზე ანგარიშგასაწევი, საინტერესო წიგნის ავტორი. კატის მემუარებმა საქართველოსა და, კონკრეტულად, სვანეთის მიმართ საზოგადოების ინტერესი მნიშვნელოვნად გაზარდა. სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეები ერთმანეთს სოციალური ქსელებით უკავშირდებიან და კატისა და სვანეთის შესახებ უამბობენ, არკვევენ, სად მდებარეობს ეგზოტიკური მხარე, რომელიც კატიმ ასეთი სიყვარულით აღწერა, სურვილი აქვთ და გეგმავენ კიდეც საქართველოში გამომგზავრებას.

ათწლეულების მანძილზე მკითხველთა შეფასებები კატისა და მის წიგნზე საქართველომდე ვერ აღწევდა. ქართველი ემიგრანტი ქალის მემუარებს ჩვენს ქვეყანაში კარგა ხანს თაროზე იფო შემოდებული გრიფით „საიდუმლო“, ბოლშევიზმსა და რუსეთის რევოლუციებზე გამოთქმული მკვეთრად უარყოფითი შეფასებების გამო. ვიტარება არც სსრკ დაშლისა და სისტემური ცვლილებების შემდეგ გამოსწორდა. მცირე ინფორმაცია მემუარებსა და მის ავტორზე მხოლოდ ბოლო ხანებში მიიღო საზოგადოებამ, ხოლო კატის მემუარებმა, რომელიც ქართულად ითარგმნა, დღის სინათლე ვერა და ვერ იხილა.

სამაგიეროდ, ძალზე აქტიურობენ დასავლეთში მოქმედი ფსევდოლიბერალური ძალები, რომლებიც კატის გარდაცვალების შემდეგ, 1977 წლიდან ცდილობენ, თავიანთი ინტერსების სფეროში მოაქციონ უმშვენიერესი ქალბატონის ბიოგრაფია, ხოლო მემუარები სხვადასხვა ინსინუაციბეის ობიექტად აქციონ და საზოგადოებას სუბიექტურ შეხედულებებზე აგებული მცდარი შეხედულებები თავს მოახვიონ.

მეორე მხრივ, დასავლეთში გამოცემულ არაერთ მონოგრაფიასა თუ ენციკლოპედიებში, სადაც პირველი მსოფლიო ომის მონაწილე მწერლებს ცალკე სტატიები ეთმობათ, კატი დადეშქელიანი ლუის ბრომფილდის, ჰარი კროსბის, რასელ დავენპორტის, ჯულიან გრინის, სიდნეი ჰოვარდის, ჯერომ ჯერომის, სომერსეტ მოემის, ერნესტ ჰემინგუეის, ჯონ ჰოვარდ ლოუსონისა და სხვათა გვერდით სახელდება.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ მემუარებისა და მისი ავტორისადმი მაღალი ინტერესის მიუხედავად, სოციალური ქსელებში გავრცელებულ ბიოგრაფიულ ცნობარებში ხშირად შეხვდებით კატი დადეშქელიანზე დაუზუსტებელ ინფორმაციას, დაუდევრობითა თუ გულგრილობით გამოწვეულ შეცდომებს, რაც, ბუნებრივია, აბნევს გაუცნობიერებელ მკითხველს.

თუმც ეს მხოლოდ მცირე ცოდვაა იმასთან შედარებით, რასაც კატის გარდაცვალების შემდეგ მისი მემუარების ინსპირაციით შექმნილი სუბკულტურული ლიტერატურული პროდუქციის ავტორები, ნეოლიბერალური იდეებით



PRINCESS
IN UNIFORM

BY
PRINCESS
KATI DADESHKELIANI

TRANSLATED FROM
THE FRENCH BY
ARTHUR J. ASHTON

LONDON
G. BELL & SONS LTD
1934

გატაცებული მკვლევარი-პროპაგანდისტები სთავაზობენ საზოგადოებას. საკითხის არსში ჩაღრმავება გვიჩვენებს, რომ ამ ყველაფრის უკან დაინტერესებული ჯგუფები დგანან. შემთხვევით არც ამერიკელი მწერლის, დონალდ ჰარინგტონის შემოქმედებითი ინსპირაციის წყაროდ ქცეულა ქართველი გმირი ქალის, პირველ მსოფლიო ომში გიორგის ორი მედალი რომ აქვს მინიჭებული, ოსტატურად დაწერილი მემუარები.

1993 წელს, უკვე არაერთი თხზულების ავტორს, ჰარინგტონს ბედი სიურრეალისტურ ჟანრშიც უცდია და სქელტანიანი რომანი შეუქმნია. წიგნის სახელწოდებად მწერალს „ეკატერინე“ შეურჩევია, რომანის მთავარი პერსონაჟის სახელი, რომელიც შორეული ქვეყნიდან, სვანეთიდან, რაღაც მანქანებით, სრულიად უცხო ქალაქში მოხვედრილა. ახალგაზრდა თავადის ქალი სვანეთიდან რომანში მიკოლოგიის (სოკოების შემსწავლელი მეცნიერება) მასწავლებელი და არასრულწლოვან, 12 წლის ბიჭებზე მონადირე პედოფილია. ჰარინგტონის მიერ მოთხრობილი ეკატერინეს სექსუალური თავგადასვლები ჯანსაღი ფსიქიკის მკითხველისთვის ამაზრზენი და შეურაცხმყოფელია.

დონალდ ჰარინგტონის ამ მადარე ხარისხის რომანის გამოჩენას აღფრთოვანებული შეფასებები არ მოჰყოლია. მაგრამ რომანის მხატვრულ ღირებულებაზე მსჯელობენ ისეთ სერიოზულ გამოცემათა მიმოხილველები, როგორიცაა მაგ.: „ნიუ იორკ თაიმსი“ და „ვოშინგტონ პოსტი“. გენდერული რევოლუციის იდეების მხარდამჭერთა გააქტიურების ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ ნეგატიურ შეფასებებთან ერთად, ჰარინგტონის ექსპერიმენტს მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ. აღსანიშნავია, რომ „ეკატერინე“ რამდენჯერმე გამოიცა და მის პოპულარიზაციაზე სერიოზულად მუშაობენ ნეოლიბერალური ძალები.

„დიდი გასართობი ავტორისაგან, რომელსაც კარგა ხანს ძალზე ცოტა ვინმე თუ იცნობდა: შესაძლოა მხოლოდ ნაბოკოვისადმი (განსაკუთრებით „ლოლიტასადმი“) იდიოტური მოწიწების გამო მიიპყროს ყურადღება მისმა ესოდენ შთამბეჭდავად სქელტანიანმა რომანმა.“ შეუძლებელია არ დაეთანხმოთ სტატიის ავტორის დასკვნას, რომ მწერლური ოსტატობის თვალსაზრისით, დონალდ ჰარინგტონის რომანი დიდად ჩამოუვარდება ნაბოკოვის „ლოლიტას“.

მაგრამ ჯინი ბოთლიდან ამოშვებულია. მაგიური რეალობის ჟანრში მომუშავე მწერალი, ვისთვისაც მთავარია პოპულარობა, გაერკვეული ჯგუფების ინტერესებს აკმაყოფილებს და ქმნის სუბკულტურულ ლიტერატურულ, უფრო ზუსტად, პორნოგრაფიულ პროდუქციას. ამასთან, არად დაგიდევთ საავტორო უფლებებს, ეთიკის ელემენტარულ ნორმებს და საკუთარ მდიდარ სექსუალური ფანტაზიებს თავს ახვევს რომანის ცენტრალურ ფიგურას, ეკატერინეს, სვანეთიდან უცხოეთში გადახვეწილ ქართველ ქალს.

დონალდ ჰარინგტონის რომანის შეფასებათა არსენალის გაცნობისას შეხვდებით ინფორმაციას, თითქოს ამერიკელი მწერლის რომანმა, „ეკატერინემ“, 1996 წელს პრესტიჟული ჯილდო, დუბლინის საერთაშორისო ლიტერატურული პრემია დაიმსახურა. მკითხველს შევახსენებ, რომ აღნიშნული ჯილდო მიღებული აქვთ ისეთ ავტორებს, რომელთა ნაწარმოებების მაღალმხატვრული ღირებულება ეჭვს არ იწვევს. ამიტომ ამ ცნობამ გარკვეული უნდობლობა გააჩინა. მართლაც, ფაქტის გადამოწმებამ გამოავლინა ჰარინგტონის თანამოაზრეთა, მისი იდეების მხარდამჭერთა მუშაობის სტილი და არაკეთილსინდისიერება. აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ გულუბრყვილო მკითხველზე გათვლილი იაფფასიანი მარკეტინგული ხერხი აღმოჩნდა და მეტი არაფერი. რომანის პოპულარიზაციისა და სარფიანად გასაღების მიზნით გაშვებული დეზინფორმაცია. „ეკატერინეს“ არ მიუღია დუბლინის პრემია, 1996 წელს იგი მხოლოდ კონკურსზე წარდგენილ ნაწარმოებთა ე.წ. „ვრცელ სიაში“ (**Long List**) იქნა შეტანილი და სრულიად კანონზომიერად, „მცირე სიაშიც“ (**Short List**) ვერ მოხვდა. ეს არის ლიბერტარიანელი მწერლების ჭეშმარიტი სახე.

მხატვრული სიახლით, იდეის სიღრმითა და მწერლური ოსტატობით ჰარინგტონის რომანი ახლოს ვერ მიდის იმ ავტორებთან, რომელთა ნაწარმოებებსაც დამსახურებულად მიენიჭათ დუბლინის საერთაშორისო პრემია. ესენია: დევიდ მალუფის „ბაბილონის გახსენება,“ (1996), ჰერტა მიულერის „თეთრი მზე“ (1997), მიშელ უელბეკის „ელემენტარული ნაწილაკები“ (2002), ორჰან ფამუქის „ჩემი სახელი წითელია“ (2003), კოლმ ტოიბინის “ოსტატი“ (2006) და სხვ.

კატი დადეშქელიანის მემუარებით მანიპულირების მცდელობა მხოლოდ დონალდ ჰარინგტონის ექსპერიმენტით არ შემოიფარგლება.

1997 წელს, ნიდერლანდებში, ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ერიკა ბლოკის პიესა სათაურით „სიარული ოსპის მარცვლებზე“. ე. ბლოკის პიესა შესულია კრებულში: „სუბვერსიები: ისტორიასთან თამაში ქალთა თეატრში“. ეს არის თანამედროვე დრამა, რომელშიც კატი დადეშქელიანი, იგივე მამა-

კაცის მუნდირში გადაცმული „ჯემალ დადეშქელიანი“ ავტორმა თავის პიესაში ქალების გულთამპყრობელ ლოველასად გამოიყვანა. ჯემალ დადეშქელიანი დრამაში ქალებთან მოარშიყე უბადრუკ არსებად გამოიყურება.

გაბრიელა გრიფინისა და ელენ ეშტონის წერილში, რომელიც წიგნს ახლავს და დასათაურებულია როგორც „შესავალი ფემინიზმსა და თეატრზე,“ აღნიშნული პიესის განხილვას მთელი თავი ეძღვნება. წერილის ავტორთა შეფასებების პათოსი მთლიანობაში ასე გამოიყურება: „ეს არ არის „გამონაკლისის“ სახით დადგმული ცხოვრება, ეს არის „გამონაკლის ცხოვრებათა ერთობლიობა“... უფრო მეტიც, ეს არის ის ერთი, რომელიც სარკისებურად აირეკლავს შენიღბვის საფრთხეს და სწრაფვას, რომელიც ლესბოსური გაერთიანებებისთვის არის ნიშანდობლივი“...

საყურადღებო ფაქტია, რომ აღნიშნული წიგნები, ზოგჯერ სამეცნიერო კვლევებით გამდიდრებული, ძალზე მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული გამოცემებია და თუ გავრცელების არეალით ვიმსჯელებთ, ეჭვს არ იწვევს, რომ ორგანიზაციები, რომელთა დაკვეთით აღნიშნული ე.წ. ლიტერატურული პროდუქცია იქმნება და საეჭვო ავტორიტეტის მწერლებს უკვეთავენ, უხვად ფინანსდება.

„შენიღბვის საფრთხედ“ წოდებულ ქალის მამაკაცად გადაცმის ფაქტებს იმავე პერიოდში გამოქვეყნებულ სხვა მკვლევართა სტატიებსა და წიგნებშიც შეხვდებით, სადაც კატი დადეშქელიანის მაგალითი ხშირად ნიმუშად არის მოტანილი. ადამიანის უფლებადამცველთა ნიღაბს ამოფარებულ, მრავალფეროვანი სექსუალური ორიენტაციის გაერთიანებათა მკვლევრებს დასავლეთში ვრცელი ასპარეზი აქვთ დათმობილი. გენდერულ სიჭრელესა და გლობალური სექსუალური რევოლუციის იდეებზე დაყრდნობით, ისინი საკუთარ ინტერესებს დაუბრკოლებლად ახვევენ თავს ისტორიულ პიროვნებებს.

სამწუხაროა, რომ კატის მემუარებმა ასე აქტიურად მიიპყრო ფემინისტური ორგანიზაციების ყურადღებას და სქესის ახლებური გაგების ლიბერტარიანელმა ადეპტებმა მემუარების იდეურ-მსოფლმხედველობრივი არსის სრული დეფორმაცია მოახდინეს, რაც ტრადიციული კულტურების ნგრევისა და სუბკულტურალიზმის შენების პროცესში ქართველი გმირი ქალის სახელით სპეკულირებად აღიქმება. შედეგად ვიღებთ სავალალო სურათს. ტუკი ადრე საოციალურ ორიენტაციას, აინტერესებთ, იღებდა თუ არა ალკოჰოლს ან გატაცებული იყო თუ არა ნარკოტიკებით და სხვა მსგავსი მდაბიო, ღირსებით სავსე ქალის დაკნინების მცდელობებით.

სქესის ინოვაციური გაგებით შეიარაღებული და პოსტმოდერნული სამყაროს განასერში მოაზრებული „ახალი ადამიანის“ იდეა, რომელიც კატი დადეშქელიანის სახელსაც დაუკავშირდა, ერთობ მიმზიდველი თემა აღმოჩნდა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანთა ცხოვრებაზე საჯარო დისკუსიის დასაწყებად. საშუალებად კი გამოყენებულ იქნა ფსიქოლოგიის თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგები. დაიწყო საკუთარი იდენტობის გაცნობიერებაზე საჯარო დისკუსია. თანდათან მწერლობა ანდროგენული რევოლუციის პროპაგანდის იარაღად იქცა, რასაც საზოგადოების ცნობიერებაში სქესობრივი იდენტობის ტრადიციული გაგების რღვევა და არატრადიციული სქესობრივი ორიენტაციის ადამიანთა გააქტიურება უნდა მოჰყოლოდა.

ამერიკელი მწერლის დონალდ ჰარინგტონის რომანი „ეკატერინე“ და ერიკა ბლოკის პიესა „სიარული ოსპის მარცვლებზე“ გენდერიზმის პოპულარიზატორთა მიერ თავიანთი მიზნების განხორციელების ონტოლოგიური საფუძვლების გამოხატულებას წარმოადგენს და სამოციან წლებში დაწყებული ფემინისტური მოძრაობის მეორე და მესამე ტალღას ეფუძნება, რომელიც უმთავრეს პრიორიტეტად ტრადიციული კულტურის ძირფესვიანად გარდაქმნას ისახავდა მიზნად და უპირატესობას ქალის პიროვნულ თავისუფლებასა და ავტონომიურობას ანიჭებდა. ამ მოძრაობის აქტივისტებმა უარყვეს ტერმინი „სქესი“ და ის „გენდერით“ ჩაანაცვლეს.

გენდერ-ის იდეა, ფემინისტური მოძრაობისა და უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა უმალვე აიტაცეს და ის თავიანთი ექსპერიმენტული ძიებების მთავარ ღერძად აქციეს. მათ უკუაგდეს ქალისა და მამაკაცს შორის ფიზიოლოგიური სხვაობის დამადასტურებელი ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური კვლევები და განავითარეს მოსაზრება, რომ ქალებად და მამაკაცებად კი არ იბადებიან, არამედ ასეთებად ყალიბდებიან. ამ თვალსაზრისის მთავარი იდეოლოგი, ამერიკელი მკვლევარი, ფილოსოფიის დოქტორი იუდით ბატლერი, რომელიც არ ფარავს თავის ლესბოსელობას, გვთავაზობს თავის მრავალწლიან ძიებათა შედეგად მიღებული მოიღო და მინიმუმ იმ ხუთი გენდერის არსებობის მტკიცებულებად გამოიყენეს, რომლებიც, „თანაბარნი არიან და ასეთებად უნდა მიიღოს საზოგადოებამ“.

აღსანიშნავია, რომ ბატლერის მიმდევრები, რომლებმაც ევროპაში ორმოცი გენდერ-ინსტიტუტი შექმნეს და სამი ათასი გენდერ-დამკვირვებელი ჰყავთ, ამ ხუთსაც არ დასჯერდნენ და მათი რიცხვის გაზრდას, ბატლერის გამონათქვამი რომ მოვიშველიოთ: “გენდერული იდენტობის სუბიექტური გაცნობიერების ხარჯზე“ ცდილობენ.

ასეთმა მიდგომამ უკვე ოთხმოციან წლებში მასობრივი ხასიათი მიიღო – ეწყობოდა აქციები ქალთა უფლებების დასაცავად, იქმნებოდა ახალი ორგანიზაციები, არაფორმალური გაერთიანებები. ფართოდ დამკვიდრდა ტერმინი „გენდერი“ როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტი, რაც იუდით ბატლერის გავლენით, გაგებულ იქნა როგორც სოციალურ – კულტურული ერთობა, რასაც საზოგადოება აკისრებს ადამიანს, მიუხედავად მისი სქესობრივი კუთვნილებისა. დღეს გენდერის თეორეტიკოსებისთვის, მაგ რ. კონელისთვის: „სხეულისა და სოციალური პრაქტიკის მიმართება გადამწყვეტი ფაქტორია“.

1996 წელს, ტ. პულკინენმა წიგნში „პოსტმოდერნი და პოლიტიკური მოღვაწეობა“ იუდით ბატლერის თეორიის შეფასებისას, პოსტმოდერნის ცნება მოიშველია და აღნიშნა, რომ ბატლერი თავის იდეებს აყალიბებს ორი თეორიული ბერკეტის მეშვეობით, ესენია: გენდერი და პერფორმატულობა. ამასთან, ხაზი გაუსვა, რომ ტერმინი „გენდერი“ უკავშირდება ფემინისტურ იდეას, რომელიც ამტკიცებს, თითქოს გოგონებად და ბიჭებად ჩვენ გვზრდის კულტურა, რომელიც თავისთავად ათასგვარ ისეთ ნორმას, ღირებულებასა და ინსტიტუტს მოიცავს, რაც ქალსა და მამაკაცს შორის სხვაობას განაპირობებს“.

ბატლერისა და მის მიმდევართა იდეებს, მედგარ წინააღმდეგობას თავად ამერიკელი მეცნიერები უწევენ. მაგ. ცნობილი ამერიკელი ფსიქიატრი ჯოზეფ ნიკოლისი თავის ნაშრომებში აჩვენებს, რომ: “ჩვენში იდენტობის საკითხი მოწოდებულია, როგორც სამოქალაქო სამართლისა და თვითგამორკვევის საკითხი. ჩვენ, ამერიკელები, თავისუფლების მოყვარე ხალხი, ისე გაგვიტაცა ამ საკითხმა, რომ საკუთარი საყრდენები დავკარგეთ. ჩვენი საზოგადოების გაცილებით გავლენიანი ინსტიტუტები – პროფესიული ფსიქოლოგია და ფსიქიატრია, ეკლესია, საგანმანათლებლო სისტემა და საინფორმაციო საშუალებები – ტყუილის მსხვერპლად იქცნენ იმდენად, რამდენადაც გეი – ეს არის საკუთარი თავის მოტყუების გზით აღმოცენებული იდენტობა“.

არც ევროპელი მეცნიერები დარჩენილან გულგრილი გენდერული რევოლუციის იდეების მიმართ. მედიცინის დარგში მოღვაწე სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ „ბუნების ასეთი შეცდომები“, მთელი კაცობრიობის არაუმეტეს ერთი პროცენტია. ექიმების მიერ გამოქვეყნებული ციფრები ააშკარავებს გენდერიზმის იდეის მომხრეთა მცდელობას, ხელოვნურად გაზარდონ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანთა და მათ მომხრეთა რაოდენობა და დაამკვიდრონ სქესის არა როგორც ფიზიოლოგიური მოცემულობის, არამედ როგორც ფსიქოლოგიური თავისებურების გაგება, სოციალურ ყოფასთან განსაკუთრებული ფუნქციით დაკავშირების გზით.

გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლას რომის პაპმა ბენედიქტ XVI ზუსტი და გონებამახვილური შეფასება მოუძებნა და მას „ანთროპოლოგიური რევოლუცია“ უწოდა. ხოლო გაცილებით ადრე ოტო ვეინინგერის მოწაფემ, ფროიდის ასისტენტმა, მარქსისტმა ვილჰელმ რაიხმა თავის ერთ-ერთ ნაშრომს, „სექსუალური რევოლუცია“ უწოდა, რამაც თავის დროზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და მძაფრი შეფასებები მოჰყვა, მაგრამ დღეს ძალზე პოპულარულია. ნიშანდობლივია, რომ თავისი ნაშრომისადმი საზოგადოების რეაქციაზე ვ. რაიხი წერდა:“ლიბერალიზმისა და დემოკრატიისადმი მიძღვნილ ჩემს ნაშრომებში ისეთივე სერიოზული საფრთხე დაინახეს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალიზმის, ანდა გერმანელი ქალის ღირსებაში.

რაიხი აღფრთოვანებით შეხვდა 20–30-ათიან წლებში საბჭოთა რუსეთში მომხდარ გარდაქმნებს. ასევე მიესალმებოდა ფროიდიც 1926 წელს რუსეთის რევოლუციურ „ექსპერიმენტს“ და იმედოვნებდა, რომ ის უცილობლად წარმატებით დაგვირგვინდებოდა.

ლაპარაკია ლენინის მიერ 1917 წელს გამოცემულ დეკრეტსა და მის შედეგებზე, ქალისა და მამაკაცის უფლებების გათანაბრებასა და, იმავდროულად, ჰომოსექსუალიზმის დევნის შეწყვეტაზე. ლენინი წერდა: „ქალის მდგომარეობა ამჟამად ისეთია, რომ ყველაზე განვითარებულ ქვეყნებთან შედარებითაც კი, შესაძლოა, მას იდეალური ვუწოდოთ“.

საბჭოთა სექსუალური რევოლუცია დღემოკლე აღმოჩნდა. სქესობრივი სიყვარულის გამოცხადებამ „თავისუფალ ადამიანთა იდეალურ კავშირად, რომლებსაც ერთმანეთი დამოუკიდებლობის პირობებში უყვართ“ მძიმე სოციალური პროცესები გამოიწვია. სექსუალური თავისუფლების იდეას ბევრი რევოლუციონერი აქტიურად უჭერდა მხარს, მათ შორის ლენინის დიდი მეგობარი და თანამებრძოლი ალექსანდრა კოლონტაიც, განსაკუთრებით კი ტროცკი, მაგრამ სექსუალური თეორიების პრაქტიკაში ხორცშესხმის იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა და ჰომოსექსუალიზმმა, აბორტის თავისუფლებამ, ახალგაზრდულმა კომუნებმა და ბავშვების კოლექტიურმა აღზრდამ შიმშილისა და სამოქალაქო ომის პირობებში, ქვეყანაში არნახული სოციალური ქაოსი გამოიწვია...

მცირე ექსკურსს გენდერული რევოლუციის სამყაროში, სადაც სრულიად უაზროდ და უადგილოდ ქართველი გმირი ქალი აღმოჩნდა, დავასრულებ ამონარიდით რადიკალური ჰუმანიზმის იდეოლოგის, მე-20 საუკუნის თვალსაჩინო მოაზროვნის, ფილოსოფოს ერიხ ფრომის (1900–1980) მონოგრაფიიდან „ადამიანის სული“, სადაც ავტორი ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე საზოგადოების ფსიქო-სოციალური განვითარების მანკიერ მხარეზე და ამგვარ დასკვნას გვთავაზობს:„მამაკაცი და ქალი ერთნაირები გახდნენ, ნაცვლად იმისა რომ, როგორც საწინააღმდეგო პოლუსები, თანასწორები გამხდარიყვნენ. თანამედროვე საზოგადოება თანასწორობის ამ იდეის პროპაგანდას ეწევა ინდივიდუალობის გარეშე, რადგან მას იმგვარი ადამიანური „ატომები“ სჭირდება, რომლებიც ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება, რათა ისინი აიძულოს იმგვარად იფუნქციონირონ, როგორც ერთიანმა მექანიზმმა, ყოველგვარი ხარვეზებისა და წინააღმდეგობების გარეშე, ყველანი ერთსა და იმავე ბრძანებას რომ დაემორჩილონ, მაგრამ ამასთან, ყველა დარწმუნებული იყოს, რომ საკუთარი სურვილის შესაბამისად მოქმედებს. როგორც თანამედროვე მასობრივი წარმოება მოითხოვს საქონლის სტანდარტიზაციას, საზოგადოებრივი განვითარებაც მოითხოვს ადამიანის სტანდარტიზაციას და ამ სტანდარტიზაციას „თანასწორობას“ უწოდებენ“.

კატი დადეშქელიანის, გმირი ქართველი ქალის ბიოგრაფიით მანიპულირება აღიქმება როგორც ფსევდოლიბერალების მიერ ანთროპოლოგიური კრიზისის ხელოვნურად გამომწვევი იმპულსი. შემთხვევითი არ არის, რომ სვანეთის მმართველი საგვარეულო შტოს შთამომავალსა და ომის მონაწილე სხა, არანაკლებ ძლიერ ქალებს, რომლებმაც სასწორზე საკუთარი სიცოცხლე დადეს, ისინი ექცევიან არა როგორც ინდივიდს, არამედ როგორც უსულო საგანს, საკუთარი ინტერესების გასატარებელ ინსტრუმენტს, რომელსაც სხვა დანიშნულება არ გააჩნიათ. ნეოლიბერალიზმის ეს ბაირახტრები არად დაგიდევენ საუკუნეობით ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, ღირებულებებს, რომლითაც ადამიანები დღესაც მშვენივრად ახერხებენ გარესამყაროში ორიენტირებასა და თვითდამკვიდრებას, საკუთარი იდენტობის გაცნობიერებას.

ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ კაცის მუნდირით ქალის ომში წასვლა და მამაკაცების გვერდით ბრძოლა არ გვაძლევს უფლებას, რომ უსათუოდ ტოლობის ნიშანი დავსვათ მათსა და განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ქალებს შორის. ქალი ოჯახშიც ხშირად ითავსებდა ომში წასული ქმრის ფუნქციას. ქართულში დამკვიდრებული სიტყვა „დედაკაცი“ ამ რეალობის ანარეკლია. ნეოლიბერალების მიერ „თავისუფლებისა და თანასწორობის“ იდეებით სპეკულირებას, პერსპექტივაში, ჯანსაღი ტრადიციები გადაწონის, რადგან ასეთია ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა, მისი იმანენტური თვისება, რასაც გნოსეოლოგიური ფესვები კულტურულ-ისტორიულ წარსულში აქვს განტოტვილი.

XVI საუკუნის მიწურულს შექსპირი ჰამლეტს ათქმევინებს: „დრო მოწყდა თავის ანჯამს“. სიმბოლური დატვირთვის მქონე ეს ფრაზა, სამწუხაროდ, დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც სწორუპოვარი დრამატურგის ეპოქაში.

იმედი ვიქონიოთ, რომ მხოლოდ დროებით!

**ქეთევან ტომარაძე**
595 85 09 36






# „მკიდია, რას ფიქრობთ ჩემზე“

სხვა საოცრებეთან ერთად, ერთი ვიდეოკადრიც ვნახე ამ დღეებში, სადაც ლგბტ საზოგადოების, ანუ როგორც თავიანთ თავს უწოდებენ „თავისუფალ“ ადამიანთა ცეკვა-სიმღერის სცენები იყო აღბეჭდილი ლგბტქ კვირეულიდან.

სხვებთან ერთად ასფალტზე ფეხშიშველი ცეკვავდნენ ნათია კობერიძე და ანა სუბელიანი.

ანა სუბელიანი, გახლავთ, პირველ რიგში, დედა და ის ქალბატონი, რომელიც მსუბუქი ნარკოტიკის ლეგალიზაციის მოთხოვნისთვის აქციაზე საქართველოს დამოუკიდებლობისთვის 1989 წლის 9 აპრილს მტრის მიერ დახოცილი ქართველი ახალგაზრდების პატივსაცემად აღმართული მემორიალის თავზე იყო ასული და იქ ცეკვავდა. ცეკვავდა კი არა, როკავდა მთავრობის სახლის წინ, შოთა რუსთაველის გამზირზე, ხოლო ნათია კობერიძე იმ ე.წ. მოდელირებული ქრონიკის წამყვანი ბრძანდება, რომელმაც ქართველი ხალხი თავის დროზე შოკში ჩააგდო, ადამიანებმა გულის შეტევა მიიღეს და ბევრი გარდაიცვალა კიდეც ამ შოკისგან. მათ შორის ჩემი ყოფილი მასწავლებელიც, უკეთილშობილესი ქალბატონი მერი გოცირიძე. მისი ვაჟი — ქართლოსი იმ პერიოდში ჯარში მსახურობდა. სასწაულით იყო გადარჩენილი აგვისტოს ომს და დედამ რომ წარმოიდგინა, როგორ დაიღუპებოდა მისი შვილი ახალ ომში მტერთან შეტაკებისას, მომენტალურად სული განუტევა.

ნათია კობერიძე სოციალურ ქსელში ნათია ჭკუასელის სახელით არის დარეგისტრირებული. ვერ გეტყვით, ქალბატონი ნათია კობერიძეა, ჭკუასელია თუ „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი იდეოლოგის, თავის თავზე რომ ამბობდა, ციყვი ვარო, იმ მიხეილ თავხელიძის გვარს ატარებს, მაგრამ ფაქტია, რომ ის არის ქალბატონი, რომელიც ხშირად ეფერება სოციალური ქსელიდან ამერიკაში სასწავლებლად გამგზავრებულ თავის ერთადერთ ქალიშვილს...

დედა ხარ, ქალო, ცოტა თავი შეიკავე-მეთქი, მინდოდა მიმეწერა, მაგრამ, რომ დავფიქრდი, თავად შევიკავე თავი ქალბატონ ნათიასთან პოლემიკისგან.

უნდა ითქვას, კარგი ცეკვა სცოდნიათ ქალბატონ ნათიას და ქალბატონ ანას. აფერუმ! ტკბილად ეხუტებოდნენ ერთმანეთს და სხვა „თავისუფალ“ ადამიანებთან ერთად ბედნიერი სახეებით თავიანთ „თავისუფლებას“ ცეკვით გამოხატავდნენ, ათეულობით ლგბტ-ელთან ერთად, ქუჩაში. ასფალტზე ეყარა ცისარტყელას ფერების და საქართველოს დროშის ქაღალდის მოდელები.

ვიდეოს კომენტარებში არავის დაუგმია ლგბტ შეკრება. ორმა მამაკაცმა დაწერა მხოლოდ — იცეკვეთ და იმღერეთ, მაგრამ ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოს, ქართულ დროშას ნუ თელავთ და ნაგვად ნუ აქცევთო.

„**D.M.** — საქართველოს დროშა რომ დაბლა გდია თქვენს გვერდით და ფეხით დგებიან ზედ ეგ არაუშავს? თუ მთავარია მრავალფეროვანი დროშა ფრიალებდეს და დანარჩენს ეშველება.

**დ.ა.** — ამ დროშის გამო ტონობით სისხლია დაღვრილი და ადამიანებმა თავი შესწირეს. ბოდიში მოიხადონ იმათ ორგანიზატორებმა სწრაფად და საჯაროდ!!!

**Natia Chkuaseli** — ღმერთო! რა იდიოტები ხართ! გააჯვით ახლა აქედან.

**Natia Ch.** — უკიდურესი ყ-ები ხართ! არსად გადამეყაროთ.



David Makishvili
Natia Chkuaseli გამლანძღავთ? და რისთვის? სამართლიანად პროტესტი რომ გამოვხატე თქვენს მიერ გაზიარებულ ვიდეოზე სადაც ეროვნული დროშის აშკარა უპატივცემულობა ჩანს ამის გამო? ჯობია ვიდეო ჩანაწერს ყურადღებით დააკვირდეთ.
მომწონს · 1 დღე

აკაკი ფოლადაშვილი
Natia Chkuaseli ყოფილა თურმე?
მომწონს · 1 დღე

Natia Chkuaseli
ღმერთო! რა იდიოტები ხართ! გააჯვით ახლა აქედან

**ა.ფ.** — ქალბატონო, სიჩქარეში არავის გადაურთო რომ გადამეყრები.

**Natia Ch.** — ა.ფ. ყ-ეო!!!

**D.M.** თქვენ ქალბატონო ზრდილობასთან არ მეგობრობთ?

**Natia Ch.** — **D.M.** გააჯვი ყ-ეო!!!

**Natia Ch.** — ა.ფ. გცემ შე ყ-ეო! არსად შემხვდე!

**Natia Ch.**— ორივე ყ-ემ გააჯვით აქედან, თორემ უარესს დავწერ.

**D. M.** — თქვენ ფსიქიკურად ჯანმრთელი ხართ? რა სიტყვებით მომმართავთ?

**Natia Ch.** — გააჯვი მეთქი, შენით! დროზე! ყ-ეო!

**Natia Ch.** — ა.ფ. ვინც არ შემეხმიანოს, იყოს უყ-ევესი!

**Natia Ch.— D. M.** ამ დროშას მეორე მხრიდან პრაიდის დროშა აქვს. ოე! ყ-ეებო!

**D. M.** — შეურაცხყოფას ნუ მაყენებთ ქალბატონო, დაფიქრდით სანამ რამეს დაწერდეთ.

**Natia Ch.— D. M.** ყ-ე ხარ! სანამ ასე აზროვნებ. მე რა ვქნა?

**Natia Ch.** — ა.ფ. აქ ჩამოდი, თბილისში. გელოდები!

**D. M.** — უზრდელი ხართ თქვენ ქალბატონო.

**Natia Chkuaseli — D. M. მკიდია რას ფიქრობთ ჩემზე**“.

ეს არის კობერიძე-ჭკუასელის და მისნაირების ლიბერალური იდეოლოგია და განვითარება, რომელიც განვითარება კი არა, ჭკუის სისუსტესთან ერთად ზნეობრივი დაცემაცაა...

ზოგადად, ლიბერალიზმი, ანუ ყველანაირი შეხედულებისადმი შემწყნარებლობა, თავისუფლების ტრფიალი, არ გულისხმობს სახელმწიფოსადმი შეფურთხებას, არ გულისხმობს ადამიანის ბუნების გმობას.

პირდაპირ ვიტყვი: ლგბტ საზოგადოება არის ადამიანური რასის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ჯგუფი, რომელიც იდეაში გულისხმობს კაცობრიობის გადაშენებას, მისი ბუნებრივი ბიოლოგიური გამრავლების გაუკუღმართებას და შეცვლას.

ეს არ არის მენტალური პროცესი.

თუმცა რაღა არ არის, ქალბატონი ნათიას, ანას და სხვა ნათიების და ანების ტვინი და გონება იმდენად არის შერყვნილი და მოწამლული, რომ პირიდან მხოლოს სასქესო ორგანოების სახელები ამოსდით.

რელიგიური თემები, ზოგადად, იმდენად ღრმა, მგრძნობიარე და სერიოზულია, არ ვაპირებ მათზე საუბარს. მაგრამ შეუძლებელია, არ დამეთანხმოს ვინმე იმაში, რომ, თუ არსებობს სხეული, არსებობს სულიც. თვალით უხილავი რამ, რომელიც სხეულს ამოძრავებს, ააზროვნებს, ქმედებების საშუალებას აძლევს, განგვარჩევინებს ერთმანეთისგან ჭკვიანს, სულელს, კარგს, ცუდს და ა. შ. სხეული, როგორც ამბობენ, სულის ჭურჭელია და თუ ამ სხეულის სამეტყველო ორგანო მხოლოდ ადამიანის გენიტალიების სახელებს წარმოთქვამს და ამავე დროს პატივს არ სცემს სახელმწიფოს, ქვეყანას, ერს, ხალხს და ქვეყნის მთავარ სიმბოლიკას — დროშას, ის ადამიანი, ლგბტ იქნება, ან ვინც გინდა იყოს, ადამიანის სახედაკარგული ფიზიკური არსებაა, რომელიც ჭამს, კუჭის მოქმედებები აღენიშნება და შეუძლია ცეკვა.



ასეთმა ადამიანმა გინდ ლიბერალი დაირქვას, გინდ კოსმონავტი, მას დაკარგული აქვს სახე და არც ერთი ადამიანად დაბადებული არ შეუერთდება მათ სულისკვეთებას, რადგან ადამიანი გაჩენილი არაა მხოლოდ კუჭის მოქმედების მქონე ბიოლოგიურ არსებად, რომელსაც არაფერი სარგებელი არ მოაქვს დედამიწისთვის, ხოლო, რასაც სარგებელი არ მოაქვს, არის ზედმეტი და გადაშენება არის მისი მომავალი.

იმ განსხვავებული ორიენტაციის ადამიანების აგრესია და ზეწოლა ტრადიციული ორიენტაციის ადამიანებზე არის ბიოლოგიური ომის გამოხატულება.

როგორც ყველაფერს, დედამიწის ბიოლოგიურ წესრიგს, ფლორას, ფაუნას, ადამიანებს, როგორც დედამიწის, ბუნების ნაწილს, ალბათ, ახასიათებთ ცვლილებები, ტრანსფორმაციები, ამას ვერავინ შეეწინაღმდეგება, მაგრამ თუკი ეს ტრანსფორმაცია დედამიწაზე ადამიანთა რასის გადაშენებას მოასწავებს, ეს არ შეიძლება იყოს პროგრესული მოვლენა.



ჩვენ შევდივართ თუ შევედით დაუნდობელ ბიოლოგიურ ომში სქესაღრეულ არსებებთან, რომლებიც განვითარების უმდაბლესი საფეხურისკენ მიგვაქანებენ.

ცნობილია ჭიების და მწერების სახეობები, რომლებიც თვითგამრავლებით გამოირჩევიან ან ერთნაირი სქესის არსებებთან წყვილდებიან.

მცენარეებში თვითდამტვერვაც ჩვეულებრივი ამბავია.

მაგრამ ადამიანი არის ადამიანი.

ის არის ბუნების თავისუფალი შვილი და ცოცხალი ბუნების გვირგვინი.

ადამიანის სულისა და ხორცის ძალადობრივი და ტოტალური ბილწვა და გადაგვარება ბიოლოგიური წესრიგის წინააღმდეგ მოქმედებაა, რაც, ყველანაირი ლოგიკით, კატასტროფით დამთავრდება და თუ ეს ყველაფერი გარდაუვალია, ჩვენ ტაშს ნუ დავუკრავთ, ზარ-ზეიმით ნუ შევეგებებით ამას და თვითგანადგურების საბედისწერო როკვაში ნუ ჩავებმებით ნურც ნიუ-იორკში თაიმს-სქვერზე და ნურც რუსთაველის გამზირზე თბილისში.

მშვენივრად ესმის ეს ქართველ ხალხს და ამიტომაც მიიღო პასუხი ლგბტქ პროპაგანდამ გუშინ.

საქართველომ დამტკიცა, რომ მიუხედავად მრავალმხრივი შტურმისა, ის ცოცხალია და იბრძოლებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ნათია კობერიძე-ჭკუასელი-თავხელიძე თუ ვინც არის, ანა სუბელიანი და მათნაირები კი დარჩებიან პირში ჩალით და მათ მიერ უშნოდ აკვიატებული ყ-ით ხელში.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ყოვლისმცოდნე საზოგადოება, მე და მუდრეგი კოვიდ-19

დადგა დრო, დავწერო... მით უფრო, იმიტომ უნდა დავწერო, რომ იმ პერიოდში, ბარემაც დღემდე, ძალიან ბევრი „მასწავლებელი“, ანუ ჭკუაზე დამრიგებელი გამომიჩნდა!

მეგობრებო, ამა წლის (2021) მეხუთე თვის (მაისი) 2 რიცხვში (სავარაუდოდ) კოვიდ 19-ით (კორონა) დავინფიცირდი. ყველაფერი ისე მოხდა, ქართულად... აღდომა დღეს სოფელში ჩავედი, აკრძალვის გამო მამაჩემის საფლავზე ვერ გავიდოდი, წითელ კვერცხს ვერ გავაგორებდი, მაგრამ დედაჩემს სასმელ-საჭმელი ჩავუტანე... ის დილა იყო, აღდგომის დილა (ხელს ვერავის დავადებ), კარს გარეთ ცხვირი გავყავ თუ არა, ეგრევე დამეტაკნენ „ტრუსიკის“ მეგობრები, მოდი, ჩაგეხუტოთო, მპუამპუა, რამდენი ხანია არ გვინახიხარ, ბიჭოვო... მართალია, დიდი კაცი ხარ, მაგრამ ბალღობი ძმაკაცებიც არ უნდა დაივიწყოვო, ეგრე არ არი, შენ რო გგონიაო, წამო, თითო ჭიქა დავლიოთო. ჰო, კაი, ყველაფერი გავიგე, შეიძლება ვტყუივარ, მაგრამ ერთი ეს ჩემი დიდკაცობა საიდან მაიტანეთ-მეთქი? იიი... ბიძინა ივანიშვილ პირადათ ხო იცნობო? ჰო, ვიცნობ-მეთქი, ეხლა „ატკაზ“ ხო არ დავარტყამდი? რომც დამერტყა, დამიჯერებდნენ რო? იიი... გვახსომს, ივანიშვილ შეკითხვებ რო უსვამდი ხოლმე და ჩვენ კიდე გვეამაყებოდა ხოლმეო.

ეეჰ... ძაან ჯიგრები არიან „ტრუსიკის“ (სიყრმის) მეგობრები, ზოგიერთი ათი, თხუთმეტი, ოცი წელი რომ არ გინახავს, ტკბილია ბავშვობისდროინდელი ფიქრების აშლაც, მაგრამ ძველებურმა მპუა-მპუებმა, ხვევნა-კოცნებმა და უპირბადეობამ (მივხვდი) დიდ ხათაბალას კი გადამყარა. არ ვიცი, რომელს ჰქონდა, რაღაც სპეციფიკური სუნი ვიგრძენი ერთისგან, შეიძლება ეს არც იყო კორონას სუნი (რაღაც მოტკბო ოხშივარი) შეიძლება ღვინის სუნში ამერია, მაგრამ თან არა მგონია. აი, იმ წუთას კი ვუთხარი საკუთარ თავს: გელა, ეხლა სავარაუდოდ შენ კორონა აიკიდე, თუ გადარჩი, მაგარი იქნები-მეთქი. ასე აგიხდეთ ყველა სიკეთე, როგორც ჩემი წინასწარმეტყველება ახდა, 3 მაისს რომ დამეწყო ორგანიზმში ჟრიალი თუ ჟრუანტელი, ხან რომ მციოდა და ხან კიდევ მცხელოდა, ეს იყო რაღაც საშინელება. თითქოს ვიღაცა ჩამისახლდა ორგანიზმში და დაიწყო ჩემი მართვა... უფრო სწორად, მართვა კი არა, წვალება.

ეგრევე გავქანდი წნორში, უკვე გამოცდილებმა მიმასწავლეს, სად ბდებარეობს კოვიდეჭვმიტანილთა ე.წ. ცენტრი, სადაც გადიან ე.წ. სწრაფ ტესტირებას. მართლაც სწრაფი აღმოჩნდა პირბადიანი ქალბატონი, ცხვირში ჩხირი მატაკა და 10 წუთში გამომიცხადა, არაფერი არ გჭირს, კორონა არ დაგიდასტურდაო. გამოვედი შენობიდან გახარებული, ვისაც ჩემს მიმართ ეჭვები ჰქონდა გაჩენილი, ყველას გადავურეკე, ჯანმრთელი ვარ, კორონა არა, ჩემი ფეხები, ეტყობა, ისე გავცივდი, თბილისიდან რომ მოვდიოდი, მანქანაში დამიბერა-მეთქი. ერთი-ორმა გამოცდილმა ჩაიცინა, 3 დღეში ისევ მიდი, პირველ ჯერზე უმეტესობას ეგეთ პასუხს აძლევენ, სანამ ორგანიზმში ვირუსი კარგად არ გაჯდება, ტესტი არ ადასტურებსო. ოჰ, თქვე ბოროტებო, რეებს ბოდიალობთ, შეგშურდათ, მე რომ ჯანმრთელი აღმოვჩნდი და თქვენ კიდე ერთი თვე ულონოდ ეყარენით-მეთქი? კაცო, რომ გეუბნებით, 3–5 დღეში ისევ მიდი და მერე ვილაპარაკოთო.

გადის 1–2–3 დღე, სიცხეები მაქვს 37–38–39, ყნოსვითი ორგანო მიზიანდება, სუნს ველარ ვგრძნობ. გემოს არ ვკარგავ... სამედიცინო ენაზე რომ ვთარგმნოთ, გემოვნების კვირტი, ანუ რეცეპტორები (როგორც ჩანს) არ დაზიანებულა. ყნოსვითი უნარის დაკარგვამ წითელი ამინთო, უკვე მივხვდი, რომ მუდრეგი კორონა მეწვია. ისევ გავქანდი „ეჭვმიტანილთა რაიონულ ცენტრში“. პირბადიანი ქალი მეკითხება, რაზე მოხვედიო? სიცხე მაქვს და სუნს ველარ ვგრძნობ-მეთქი. ჰოოო... მაშინ ჰოოოვო, თავი გადასწიეო. გადავწიე, ისევ მატაკა ცხვირში სპეციალური ჩხირი (უსიამოვნო შეგრძნებაა), ცოტა ხანს დაველოდოთ, პასუხი რამდენიმე წუთში იქნებაო. მართლაც იყო, დადასტურდა... აბა, ეხლა სასწრაფოდ დატოვე შენობაო, გამომიცხადა პირბადიანმა და თეთრხალათიანმა ქალმა. არც ის უთქვამს, ასე მოიქეციო, ისე მოიქეციო, ეს მიიღე, ის მიიღე, თუ სიცხემ აგიწიოს, „პარაცეტამოლი“ გადაყლაპე ან „ანალგინი“ ყლურწეო... ბოლო-ბოლო, ის მაინც ეთქვა, სახლში ჩაიკეტე, გარეთ არ გამოხვიდე, 2 ათასი ლარი ჯარიმააო. არა, ეგრევე მაჯახა, შენობა დატოვეო. წესით, ასეთ ადამიანებს ასეთ სამსახურებში არ უნდა აჩერებდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, აჩერებენ და რა გინდა, გააკეთო?!



## რა ძირითადი სიმპტომებით ხასიათდება კოვიდ-19?

არ აქვს მნიშვნელობა, კოვიდის რთული შტამი გეწვევათ თუ მარტივი, სიმპტომები მაინც ერთნაირია... პირველ შემთხვევაში რთულად, მეორე შემთხვევაში – შედარებით მარტივად, ანუ საშუალოდ. ამბობენ, ზოგმა ისე მოიხადა, ვერ გაიგოო. როგორც ჩანს, არსებობს უხილავი ვირუსიც. მე შემხვდა საშუალო... თუმცა მქონდა მეორე უფრო მძიმე პრობლემა, ძალიან სწრაფად დაინფიცირდა დედაჩემი, ის 79 წლისაა და ბუნებრივია, პროცესი მძიმედ წავიდა. წევს ქალი, იწვის, სიცხე აქვს 39 გრადუსი. უკვე საშიში მდგომარეობაა. ექიმებს ვიძახებ, მოდიან, ტესტირებას უტარებენ, დასტურდება – კორონაა. ექიმი მეუბნება, ჯერ საშიში არაფერია, „პარაცეტამოლი“ მიეცი, თუ დამძიმდება, დაგვირეკეთ, ან ლაგოდეხის კლინიკაში გადავიყვანთ, ან კიდევ დედოფლისწყაროშიო. სხვათა შორის, ოფიციალური დაფიქსირების შემდეგ ყურადღება გაათმაგდა, რეკავდნენ ჯანდაცვის სამინისტროდან, გურჯაანის ჰოსპიტალსიდან, თელავიდან, სიღნაღის განყოფილებიდან, გვთავაზობდნენ დახმარებას, იჩენდნენ გულისხმიერებას და ასე შემდეგ. ამ მხრივ სამდურავი ნამდვილად არ მეთქმის, პირიქით, დიდი მადლობა ყველას.

სიცხისა და უხასიათობის გარდა, კიდევ რა სიმპტომებით გვიტევს კორონა? პირდაპირ უნდა ვთქვა: ეს არის ძალიან ვერაგი ვირუსი – ციება და ცხელება, ორგანიზმის ბოლომდე მოშლა, ამ დროს თითქოს არც ერთი ორგანო აღარ გემორჩილება, შეიძლება მომენტალურად გაითიშო ან გეგონოს, რომ ითიშები, გონს მოხვალ და ფიქრობ, კაიხანს გეძინა. არის პერიოდები, როცა არავისთან ლაპარაკი არ გინდა... არადა, სწორედ ამ დროს იციან ხოლმე „ყველაფერჩიკმა მასწავლებლებმა“ ჭკუაზე დარიგება. მსგავსი მომენტები მეც მქონდა: კაცი მირეკავს, თავის მიღწევებზე მელაპარაკება, პრეტენზიები აქვს, რომ არ დააფასეს, სანამ ყურადღებას არ მომაქცევენ, ამ ქვეყანას არაფერი ეშველებაო. ვეუბნები, ბატონო იმანო, კოვიდი მაქვს, ვწევარ, ვიწვი, მაცალეთ, გამოვალ მდგომარეობიდან და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი. უჰ, რას ამბობ, ეგ რა ცუდი რამე დაგმართნიაო? თუმცაო, ჩემს მეცნიერულ ნაშრომებს გადმოგიგზავნი, როცა პერიოდულად გონზე იქნები, წაიკითხეო. თან ვბრაზდები, თან მეცინება – კიდევ კარგი, ამას და ამისთანებს ყურადღებას მართლა არ აქცევენ, თორემ საქართველო დღეს აღარ იარსებებდა.

ეს კიდევ არაფერი... გადის ორიოდე დღე, მირეკავს უცხო მამაკაცი, ხმაზე ვატყობ, ასაკოვანია, პროფესორი გახლავართო, ამა და ამ დარგის (აღარ მახსოვს) მეცნიერებათა დოქტორიო... შენ რომ იმანომ დაგირეკა, მე მისი მეგობარი ვარ, შუამდგომლობას ვუწევ, როგორც დიდ მამულიშვილსო.

– მაცალეთ, ცუდად ვარ! – ვგიჟდებისავით.

– თუმცა, ჰო... შენ ეს მითხარი, ოფლი მოგდის?

– დიახ, ოფლიც მომდის და სიცხეც მაქვს.

– აი, ოფლიანობა კიდევ ერთი სიმპტომია ამ ვირუსისა... ჩემი მეგობარი ძალიან მაგარი გამომგონებელია, შეიძლება გაბრაზდეს და სხვა ქვეყანას მისცეს თავისი გამოგონება, ხომ იზარალებს საქართველო? არა, ის ისეთი მამულიშვილია, ამას არ იზამს, მაგრამ რომ ქნას, ხომ ვიქნებით ღირსები?!

– იქნებ სხვა დროს გავაგრძელოთ?! – ვთავაზობ ცოტა უხეშად, ვიღლები, არაქათი მეცლება, ნევროზი მიაქტიურდება. თუმცა რათ გინდა? არ მეშვება, ხან საკუთარ თავზე ბოდიალობს, ხან იმაზე, ვისაც შუამდგომლობს, ხან კიდევ კორონაზე მაძლევს დარიგებებს, მე თავად განვიცდი სიმპტომებსაც და ათასნაირ უცნაურ ციებ-ცხელებასაც და ეს ამბავს მიყვება. ვახ, კაცოოო... მე ლაშქარსა ვარ, ვიღაც პროფესორი იმანოიძე კიდე ჩამჩიჩინებს, ასე კი არა, ისე... ისე კი არა, ასეო.

მეორემ მომწერა, რომ ჩემი მდგომარეობა ქვეცნობიერი ფსიქოლოგიური პანიკაა, რომლის „ალარმი“ ჩაგვიდეს და მესამე წელია ტვინს გვიმუშავებენ.

ამას მწერს ადამიანი, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს, რა არის კოვიდი, არ გამოუცდია, არ დაავადებულა, ღმერთმა ნურც დააავადოს, უფალმა სულ ჯანმრთელად ამყოფოს, მაგრამ არც ასეთი თავდაჯერებულობა ვარგა!

## გადამწყვეტი ბრძოლა კოვიდთან

ვსარგებლობ შემთხვევით, დიდ მადლობას ვუხდი ყოფილ პარლამენტარს გელა გელაშვილს, რომელმაც დიდი ყურადღება გამოიჩინა და რომ არა მისი მონდომება, შეიძლება დედაჩემი კოვიდის მსხვერპლი გამხდარიყო. ბატონი გელა რეკავდა ყოველდღე და აკონტროლებდა სიტუაციას.

დიდი მადლობა დედოფლისწყაროს საავადმყოფოს მედპერსონალს, ხელმძღვანელობას, კონკრეტულად ექიმ ია უსენაშვილს. მათ 12 დღე უშეცდომოდ და თავდადებით იმუშავეს, მე პირადად შეხება არ მქონია, მაგრამ დედაჩემი გადაარჩინეს. ასევე მადლობა სიღნაღის კოვიდცენტრის ხელმძღვანელს, თენგო მოსულიშვილს.

ჩვენ გადავრჩით... სხვებს რომ ვუყურებ, ხან გული მისკდება, ძალიან მძიმე იყო ზოგიერთის დაავადება. თინა ხიდაშელზე სიუჟეტი რომ გავიდა იმ პერიოდში, თვალებს არ დავუჯერე, მსგავსი არაფერი მინახავს. ღმერთმა ყველას აშოროს. დედაჩემი სულ იძახდა, კორონა არ არსებობს, ეგ პანიკაა, გამოგონილია, მსოფლიოს ვინც მართავს, იმათ ბებრების მოშორება უნდათ, რაღაცა შემოაგდეს, უნდა დაგვხოცონო. კაცო, რატომ უნდა დაგხოცონ, როცა გაფრთხილებენ, გეხვეწებიან, თავს გაუფრთხილდი, სახლში იყავი, ჭამე, სვი და მხართეძოზე წამოკოტრიალდი-მეთქი? ვერა, მე ჩემი, იმან თავისი, ვერ გადავათქმევინე, ჟურნალ-გაზეთებში წერია, რომ ტყუილიაო, მოგონილიაო. თუ მსოფლიო მბრძანებლებს ბებრების დახოცვა უნდათ, მაშინ ტყუილი რანაირადღა არი-მეთქი? ეხლა კი დარწმუნდა, რომ კორონა არსებობს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამშვიდობოს გავიდა, ისევ დაიწყო „ქადაგებანი“ ბებრების უმოწყალო ხოცვა-ჟლეტასთან დაკავშირებით. თუმცა, ამასთანავე აღიარებს, რომ ეს იყო რაღაცა ისეთი, რაც ნამდვილად არ ჰგავდა ჩვეულებრივ გრიპს.

ხშირად მეკითხებიან, შეიცვალა თუ არა ჩემს ცხოვრებაში რამე? როგორ გითხრათ... შეიცვალა, თითქოს



დრო უფრო მნიშვნელოვანი გახდა ჩემთვის... უფრო მეტად მივილტვი ბუნებისკენ, ხშირად მიჩნდება სურვილი, გავიდე და ვიხეტიალო ტყეღრეში. ასევე... მიჩნდება სურვილი, ჩემთვის ძვირფას ადამიანებს დავუთმო მეტი ყურადღება. მერედა, რა არის ამაში ცუდი? გამოდის, კორონას დადებითი რაღაცები შემოუტანია შენს ორგანიზმშიო, მეტყვით თქვენ და მართლებიც იქნებით. საქმე ის გახლავთ, რომ ერთია სურვილი, მეორეა – აღსრულება, კოვიდი არ არის ვირუსი, რომელიც 12 დღეში ჩერდება და 2 ან 3 დღეში ქრება... არავინ მოგატყუოთ, ეს ვადები დაწესებულია ვარაუდზე, არავინ იცის, რა დროში და ვადაში გადის შენი ორგანიზმიდან ვირუსი... ან კი გადის საერთოდ? იქნებ სადმე ილექება? მსოფლიო მედიცინა იმასაც ამბობს, ვინც კოვიდი გადაიტანა, ის აღარასოდეს დაინფიცირდებაო, ღმერთმა ქნას, ასე იყოს. კიდევ ბევრ ვერსიებს ანვითარებენ, მაგრამ საბოლოო დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია. ხან მრჩება შთაბეჭდილება, რომ იმაზე უკეთ ვარ, ვიდრე კოვიდით დაინფიცირებამდე ვიყავი. ამას არ მიჯერებენ, არ არსებობსო. თუმცა, ჩემი აზრით, შესაძლოა, კორონას ჰქონდეს ერთი დადებითი თვისება... შესაძლოა, ის ორგანიზმში ჭამდეს სხვა დაავადებებს. დაუკვირდით, რაც ეს ვირუსი გაჩნდა, ჩვეულებრივი ჟღვლინტიანი გრიპი საერთოდ გაქრა. როგორ, რანაირად, რატომ? არ ვიცი... ვინმემ კი იცის? ჯერ არა. ვნახოთ, კაცობრიობამ ბევრი რამ გაარკვია და ალბათ ამასაც გაარკვევს... მაინც მოგიწოდებთ, იყავით ფრთხილად, უკვე 2 თვეზე მეტი გავიდა და ყნოსვითი ორგანო ისევ გათიშული მაქვს, თუ მძაფრი (ძმარი, ლიმონი, საკმეველი) რაღაცები დავყნოსე, მაქვს ოდნავი შეგრძნება. სხვათა შორის, კორონას ამ შემთხვევაშიც ახასიათებს ერთი უცნაურობა – დაინფიცირებისთანავე სასუნთქ ორგანოში გრჩება იმ რაღაცის სუნი, მე საკმევლის სუნი დამრჩა და გვიანობამდე მქონდა, მერე გავიდა. კიდევ კარგი, საკმევლის სუნი „გამეყინა“ ცხვირში და არა სხვა რამისა, რამე ცუდისა. იცით, ეს რას ნიშნავს? რასაც არ უნდა უსუნო, რასაც არ უნდა ჭამდე, ყველაფერს საკმევლის სუნი აქვს, თუ სხვა რამის სუნი გაგიჩერდა, იმის სუნი აქვს. თითქოს დროც ჩერდება და ემზადები, რომ რაღაც ახალი უნდა დაიწყო. თან არ იცი, რა უნდა დაიწყო. ვნახოთ, თუ რამე ძაან მაგარი დავიწყე, აუცილებლად შეგატყობინებთ.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ფილადელფიის ექსპერიმენტი, ანუ რა მოხდება ოთხ წელიწადში მსოფლიოში და საქართველოში?

ოფიციალური ცნობებით, 1943 წლის 28 აგვისტოს აშშ-ის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა ნიკოლა ტესლასა და ალბერტ აინშტაინის ხელმძღვანელობით ექსპერიმენტი ჩაატარა, რომელსაც „ფილადელფიის ლეგენდარული ექსპერიმენტი“ ეწოდა.

ქალაქ ფილადელფიის ახლოს ატლანტის ოკეანეში დრეიფზე მდგომ დიდ სამხედრო გემს, რომელზეც ეკიპაჟი იმყოფებოდა, ირგვლივ ველი შეუქმნეს, რათა გემი თვალისთვის უხილავი გაეხადათ. მოგეხსენებათ, მაშინ მსოფლიო ომი მძვინვარებდა და ამერიკელებისთვის მნიშვნელოვანი იყო ექსპერიმენტები სამხედრო საკითხებში.

როცა ელექტრომაგნიტური ველი გაძლიერდა, გემი მოულოდნელად უკვალოდ გაქრა და გარკვეული დროის შემდეგ რამდენიმე ასეული მეტრით დაშორებული ნავსადგურის მახლობლად გამოჩნდა. მალე იქედანაც გაქრა და იქ გამოჩნდა, სადაც თავიდანვე იდგა — ფილადელფიის მახლობლად.



როცა ექსპერიმენტი დამთავრდა და გემზე მეცნიერები ავიდნენ, აღმოჩნდა, რომ ეკიპაჟის რამდენიმე წევრი უკვალოდ გამქრალიყო, რამდენიმე მიცვალებული გახლდათ, ზოგი — ჭკუიდან შეშლილი, მეზღვაურთა ნაწილი ნახევრად დამწვარი, რომლებიც ორი კვირის მანძილზე ახლობლების თვალწინ ცოცხლად იწვოდნენ. მათ შორის იყვნენ სასწაულებრივად გადარჩენილებიც.

აშშ-ის მთავრობამ გადარჩენილთა მონაყოლი მკაცრად გაასაიდუმლოვა 60 წლის ვადით.

2013 წელს დოკუმენტური მასალა გასაჯაროვდა.

2016 წლის თებერვალში ინფორმაციები „ფილადელფიის ექსპერიმენტის“ შესახებ ჯერ ამერიკულ, შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრესის ფურცლებზეც გამოჩნდა. ცნობილი გახდა ერთ-ერთი გადარჩენილი მეზღვაურის ალ ბილეკის მონათხრობიც.

ბილეკი ჰყვებოდა, რომ მან გონება დაკარგა და როცა აზრზე მოვიდა, აღმოჩნდა შორეულ მომავალში. საინფორმაციო საშუალებები ბილეკის მონათხრობზე დაყრდნობით აღიარებდნენ, რომ ალ ბილეკმა დროში იმოგზაურა და თავიდან 2137 წელში აღმოჩნდა.

ბილეკი ამბობდა, 2137 წელი იდგა და ექიმები მიღებული რადიაციისგან მკურნალობდნენ. იყენებდნენ ვიბრირებად სინათლის ხელსაწყოს, რომელმაც სრულიად გამომაჯანმრთელაო.

2137 წელში ალ ბილეკმა ექვსი კვირა, ანუ 42 დღე იცხოვრა. შემდეგ იქიედანაც გაქრა და აღმოჩნდა 2749 წელში, სადაც ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა. შემდეგ 2751 წლის სინამდვილეც გაქრა და ალ ბილეკი გაჩნდა ისევ იქ, საიდანაც დროში მოგზაურობა დაიწყო — ფილადელფიის მახლობლად მოდრეიფე გავარვარებულ გემზე, რომელზეც, ალ ბილეკის გაქრობიდან, სულ 20 წუთი გასულიყო.

ეს ცნობილი ისტორიაა და ამ ამბის გახსენება დაგვჭირდა არა ექსპერიმენტის დასადასტურებლად, არამედ ალ ბილეკის „წინასწარმეტყველების“ შესახსენებლად, რადგან ახლოვდება ის თარიღები, რომლებიც მეზღვაურმა ე.წ. დროში მოგზაურობის შედეგად დაასახელა.

მისი თქმით, 2025 წლიდან დედამიწაზე დაიწყო გლობალური კლიმატური ცვლილებები, რომლებმაც დედამიწის ქერქი ისე შეცვალეს, რომ მე-20 ს-ის ადამიანი კონტინენტების რუკას ვეღარ ცნობდა.

მსოფლიო ოკეანის დონემ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია და ატლანტის ოკეანემ ფლორიდის შტატი მთლიანად დაფარა. ცუნამები და წყალდიდობები დროდადრო გადაუვლიდა აშშ-ის სხვადასხვა შტატს. აშშ-ის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ინფრასტრუქტურა განადგურების პირას იყო.

სხვათა შორის, დღესდღეობით არსებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ატლანტის ოკეანის დონე 5 მეტრით არის მომატებული და ლუიზიანას შტატის ქალაქი ნიუ-ორლეანი ოკეანეზე 5 მეტრით დაბლაა.

აქვე გეტყვით, რომ, როგორც ცნობილია, ხმელთაშუა ზღვის დონე მხოლოდ 40 სმ-ით არის მომატებული, ხოლო შავი ზღვა — მხოლოდ 12 სმ-ით...

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მოსალოდნელია ატლანტის ოკეანის დონის გაზრდა კიდევ 60–70 მეტრით და თუ ასე მოხდა, აფრიკის დასავლეთი ნაწილი მთლიანად წყლით დაიფარება. მის ადგილას ზღვა წარმოიშობა — წყლის მასა გადალახავს ბოსფორსაც და დარდანელსაც, განადგურდება ბოსფორის ხიდებიც.

მოიმატებს შავი ზღვის დონეც და მოსალოდნელია კოლხეთის დაბლობის დატბორვაც, რის შედეგადაც, შეიძლება, სამტრედია და ქუთაისი საზღვაო ქალაქები გახდნენ.

ალ ბილეკის ცნობით, 2026 წელს გაჩაღდება მესამე მსოფლიო ომი, რომელშიც რუსეთი და ჩინეთი ამერიკის შეერთებულ შტატებს და ევროპას დაამარცხებენ და ამ ომით აშშ-ი არსებობას შეწყვეტს.

ბუნებრივი კატაკლიზმების, ახალ დაავადებათა, ეპიდემიებისა და ბიოლოგიური იარაღით წარმოებული ომების გამო დედამიწის მოსახლეობის 96% დაიღუპება, ანუ მოსახლეობა 8 მლრდ-დან 300 მლნ ადამიანამდე შემცირდება.

დედამიწის გადარჩენილი მოსახლეობის მოაზროვნე ნაწილი შექმნის ხელოვნური პოლუსის სტრუქტურას, რომელიც აღმოფხვრის შერეული მაგნიტური პოლუსების კატასტროფას.

მაგნიტური პოლუსების არევის თაობაზე არაერთი მეცნიერი მიუთითებს და ეს არ არის ფანტასტიკის საკითხი — აბსოლუტურად პროგნოზირებადი და მოსალოდნელი ფაქტია; უკვე ცნობილია, რომ სამხრეთმა პოლუსმა გადაიწია ინდოეთის ოკეანემდე, რის გამოც ანტარქტიდის ნახევარში თოვლი დნება, მეორე ნახევარი კი აქამდე არნახული ყინულის საფარით იფარება. ჩრდილოეთ პოლუსი უკვე აღარ აღინიშნება ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში.

გადარჩენილი მეზღვაურის თქმით, 2749 წელს დედამიწის მოსახლეობა იცხოვრებს მოძრავ ქალაქებში, რომლებიც მსოფლიო ოკეანის ზედაპირზე იცურებენ.

მსოფლიოს მმართველი იქნება კომპიუტერი, რომლის ინტელექტუალური შესაძლებლობები კაცობრიობის ჯამურ ინტელექტს გადააჭარბებს და მას ეწოდება „დიადი ტვინი“, რომელიც იქნება მოუსყიდავი, მოუტყუებელი, უკონტაქტო მსოფლიო ხელისუფალი და მმართველი.

ადამიანები ერთმანეთს ტელეპატიურად დაუკავშირდებიან.

ბილეკის მონათხრობით, სახელმწიფოები ნელ-ნელა გაქრნენ და 2749 წელს დედამიწაზე დამყარებული იყო სახელმწიფოს გარეშე სოციალური წესრიგი — ადამიანებს მიღწეული ჰქონდათ განვითარების ახალი საფეხურისთვის და მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ერთად, თუმცა იყო დიდი პრობლემა — დედამიწაზე კლიმატი და საერთოდ, ბუნება კატასტროფულ დონეზე იყო.

* * *

ბილეკის წინასწარმეტყველე-



ბის გარდა არსებობს ბევრი სხვა ვარაუდი და მოსაზრება, რომ მოახლოებულია მესამე მსოფლიო ომი, რომელიც ვაი-პოლიტიკოსთა მიერ იქნება ინსპირირებული და შეიწირავს მრავალ მილიონ ადამიანს.

მაგრამ მსოფლიო ისტორია ხომ წარმოუდგენელია ქართველების გარეშე?! ჩვენს ერში წარმოშობილი ადამიანი ზოგჯერ კეთილ, ზოგჯერ კი მავნებლურ როლს ასრულებდა მსოფლიოს დიდი ქვეყნების ისტორიაში და, შესაბამისად, ქმნიდა ხან მწარე, ხან — საამაყო ისტორიას.

ასე ხდება ამჯერადაც.

* * *

1941 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში იოსებ ჯუღაშვილმა-სტალინმა და სახელმწიფო უშიშროების გენერალურმა კომისარმა ლავრენტი ბერიამ მესამე რაიხის ადმინისტრაციაში აგენტებად ორი რუსი ქალბატონი ჩანერგეს, რომლებიც ძალიან იყვნენ დაახლოებული ადოლფ ჰიტლერთან.

ცნობილია, რომ იოსებ სტალინს და ლავრენტი ბერიას ამ ქალბატონების გარდა სხვა რუსი და არარუსი, მათ შორის, გერმანელი აგენტებიც ჰყავდა ჰიტლერის გარემოცვაში, რომელთა საშუალებითაც სრულიად შესაძლებელი იყო ჰიტლერის ლიკვიდაცია და მეორე მსოფლიო ომი, იმ სახით, როგორადაც მიმდინარეობდა, ალბათ, აღარ გაგრძელდებოდა, თუმცა გადაწყვიტეს, არათუ მოეკლათ ჰიტლერი, არამედ დაეცვათ კიდევაც ის.

მშვენივრად იცოდა სტალინმა და ბერიამაც, რომ ადოლფ ჰიტლერი ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი იყო და ამ ომით, როგორც თვით გერმანიას, ასევე მოკავშირე ქვეყნებს ავნებდა დიდ ზარალს. თუ ჰიტლერის მაგივრად საბჭოთა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის საომარ კონფრონტაციაში ჩაებმებოდა ვინმე უფრო ჭკვიანი და ფსიქიკურად ჯანმრთელი, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა რეპრესიებგამოვლილი, ეკონომიკურად არცთუ ძლიერი საბჭოთა კავშირისთვის გაცილებით ძნელი იქნებოდა.

ჰიტლერთან რა შედარებაა ქარაქუცა სააკაშვილის, მაგრამ ეს ორი პირი ერთმანეთს იმით ჰგვანან, რომ ორივე შერეკილია და ორივე ზიანის მომტანი.

საზღვარგარეთ მის გვერდით მყოფი ქართველების ინფორმაციით, ის უკვე ჯორს დაემსგავსა, რომელსაც კუდი ნეხვით აქვს მოსვრილი და ყველა ერიდება, ამიტომ უნდა იყოს ცოცხალი, რომ გამოიყენონ ნებისმიერი ბინძური საქმისთვის რეგიონში, იმის მიუხედავად, რომ ყველამ იცის, ვინც არის და რაც არის.

ინფორმირებული წყაროს მტკიცებით, სააკაშვილი და მასთან დაახლოებული რამდენიმე პირი, როგორც საქართველოდან, ასევე უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან არიან იმ დაჯგუფებაში, რომლებიც ამზადებენ დიდ არეულობასა და ქაოსს, რომელიც, შეიძლება, მსოფლიო ომში გადაიზარდოს.

აშშ-ში ამ ომს ექნება სამოქალაქო ომის ხასიათი. გამოყოფისთვის ბრძოლას დაიწყებენ შტატები, მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში ომი რელიგიური ხასიათის იქნება.

ჩემი ინფორმატორები ვარაუდობენ, რომ სააკაშვილს, როგორც, ჯერჯერობით, სასარგებლო იდიოტს, ჩამოიშორებენ 2025 წელს და მას თითქოს ტანი უგრძნობსო, მოიწევს საქართველოსკენ, რათა აქ უსაფრთხოდ იგრძნოს თავი, მაგრამ სადაც არ უნდა წავიდეს და რა თანამდებობრივი იმუნიტეტიც არ უნდა შეიძინოს, ის განწირულია.

ჩემი ინფორმატორების თქმით, სააკაშვილმა ბევრი რამ იცის და ის უკვე აშანტაჟებს გარკვეულ წრეებს, რომ გამოვა და ყველაფერს ხმამაღლა იტყვის, თუ საქართველოში დაბრუნებაში არ დაეხმარებიან.

მრავალ კითხვათაგან ისმება მთავარი და უმთავრესი: ამ არეულებებში რა მოუვა საქართველოს?

— საქართველო ღვთის იმედადაა დარჩენილი და სანამ ეს იმედი და რწმენა გვექნება, მანამდე იარსებებს ჩვენი ქვეყანაო, — მითხრა ჩემმა წყარომ, რომელიც, იმის მიუხედავად, რომ არის საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკოსი, ამავე დროს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, პატრიოტიც არის…



**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „მახსოვს, ძველი, დიადი ამერიკა“

შვეიცარიაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, რომელიც წლის მთავარ სამიტად შეაფასეს პოლიტოლოგებმა, მსოფლიომ შვებით ამოისუნთქა, რადგან ბირთვული ომის სასიშროება შემცირდა.

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ ჟენევის სამიტის დაწყებიდან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ დიდი ბრიტანეთის სამხედრო ფრეგატამ დაარღვია რუსეთის ტერიტორიული წყლების საზღვარი შავ ზღვაში, კონკრეტულად, ყირიმთან (გემი ოდესის პორტიდან მოემართებოდა საქართველოში). ბრიტანელები და, საერთოდ, ნატოს წევრი ქვეყნების უმრავლესობა ყირიმს დღემდე უკრაინის ნაწილად მიიჩნევს, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება მოსახლეობაზე დაყრდნობით საპირისპირო აზრზეა. ამასთან, იშველიებს ისტორიასაც. თუმცა ტერიტორიულ დავას თავად რუსეთი და უკრაინა გაარკვევს.

წლევანდელი წვრთნების დაწყებამდე, მოსკოვში, უსაფრთხოების კონფერენციაზე ვლადიმირ პუტინმა ნატოს წევრ ქვეყნებს მოუწოდა, უარი ეთქვათ წვრთნებში მონაწილეობაზე, რადგან ვარაუდობდნენ, რომ მოსალოდნელი იყო პროვოკაციები. ანალოგიური თხოვნით მიმართა რუსეთის საელჩომ აშშ-ში იქაურ ხელისუფლებას.

მოვლენები შავ ზღვაში ერთობლივი წვრთნების დაწყებამდე განვითარდა, რომელსაც მსოფლიო



საზოგადოება შეშფოთებით ადევნებდა თვალს. არავინ იცოდა, რა მოხდებოდა, თუ რუსეთი ფრეგატს დააზიანებდა ან ჩაძირავდა, რითი უპასუხებდა დიდი ბრიტანეთი. ხომ არ დაიწყებოდა ახალი ომი. საბედნიეროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინციდენტი მშვიდობიანად დამთავრდა. მომხდარ პროვოკაციაში რუსეთის მხარე ბრიტანეთთან ერთად აშშ-ს ადანაშაულებს. ამის შესახებ პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ისაუბრა ყოველწლიურ გადაცემაში „პირდაპირი ხაზი პრეზიდენტთან“, სადაც უშუალოდ მოსახლეობის კითხვებს პასუხობს. პუტინის თქმით, ჯერ აშშ-ის მზვერავი თვითმფრინავი აფრინდა საბერძნეთის ბაზიდან, აკონტროლებდა აკვატორიას, ამის შემდეგ განახორციელა ბრიტანულმა გემმა პროვოკაცია (მან დაასახელა ასევე მზვერავი თვითმფრინავის საბორტო ნომერი). პუტინის განცხადებით, აკონტროლებდნენ სიტუაციას, მოწინააღმდეგეებს თავიანთ სასარგებლო ინფორმაციას აწვდიდნენ. ფართომასშტაბიანი ომის დაწყება გემის განადგურების შემთხვევაში გამორიცხა. „პროვოკაციის ავტორებმა კაგად იციან, რომ ომში ვერ გაიმარჯვებენ, ამიტომ ომს, მით უფრო, ფართომასშტაბიანს, არ დაიწყებდნენ“, — განაცხადა პუტინმა.

ინციდენტი ბრიტანეთში სკანდალით გაგრძელდა. გასულ კვირას BBC-მ გამოაქვეყნა დოკუმენტები, სადაც დაწვრილებით იყო გაწერილი შავ ზღვაში განსახორციელებელი პროვოკაციის გეგმა. ინფორმაციამ ყველა გააოგნა — საიდან ჰქონდა რედაქციას მასალები. როგორც გაირკვა, BBC-ს რედაქციაში ვინმე მოქალაქემ მიიტანა საქაღალდე, რომელსაც თავდაცვის სამინისტროს დამღა ჰქონდა — „სრულიად საიდუმლოდ“. მოქალაქის თქმით, მან საქაღალდე ავტობუსის გაჩერებაზე, სანაგვეში (!) იპოვა. საქაღალდე სველი იყო. რედაქციაში გააშრეს ფურცლები (50 გვერდი) და გამოაქვეყნეს. ამ გარემოებამ სკანდალი გამოიწვია. პოლიტიკოსებს აინტერესებთ, როგორ მოხვდა თავდაცვის სამინისტროდან საიდუმლო საბუთების გატანა, ვინ გააკეთა ეს. რედაქციას საყვედურობენ, რატომ გამოაქვეყნეს და არ მიიტანეს პოლიციაში საიდუმლო საბუთები. მოსახლეობას კი მოუწოდებენ, თუ იპოვიან მსგავს ნივთებს, საბუთებს, მიიტანონ მხოლოდ პოლიციაში.

უკვე 245-ედ აღნიშნეს აშშ-ში დამოუკიდებლობის დღე. თარიღი, რომელიც ძვირფასია ყველა ამერიკელისთვის. 4 ივლისთან დაკავშირებით 21 მიგრანტს მიენიჭა აშშ-ის მოქალაქეობა და პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა თეთრ სახლში პირადად გადასცა მათ პასპორტები. სამწუხარო ფაქტია, რომ წლევანდელ საზეიმო თარიღს აშშ-ის საზოგადოება ორად გახლეჩილი შეხვდა, კვლავ გრძელდება 6 იანვარს კაპიტოლიუმის შენობასთან მომხდარ ინციდენტში მონაწილეთა ძებნა-დაკავებები. უკვე მიმდინარეობს დაკავებულთა (500 პირი) სასამართლო პროცესები. კონგრესში შეიქმნა კიდევ ერთი კომისია, რომელიც 6 იანვრის მოვლენებს შეისწავლის. 13 წევრიდან 8 დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელია. კომისიას სპიკერი ნენსი პელოსი უხელმძღვანელებს. ექსპერტების შეფასებით, ახალშექმნილი კომისიის მიზანია, არ დაუშვას დონალდ ტრამპის პოლიტიკურად გააქტიურება. რესპუბლიკელების განცხადებით, მათი პარტიიდან ვინც ამ კომისიაში მიიღებს მონაწილეობას, პარტიას დატოვებს.

აშშ-ში არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციაზე საუბრობს ვეტერანი დიპლომატი, „ამერიკის დიდი პოლიტიკის ბებიად“ ცნობილი სიუზან მასსი. იგი ერთი თვის წინ იმყოფებოდა რუსეთში. ამჯერად ქალბატონმა ყირიმში, სანკტ-პეტერბურგში იმოგზაურა. ჯო ბაიდენის და ვლადიმირ პუტინის შეხვედრას იგი ტელევიზიით ადევნებდა თვალს. მისი განცხადებით ბაიდენის ადმინისტრაცია სანდო არ არის. კვლავ აღნიშნა მსოფლიოში და მის ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარება. რაში ხედავს გამოსავალს, ამის შესახებ არაფერი



უთქვამს. „...მახსოვს, ძველი, დიადი ამერიკა, რომელიც დღეს აღარ არის. იგი „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანიამ“ ჩაანაცვლა“, — გულისტკივილით თქვა სიუზან მასსმა.

ამასობაში გააქტიურა მხარდამჭერებთან შეხვედრა დონალდ ტრამპმა. იგი გასულ კვირას სამ შტატში იმყოფებოდა, სადაც მრავალათასიან მიტინგებში მიიღო მონაწილეობა. იგი, ტრადიციულად, კრიტიკას არ იშურებს ჯო ბაიდენის მისამართით. ჟურნალისტის კითხვაზე, კვლავ უნდა თუ არა პრეზიდენტობა, მან უპასუხა: „...სურვილი ერთია, ეს ქვეყანას სჭირდება!“ ტრამპი ტეხასის შტატშიც ჩავიდა, კედლის მშენებლობა აუცილებლად დასრულდებაო, დაპირდა მხარდამჭერებს.

საგანგაშო ვითარება შეიქმნა ავღანეთში მას შემდეგ, რაც ნატოს კოალიციურმა ძალებმა დაიწყეს ქვეყნის დატოვება. იტალიამ და გერმანიამ უკვე გაიყვანეს თავიანთი სამხედროები. გასულ კვირას ავღანეთიდან, კერძოდ, ბაგრამის საავიაციო ბაზიდან აშშ-ის საჯარისო ნაწილიც მოულოდნელად და ჩუმად გავიდა. ადგილზე 1000-მდე ჯარისკაცია დარჩენილი. ნატოსა და აშშ-ის სარდლობამ თხოვნით მიმართა შუა აზიის ქვეყნებს — ყაზახეთს, უზბეკეთს და ტაჯიკეთს, შეიფარონ 9 ათასი ავღანელი, რომლებიც კოალიციასთან თანამშრომლობდნენ. ტაჯიკეთმა უკვე მიიღო მფარველობაში 300 ავღანელი მესაზღვრე. გავრცელებული ინფორმაციით, თალიბებმა თითქმის 40%-ით გააფართოვეს თავიანთი გავლენის არეალი. ანალიტიკოსების შეფასებით, ნატოს ჯარების მოუმზადებელმა და ნაჩქარევმა გაყვანამ საფრთხე შეუქმნა ავღანეთის მეზობელ ქვეყნებს. განსაკუთრებით, შუა აზიას. გასულ კვირას თალიბებმა დააანონსეს ტაჯიკეთზე მოსალოდნელი შეტევა. იგივე ანალიტიკოსების განცხადებით, ავღანეთს შეაფარეს თავი ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა, რომლებიც უკვე გააქტიურდნენ. საფრთხეშია ავღანეთის სახელმწიფოებრიობა და მოქმედი ხელისუფლება. თუმცა ასე არ თვლის ჯო ბაიდენი. ჟურნალისტის კითხვაზე, ხომ არ დაემხობა ავღანეთის მოქმედი ხელისუფლება, უპასუხა: „...მათ შესწევთ ძალა, გაუმკლავდნენ ყველა გამოწვევას“. ამის შემდეგ ავღანეთზე საუბარი საერთოდ აღარ ისურვა.

ამასობაში კი ავღანეთის სამთავრობო ჯარის ნაწილები მასობრივად ყრიან იარაღს და თალიბებს უერთდებიან. განსაკუთრებით საფრთხეში არიან ისინი,. ვინც კოალიციურ ჯარებთან თანამშრომლობდა. გამარჯვების შემთხვევაში, თალიბები მთელ ჯავრს ახლა მათზე იყრიან. მსოფლიო ახალი დევნილების მოლოდინშია, ავღანეთში კი სამოქალაქო ომი უკვე რეალურია. რეგიონში ვითა-



რება ყოველდღიურად სულ უფრო მწვავდება.

განხეთქილებაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც. უნგრეთის ხელისუფლებამ აკრძალა სკოლებში და სასწავლო დაწესებულებებში სექსუალური უმცირესობების პროპაგანდა. ამის გამო ქვეყნის მეთაურმა ვიქტორ ორბანმა ევროკავშირის ხელმძღვანელის ურსულა ფონ დერ ლიაიენის კრიტიკა დაიმსახურა. ნიდერლანდებმა უნგრეთის ევროკავშირიდან გარიცხვაც კი მოითხოვა. „...არ შეიძლება ევროკავშირის რომელიმე ქვეყანამ გვასწავლოს, როგორ აღვზარდოთ უნგრეთში ბავშვები. ეს ჩვენთვის მიუღებელია. დიქტატურა უნდა შეჩერდეს!“ — განაცხადა ვიქტორ ორბანმა.

დაიძაბა ურთიერთობა უკრაინასა და ბელორუსს შორის. ბელორუსმა საერთოდ ჩაკეტა უკრაინასთან საზღვრები. პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს განცხადებით, უკრაინა აწვდიდა იარაღს ოპოზიციას ხელისუფლების დასამხობად. პრეზიდენტის თქმით, მათ აქვთ დამამტკიცე-



ბელი ფაქტები, რომლებიც გამყარებულია ტერორიზმის ბრალდებით დაკავებულების ჩვენებებით. როგორც ვხედავთ, კლიმატურის გარდა, სამყაროში პოლიტიკური ამინდიც არასტაბილურია.

გასულ კვირას აშშ-ში 88 წლის ასაკში გარდაიცვალა დონალდ რამსფელდი. იგი 70-იან წლებში გახდა თავდაცვის მინისტრი, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა იყო ამ თანამდებობაზე. 2001 წელს ჯორჯ ბუშის (უმცროსის) პრეზიდენტობისას მეორედ დაიკავა იგივე თანამდებობა, უკვე როგორც ყველაზე ხანდაზმულმა. მასთან არის დაკავშირებული ავღანეთსა და ერაყში განხორციელებული სამხედრო ოპერაციები. ჯორჯ ბუშის მხარდაჭერის მიუხედავად, 2006 წელს მას თანამდებობის დატოვება მოუხდა გახმაურებული სკანდალის გამო. 2003 წელს რამსფელდი ავღანეთში გამარჯვებას ტრაბახობდა, მაგრამ...

**გია ბურდული**
551 71 27 07

# მერაბ ჩადუნელის ხსოვნას



**მერაბ ჩადუნელი გარდაიცვალა... სექტემბერში 63 წლის გახდებოდა. აქედან ოთხ ათეული წელზე მეტი ჩვენთან ერთად მეტროპოლიტენში, სხვადასხვა თანამდებობებზე და პოზიციებზე მოღვაწეობას შეალია. სამშობლოს სვე-ბედზე, საყვარელ ოჯახზე, ახლობლებსა და მეგობრებზე მოფიქრალი, მოფუსფუსე, ნიჭიერი ადამიანი იყო ბატონი მერაბი, ამიტომაც ნამდვილად მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა მისი მოულოდნელი გარდაცვალება ყველა ჩვენგანისთვის, ვისაც კი მასთან ნაცნობობა გვაკავშირებდა.**

**ახლა პირადად მას მივმართავ: მერაბ! ამ ერთი წლის წინ ჩვენს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. ძალიან მაგრად ვიკამათეთ. ცალ-ცალკე (ჩვენ-ჩვენი გადმოსახედიდან) ორივენი მართლები ვიყავით. რას იზამ, ხდება ხოლმე, ადამიანები ვართ! შემინდე და მაპატიე, თუ შეგიძლია, გთხოვ!**

**„სამაგიეროდ“, იმ ყბადაღებულ ექვს ლიტრ „მანავის მწვანეს“ ჩემთან და მურმან ბუცხრიკიძესთან რომ წაავგე სანაძლეოში, მე ვიყიდი და უშენოდ (სამწუხაროდ), დიდი სიყვარულით და სინანულით დავლევთ ჩვენს ძმებთან ერთად შენს მოსაგონარს. მურმანი იქ დაგხვდება, დიდ ქვეყანაში. სამ წელზე მეტია, „იქაურია“, გიმასპინძლებს... გადაეცი: „წაგებული თამაზას გადავაბარე, ნაღდად იკისრებს-თქო“.**

**თქვენ, მანდ, ძალიან ბევრმა მოიყარეთ თავი ამ ორმოცი წლის განმავლობაში...**

**ღმერთს შევთხოვთ, ყველას სული ნათელში გვიმყოფოს უკლებლივ!**

**მეგობრების სახელით,**
**თამაზ შათირიშვილი**

# მიწისქვეშა სამყარო



მიწისქვეშეთში, უმაღლესი ტექნოლოგიებით შექმნილ, იდუმალი სამყაროს არსებობის ფაქტს, ადრე ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. მოგვიანებით, მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ მსგავსი სამუშაოების ჩასატარებლად, ჩვენს ცივილიზაციას, არც გამოცდილება აქვს და არც ტექნიკური საშუალებები გააჩნია. ნასას მკვლევარებმა, ფრანგ მეცნიერებთან ერთად, გიგანტური გვირაბების ქსელი მთელს მსოფლიოში აღმოაჩინეს: ევროპაში, ციმბირში, ტიან–შანის მთებში, ჩინეთში, საჰარის



ედუარდ სნოუდენი

უდაბნოში და სამხრეთ ამერიკაში. ამასთან, აქ საუბარი ძველი ქალაქის ნანგრევების აღმოჩენაზე კი არ არის, რომელიც ერთ დროს დედამიწის ზედაპირზე არსებობდა, არამედ, სწორედ მიწისქვეშა გვირაბებზე და ნაგებობებზეა. ცხადია, რომ ეს ყველაფერი, ჩვენთვის უცნობი ტექნოლოგიებით არის შექმნილი. არსებობენ ექსპერტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მიწისქვეშა ქალაქების გარდა, უზარმაზარ მიწისქვეშა არეებში, რომლებიც დედამიწის ზედაპირიდან თექვსმეტი კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობს, უცხო ცივილიზაციები დღესაც ცხოვრობენ. ისინი ადამიანებისადმი, უფრო ხშირად, ნეიტრალურად არიან განწყობილნი. მსოფლიოს გავლენიანი ქვეყნების ხელისუფლება და მეცნიერები, ამის შესახებ, ყოველთვის დუმილს ამჯობინებენ, რადგან ამ ფაქტის აღიარების შემთხვევაში, ადამიანის კოსმოსური წარმოშობის და დედამიწაზე, ჩვენზე ბევრად განვითარებული ცივილიზაციების არსებობის ფაქტის აღიარებაც მოუწევთ. მიწისქვეშა ცივილიზაციების შესახებ, გასაიდუმლოებული ინფორმაციის ნაწილი **CIA** და **NSA** ყოფილმა თანამშრომელმა ედვარდ სნოუდენმა გაასაჯაროვა. მან 2013 წ. საიდუმლო ფაილები **The Guardian da The Washington Post** გადასცა და ქვეყნიდან გაიქცა. თუმცა, ოფიციალურმა მედია საშუალებებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ საზოგადოებას ამ ინფორმაციისთვის ყურადღება არ მიექცია (სნოუდენს დაუსწრებლად წარედგინა სამშობლოს ღალატის და ჯაშუშობის ბრალდება და დღემდე იძებნება ინტერპოლის მიერ). ყოველივე ეს, იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ მიწისქვეშა ქალაქები და მიწისქვეშა სამყაროები მართლაც არსებობს...

გერმანელი არქეოლოგი და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ჰენრიხ კუში დიდი ხნის მანძილზე სწავლობდა გვირაბებს და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, წიგნი „მიწისქვეშა სამყაროს კარიბჭეები“ დაწერა. მასში ავტორი ამტკიცებს, რომ მსგავსი გვირაბები ევროპის ათობით დასახლების პუნქტთან არსებობდა და ფაქტიურად, ევრაზიის კონტინენტის დასავლეთი ნაწილი, ნეოლითის ხანაში, მთლიანად მიწისქვეშა გვირაბებით იყო დასერილი. ამ უზარმაზარ გვირაბებს, ხშირად, უძველეს „გზებსაც“ უწოდებენ. კუშის აზრით, ის ფაქტი, რომ ზოგი გვირაბი დღეს, თორმეტი ათასი წლის შემდეგაც არსებობს, იმის მაჩვენებელია, რომ ეს ნაგებობები კაპიტალური, ურთულესი მიწისქვეშა კომუნიკაციების ნაწილებია.

უძველეს დროში მაღალგანვითარებული ცივილიზაციის არსებობის კიდევ ერთი წარმოუდგენელი მაგალითი კაპადოკია (თურქეთი) და იქ მდებარე რვა იარუსიანი მიწისქვეშა ქალაქი დერინკუიუა „ღრმა ჭა“. დერინკუიუს განსაკუთრებულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ქანები, რომელშიც ნაკვეთი ქალაქი მდებარეობს, ძალიან რბილია. ამიტომ, მისი მშენებლობისას განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა იყო საჭირო. ფაქტია, რომ მისმა მშენებლებმა კარგად იცოდნენ ქანების თვისებები და შესაბამისი იარაღებიც ჰქონდათ, რადგან დანგრეული სათავსო და ნაშალი მასალა, ჯერ-ჯერობით, აღმოჩენილი არ არის. მღვიმური ოთახები და გვირაბები მუშებმა პირველად 2013 წელს შენიშნეს. ისინი ახალ





ურბანულ პროექტს იწყებდნენ, ამიტომ ძველი შენობები დაანგრიეს და ახლისთვის დაიწყეს ტერიტორიის გაწმენდა. სწორედ ამ დროს გადააწყდნენ გამოქვაბულებისა და გვირაბების სისტემას ტერიტორიაზე, რომელიც ბიზანტიური ეპოქის კოშკურებით იყო შემოსაზღვრული. მუშების და ინჟინრების გადმოცემით ეს იყო ერთი უზარმაზარი ლაბირინთი, რომელსაც დასასრული არ უჩანდა. მკვლევარების აზრით მიწისქვეშა ქალაქი დერინკუიუ ძვ.წ. II-I ათასწლეულებში ააგეს. თურქეთის ურბანული განვითარების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადმოცემით, „ეს უცნობი მიწისქვეშა ქალაქია. გვირაბების სიგრძე კი, მინიმუმ შვიდი კილომეტრი. ჩვენ დაუყოვნებლივ, აღმოჩენისთანავე შევაჩერეთ სამშენებლო სამუშაოები“. კაპადოკიაში ქვაბულის ტიპის არაერთი ქვაბული თუ სოფელია. თუმცა ის, რასაც ნევშეჰირის პროვინციაში მიაკვლიეს, გაცილებით ძველია და მასშტაბური. იგი იმაზე დიდია, ვიდრე მიწისქვეშა ქალაქი დერინკუიუ, რომელიც ძვ.წ. აღ. II-I ათასწლეულებში ააგეს და რომლის მოსახლეობაც 20 ათასს აღემატებოდა.

მიწისქვეშა ქალაქების შესახებ ინფორმაცია ისტორიულ წყაროებში პირველად ძვ.წ. აღ. V საუკუნეში გვხვდება.. წლების წინ, იალბუზის მახლობლად მკვლევარებმა ზვავის ქვეშ მოყოლილ ვერმახტის რაზმს მიაგნეს, რომლის მისიის შესახებაც მონაცემები გერმანულ და საბჭოურ არქივებში ვერ მოინახა. დაღუპული ჯარისკაცების პირად ნივთებში ანენერბეს (მესამე რაიხის ოკულტური ქვედანაყოფის) საზოგადოების სიმბოლიკიანი ბეჭედი და ჩემოდანი იპოვეს. ნალჩიკის სპელეოლოგმა არტურ ჟემუხოვმა სამარხის მახლობლად სამოცდათვრამეტი მეტრის სიღრმის გამოქვაბული აღმოაჩინა. მისი ვარაუდით, გამოქვაბულის შახტა მიწისქვეშა ქალაქში მიდის, რომლის გვირაბები იალბუზამდე და სამხრეთ კავკასიამდე გრძელდება. მეტიც, მიწისქვეშა ქალაქი პირამიდების ქვეშ არის აშენებული. საიდუმლო გვირაბები მეცნიერებმა ასევე სხვა ძველი ნაგებობების ქვეშაც აღმოაჩინეს: ეგვიპტეში გიზას და ცენტრალურ ამერიკაში ტეოტიუკანის პირამიდების ქვეშ.



მეტიც, თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით პროფესიონალები და მოყვარულები აქამდე მიუწვდომელ ადგილებს იკვლევენ. კოსმოსიდან განხორციელებული ინფრაწითელი გადაღების ტექნოლოგიის მეშვეობით ეგვიპტეში ახალი პირამიდები აღმოაჩინეს, რომლებიც მიწის ქვეშ საკარის რაიონშია დაფარული. მინიატურული რობოტები დღემდე მიუწვდომელი გვირაბების გამოსახულებებს გადმოსცემენ, რომლებიც თურქეთში, ისრაელში, ბულგარეთში, ბოსნიაში არიან მიმოფანტულნი. აღმოჩნდა, რომ დედამიწა, ასე ვთქვათ, მიწისქვეშა გვირაბების ქსელშია მოქცეული. მიწისქვეშა გვირაბები გიზას უდაბნოში, პირამიდების ქვეშაა. გვირაბების უზარმაზარი ქსელია პერუს, ბოლივიის, ბრაზილიის, კოლუმბიის, არგენტინის, ჩილეს ქვეშ. მსგავსი სისტემები ჩინეთის პირამიდების ქვეშაც აღმოაჩინეს. ყველა ეს გვირაბი ხელით ნაკეთები, ქვაში გამოთლილი ნაგებობებია. რუსი მეცნიერი, სპელეოლოგი ვიქტორ კოტლიაროვი ოც წელზე მეტია კავკასიის მთების შესწავლითაა დაკავებული. მან არაერთი მტკიცებულება მოიპოვა იმისა, რომ დედამიწის ამ ნაწილში პირამიდებია.

1874 წელს კავკასიას ცნობილი ინგლისელი ალპინისტი ფლორენს კროუფორდ გროუვი ესტუმრა. მან პირველმა აღნიშნა, რომ კავკასიის ერთერთი მთა „სწორი კონუსებრი ფორმით გამოირჩევა“. ეს მთა ყაბარდო-ბალყარეთში ჩერეკის ხეობაში მდებარეობს. ჩატარებული ექსპედიციების წყალობით დღეს უკვე ცნობილია, რომ ამ პირამიდის შიგნით გვირაბებია. მალტას კუნძულიც მდიდარია მიწისქვეშა გვირაბებით, აქედან ყველაზე ცნობილი მიწისქვეშა ჰიპოგეს საკულტო ტაძარია.

ჰიპოგეოში ჩატარებულმა კვლევებმა მეცნიერები შოკში ჩააგდო: მიწისქვეშა ბგერითი სიხშირე შუმანის რეზონანსის დიაპაზონს აღემატება. ანუ, ფიზიკის ყველა კანონის თანახმად, სიხშირე მერყეობს 7,8-დან 43 ჰერცამდე. ჰიპოგეაში კი ეს მაჩვენებელი 11 ჰერცს შეადგენს! მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ აქ ყოფნის დროს თავის ტვინის ნახევარსფეროების მუშაობის ფუნქციები ირღვევა. მსგავსი აკუსტიკური ეფექტი აღმოჩენილია სხვა მიწისქვეშა კომპლექსებშიც – ისრაელში (ბეტ გავრინი), ბულგარეთში (პროხოდნა), თურქეთში (ფრიგიის დაბლობი)... ზოგიერთი გამოქვაბულის თაღების სიმაღლე ოცდაათ მეტრს აღწევს, აქ დიდი დარბაზებია, მრავალსართულიანი გვირაბები, გამოკვეთილი კიბეები... ერთ–ერთი ვერსიით, პირამიდები დამცავ ფუნქციასაც ითვისებდნენ. მათ წვერზე იარაღი არავის აუტანია, მაგრამ მეგალიტიური კომპლექსი მოქმედებდა, როგორც აკუსტიკური დანადგარი, მოწინააღმდეგეს ყოველგვარი გასროლის გარეშე ანეიტრალებდა. 1945 წლის გაზაფხულზე აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავი ჰიმალაებში რეიდს ასრულებდა, მცირე ტექნიკური ხარვეზის გამო მას სიმაღლის დაკლება მოუწია, რა დროსაც გიგანტური, მზეზე მბრწყინავი პირამიდა დაინახა. თუმცა ამ საიდუმლოს ამოხსნა ვერ მოხერხდა – ჩინეთის ხელისუფლება არ მიესალმება ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების ჩატარებას. ჩინეთის ტერიტორიაზე ასობით მცირე პირამიდაა, ოთხწახნაგოვანი და წაკვეთილი წვერებით. ზოგიერთი მათგანი ეროზიამ დააზიანა კიდეც, მაგრამ ჩინეთი საგულდაგულოდ მალავს ყოველგვარ ინფორმაციას მათ შესახებ.

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

## ხათუნა ტაბატაძე

# ლექსები



### ხვალის იმედი

ზეცას ჩავეჭიდე, დღეს ხვალის იმედად,
და მისი სილურჯე, გავხადე უფერო.
ხანდახან გადაღლილს, რომ ამეტირება,
მინდა რომ ცხოვრებას ბავშვურად ვუმღერო.
ზღვის ფსკერზე ვინ თვალა, ქვიშა და კენჭები,
არ მითხრა ცხოვრება, სულ ერთი წამია.
ერთმანეთს ხელებით თუ ჩავეჭიდებით,
ვიყვირებ, მიყვარხარ, მიყვარხარ ძალიან.
ვინ მოსთვლის უძილო ღამეებს ვინ მოსთვლის,
რამდენჯერ ბედნიერს, ცრემლებიც მეწვია.
დავმარხე ტკივილი, დავმარხე დარდები,
რომ ჩემი წამზომი წინ გადამეწია.
ცხოვრება გრძელდება, ცხოვრება კიბეა,
კუთხეში ბოროტად ხარხარებს სატანა.
მიყვარხარ, მჭირდები, მე დიდი ხანია,
უშენოდ არ მინდა, ერთი დღის ატანა.
ზეცას ჩავეჭიდე, დღეს ხვალის იმედით,
დაცემა, წაგება, ეს დიდი ომია.
დღეს ადამიანები, იქამდე მივედით,
გვასუსტებს წყურვილი და მელანქოლია.

### აგვისტოს ბოლო

ნასუფრალს ჰგავდა, აგვისტოს ბოლოს,
ჩემი ქალაქის ვიწრო ქუჩები.
ნეკერჩხლის წვიმას, ვინატრებ მხოლოდ,
თუ სრქტემბერსაც გადავურჩები.
ცის სილაჟვარდეს ვტყორცნე დარდები,
და ვმოგზაურობ ჩიტებთან ერთად.
სამყაროვ, როგორ მეფერადები,
მეც დედამიწის გულივით ვფეთქავ.
იქნებ ბოლოჯერ გავშალო ფრთები,
რომ შემოდგომის სხივებს ვეწვიო.
დღეს რომ სიცოცხლით საოცრად ვტკბები,
ხვალ იქნებ ბნელიც წამომეწიოს.
ნეკერჩხლის წვიმას ვინატრებ მხოლოდ,
იდგეს სექტემბრის თბილი დარები.
ნასუფრალს ჰგავდა აგვისტოს ბოლო,
გულში ოცნების, ქროდა ქარები.

* * *

ჩაძირული გემიბით, დავიკარგე მგონია,
ისე ღელავს ჩემი ზღვა, ვიცი, დავიღუპები.
თბილად გამიხსენებენ, ვით ფარფატა თოლიას,
დღეს კი არვის არ ესმის, ჩემი აბდა-უბდები.

ვწერ და გულში რამდენი, რამე მრჩება ტკივილად,
მე ქალი ვარ უბრალოდ, ცხოვრებისგან დაღლილი.
მშველელს ვუხმობ ამაოდ, დამსხვრეული ტივიდან,
თუმცა არვის არ ესმის, ეს უმწეო ძახილი.

შორს გავცურე და ახლა, უკან ველარ ვბრუნდები,
ფეხქვეშ გამომეცალა ქვიშა, როგორც საყრდენი.
მე პოეტი არა ვარ, მხოლოდ ლექსით ვბრუვდები,
მინდა ასე ამოვთქვა, პოეტესას სათქმელი.

### ჩემო სამშობლოვ

ვფიქრობ, რა მოვუხერხო,
ამ უბრალო ნაკერებს.
ვაი, ჩემო სამშობლოვ,
როგორ დაგანაწევრეს.
ცრემლებს ველარ ვიკავებ,
ჩუმად დამდის ღაწვებზე.
თითქოს შენი სახლიდან,
ურცხვად გამოგაძევეს.
შვილებს როგორ შევხედო,
როცა ასე იშლები.
მტკივდები და ჩემს სულში,
არასდროს წაიშლები.
დედის გულში შენც იცი,
დღეს რა ცეცხლი გიზგიზებს.
დაკარგული შვილები,
დღემდე ვერ დაივიწყე.
ტანზე უნდა ჩავიცვა,
მძიმე ჯაჭვის ფარაჯა.
და დაგიდგე საზღვრებზე,
უკანასკნელ დარაჯად.
სანამ ცრემლით ირწყვება,
შენი თბილი მიწები.
გიერთგულებ, სამშობლოვ,
ხატზე დამეფიცები.
სანამ მიწა გასკდება,
ზეცა ფეხად ჩამოვა.
გულს ვერ ამოგგლიჯავენ,
არაფერი გამოვა.
სანამ მრავალჟამიერს,
ისევ მღერის ქართველი.
ფრთებს ისევ მოიშუშებ,
სულს ათასჯერ გათელილს.
რა დავწერო, რაღა ვთქვა,
გული დარდით მიკვდება.
გადახსნილი მაჯები,
შენს მაგივრად მტკივდება.
სულ რომ აღარსად დაგვრჩეს,
შენი მიწის მისხალი.
ქართველს ყველგან გაჰყვები,
ხატად დასაფიცარი.

### ჩემი დრო

მივდივარ და ისევ დანისლა,
დარდებმა სავალი ქუჩები.
კვლავ ყველა იარა დაიხსნა,
ტკივილი... ვერ განაყუჩები.
ვბრუნდები წარსული ლანდივით,
სადაც რომ ვიარე წამებით.
და ბოლოს ხელთ შემრჩა მთლიანად,
ჩემი დრო... დრო განაწამები.
ვიფიცებ, რაც შემრჩა ღირსება,
ვიცხოვრე სხვებივით უბრალოდ.
დღეს მხოლოდ ერთი გზა მჭირდება,
შენამდე მოვიდე უფალო.
გაბნეულ მზის სხივებს ველარ ვკრეფ,
ნისლები ფარავენ ბილიკებს.
ვცდილობ და ველარ ვცვლი ვერაფერს,
ღამდება... და ყველა მივიწყებს.
რაღაცა იწყება თავიდან,
რაღაცა იყო და მთავრდება.
დრო ისე უეცრად გავიდა,
რომ შევრჩი გაზაფხულს დარდებად.

## „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



**— გარდამეცვალა შვილი. მას დარჩა მეუღლე და ორი ვაჟი. ჩემი რძალი გვიცხადებს, რომ გარდაცვლილის ქონებიდან ჩვენ, მის მშობლებს არაფერი გვეკუთნის. არადა, ბინა, რომელიც ჩემი შვილის სახელზე ირიცხებოდა, ჩვენ ვაჩუქეთ სიცოცხლეშივე ჩემს გარდაცვლილ ვაჟს, რათა მომავალში არ დასჭირვებოდა ზედმეტი წვალება. ჩვენ ყველანი ერთად ამ ბინაში ვცხოვრობდით, ახლა კი რძალს არ სურს, მოხუცი დედამთილ-მამამთილი მასთან ცხოვრობდეს და გვავალდებულებს წავიდეთ სოფელში, სადაც დანგრეული სახლი გვაქვს, მამა-პაპისგან დარჩენილი. რამდენად სწორია ეს? გვეკუთვნის თუ არა ჩვენ წილი სამკვიდროდან?**

— უპირველესად, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, შვილის გარდაცვალების გამო. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი რამ ხდება ოჯახში.

ახლა მემკვიდრეობის საკითხი:

კანონით მემკვიდრეობის დროს კანონი თვითონ არეგულირებს, ვის უნდა დარჩეს გარდაცვლილის (მამკვიდრებლის) ქონება და რა რაოდენობით. ამ დროს არსებობს მემკვიდრეთა რიგითობის პრინციპი (სულ 5 რიგი), რაც იმას ნიშნავს, რომ წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის სფეროა პირველი რიგის მემკვიდრეთა სია. 1-ლი რიგის მემკვიდრეები არიან: გარდაცვლილის შვილები, შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები, (მშვილებლები).

აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ, როგორც გარდაცვლილის მშობლები, ხართ შვილის მემკვიდრეები და ქონება 1-ლი რიგის მემკვიდრეებს შორის უნდა განაწილდეს თანაბრად. ამ დროს მემკვიდრეთა უფლებებს შორის არ არსებობს განსხვავება სამკვიდრო ქონებასთან მიმართებით. მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს გაყოფაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

* * *

**— რა ასაკიდან ღებულობს ადამიანი მემკვიდრეს ყოფნის უფლებას?**

— მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე. ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე / საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი/.

* * *

**— მაინტერებს სახელის შეცვლასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები.**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 17. სახელის უფლება

1. ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს.

2. სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისათვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ.

3. სახელის შეცვლა არ წარმოადგენს იმ უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტის ან შეცვლის საფუძველს, რომლებიც შეძენილი იყო ადრინდელი სახელით. პირი მოვალეა მიიღოს აუცილებელი ზომები სახელის შეცვლის შესახებ კრედიტორებისა და მოვალეების გასაფრთხილებლად.

* * *

**— რა არის საკუთვნებელი სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით?**

— საქართველოს სამოქალქო კოდექსის მუხლი 151. საკუთვნებელი

1. საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად.

2. ნივთი, რომელიც მიწასთან არის დაკავშირებული და რომლის მოცილებაც მიწიდან შესაძლებელია სასაქონლო ღირებულების დაკარგვის ან არსებითი დანაკლისის გარეშე, ასევე მიიჩნევა საკუთვნებლად.



# მეიძის რევოლუცია

ჩვეულებრივ, რევოლუციას მონარქიის დამხობა მოსდევს, თუმცა იაპონია უცნაური ქვეყანაა. აქ რევოლუცია ზემოდან დაიწყო, მონარქმა კი არათუ დაკარგა ძალაუფლება, არამედ მთელი სისრულით დაიბრუნა. მეიძის (რეფორმების ეპოქა) ეპოქის განმავლობაში იაპონია ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან ძლევამოსილ სახელმწიფოდ იქცა, სადაც მრეწველობა დიდი ნაბიჯებით მიიწევდა წინ და მილიტარისტული ძლიერებაც მატულობდა.

თუმცა თანამემამულენი იაპონიის იმპერატორს აღმერთებდნენ, ის ნომინალური ფიგურა იყო. რეალური ძალაუფლება მხედართმთავარს — სიოგუნს ეკუთვნოდა. 200 წელზე მეტ ხანს იაპონიას ტოკუგავას კლანი მართავდა. იმპერატორები კი შეისწავლიდნენ მეცნიერებასა და ხელოვნებას, და იცავდნენ ტრადიციებს. იმპერატორი პრაქტიკულად არასდროს ტოვებდა სასახლეს და საკუთარი ქვეშევრდომების ცხოვრების შესახებ ძალიან ცოტა რამ იცოდა. ამასთან, XIX ს-ის შუა წლებისთვის იაპონია ნახევრადკოლონიად ქცევის საშიშროების წინაშე იდგა ევროპელებთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულებების გამო. იაპონია ჩამორჩებოდა ევროპას სამხედრო, ეკონომიკურ და სოციალური კუთხით, ხოლო სიოგუნის მმართველების ქმედებები ელიტის უკმაყოფილებას იწვევდა.

**რადიკალური რეფორმები იაპონიაში „ზემოდან“ დაიწყო.** უკანასკნელმა სიოგუნმა იოსინობუმ რეალური უფლებამოსილება იმპერატორს გადასცა. 1867 წელს ძალაუფლება 15 წლის იმპერატორ მუცუხიტოს გადაეცა. მისი მმართველობის პერიოდს მეიძი, ანუ რეფორმების ეპოქა ეწოდა. იოსინობუ არ ელოდა ახალგაზრდა მონარქისგან და მისი მომხრეებისგან რეალურ წინააღმდეგობას. სიოგუნი ფიქრობდა, რომ ფორმალური გადადგომა მის კლანს ძალაუფლების შენარჩუნებაში დაეხმარებოდა. მაგრამ ახალმა მთავრობამ, რომელიც იოსინობუს მოწინააღმდეგეებისგან შედგებოდა, იმპერატორის სახელით გააუქმა სიოგუნატი, სიოგუნს კი მიწები და ყველა ტიტული ჩამოართვა. იაპონიაში სამოქალაქო ომი დაიწყო, რომელიც ერთ წელზე მეტხანს გაგრძელდა და მნიშვნელოვანი მსხვერპლი არ მოჰყოლია. ომი სიოგუნატის მომხრეთა დამარცხებით დასრულდა. იოსინობუ ძალიანაც არ დაზარალებულა — მას შინაპატიმრობა მიუსაჯეს, მოგვიანებით ზოგიერთი პრივილეგია დაუბრუნეს, 1902 წელს ჰერცოგის ტიტული მიანიჭეს და პარლამენტში ადგილიც მისცეს. უკანასკნელი წლები ყოფილმა სიოგუნმა ფოტოგრაფიას, ველოსიპედით სეირნობას და ნადირობას მიუძღვნა.

იმპერატორმა მუცუხიტომ ტახტის დაკავებიდან სამი თვის შემდეგ გამოაცხადა პროგრამა, რომელიც იაპონიის ცხოვრებაში კარდინალური ცვლილებების დასაწყისად იქცა. პროგრამას „ხუთი პუნქტის ფიცი“ ეწოდა და ასე გამოიყურებოდა: 1. ჩვენ გავმართავთ სხდომებს და ვმართავთ ხალხს საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით; 2. უმაღლესი და უმდაბლესი კლასების წარმომადგენლები, ყოველგვარი განსხვავების გარეშე, თანაბარი იქნებიან ყველაფერში; 3. სამოქალაქო და სამხედრო ჩინებს ისე მოვექცევით, რომ ისინი სიამოვნებით შეასრულებენ თავიანთ მოვალეობებს; 4. დრომოჭმული მეთოდები და ტრადიციები განადგურდება და ერი მიწისა და ცის დიდი გზით ივლის. 5. ცოდნას მსოფლიოს ყველა ხალხებისგან შევიმეცნებთ და იმპერია განვითარების უმაღლეს საფეხურზე ავა.

იაპონიისთვის ახალი იყო არა მარტო მმართველის პროგრამა, არამედ მისი ქცევაც. იმპერატორი ხალხში გამოჩნდა, სასახლე დატოვა, რათა ჯარს ჩადგომოდა სათავეში და ქვეყანაში მოგზაურობა დაიწყო. 1868 წელს მან ქალაქ ედოს ტოკიო („აღმოსავლეთის დედაქალაქი“) უწოდა. 15 ოქტომბერს კიოტოში მისი კორონაციის ცერემონია გაიმართა. გამოცხადდა მუცუხიტოს ეპოქა და იმპერატორი ტოკიოში გაემგზავრა, რომელიც 1889 წელს დედაქალაქად გამოცხადდა.

ხელისუფლებას ქვეყანაში ცვლილებები უნდა განეხორციელებინა, რათა მას ევროპულ სახელმწიფოებთან კონკურენცია შეძლებოდა. იაპონიას მინისტრთა სახელმწიფო საბჭო მართავდა, შემოიღეს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. სიოგუნატის გარდა გაუქმდა ადმინისტრაციული დაყოფის ძველი სისტემაც. სათავადოების ნაცვლად პრეფექტურები შემოიღეს. თავადებს საკუთარი მიწები ნებაყოფლობით უნდა მიეცათ იმპერატორისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალით წაართმევდნენ.

**XIX ს-ის მეორე ნახევარში იაპონიამ ვესტერნიზაციის გზა აირჩია**. 1868 წელს გაუქმდა გილდიები და საამქროები, იაპონელებს უკვე თავისუფლად შეეძლოთ პროფესიის არჩევა. მოსახლეობას დაბრკოლების გარეშე შეეძლო ქვეყანაში მოგზაურობა, შემოიღეს ყველა ფენის თანასწორობა კანონის წინაშე, დადგინდა მიწის ერთიანი გადასახადი, არმია ევროპულ მანერაზე გადააკეთდა. ჯარები, რომლებიც სამურაებისგან შედგებოდა, ახლა სამხედრო მინისტრს ექვემდებარებოდა. ქვეყნის მილიტარიზაცია სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა, შემოიღეს სავალდებულო სამხედრო სამსახური 20 წელს მიღწეული მამაკაცებისთვის. შეიქმნა პოლიცია.

ვითარდებოდა მიმოსვლა ქვეყნის შიგნით. აიგო პირველი რკინიგზა ტოკიოსა და იოკოჰამას შორის. ამ ქალაქებს შორის 1877 წელს გაიყვანეს სატელეფონო ხაზიც. იაპონიაში მიიღეს კანონი განათლების შესახებ, ახლა გოგონებს და ვაჟებს ერთად სწავლა შეეძლოთ. იაპონიაში დაიწყო უნივერსიტეტების გახსნა, იქმნებოდა პედაგოგიური ინსტიტუტები. ჩატარდა მიწისა და საგადასახადო რეფორმები, მიმდინარეობდა ინდუსტრიალიზაცია.

იაპონელების ცხოვრება შეიცვალა. აიგო ქვის სახლები, შემოვიდა ევროპული სამოსის ტარების მოდა. 1872 წელს იაპონია გრიგორიანულ კალენდარზე გადავიდა. დიდ ქალაქებში დაიწყო გაზეთებისა და ჟურნალების ბეჭდვა. იაპონია ვითარდებოდა და ძლიერდებოდა. მან დაიწყო ადრე დადებული კაბალური სავაჭრო ხელშეკრულებების გადახედვის მოთხოვნა საერთაშორისო არენაზე. მეიძის მთავრობის მრავალრიცხოვანი რეფორმების კანონზომიერი შედეგი გახდა კონსტიტუციის პროექტი. დოკუმენტი არამარტო განსაზღვრავდა იმპერატორისა და ხელისუფლების ორგანოების სტატუსს, არამედ განსაზღვრავდა და ამკვიდრებდა ჩვეულებრივი მოქალაქეების უფლებებსა და თავისუფლებებს. კონსტიტუციაში ძალაში 1890 წელს შევიდა.

მეიძის პოქა იაპონიისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან იმპერია გადაიქცა სახელმწიფოდ, რომელსაც შეეძლო კონკურენცია გაეწია ევროპული სახელმწიფოებისათვის და საკუთარი პირობებიც კი წაეყენებინა. მეიძიმ საფუძველი დაუდო ქვეყნის განვითარებას. ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა იმპერატორ მუცუხიტოს მმართველობის წყალობით. ის 1912 წლის 30 ივლისს გარდაიცვალა.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22





## აპოკალიფსი

ნარკომანიას თუ მომინდა შევეხო ლექსად
ეგებ შეერგოს ზოგიერთებს მკურნალის ნემსად.
ვის ტოვებ ქვეყნად, შენს მაგიერ ხმალს ვინ აიღებს!
შენ გასაღებ სისხლს, ლიბერასტი რატომ გაიღებს!

რას შვრებით — სიმწრით თმას იგლეჯენ თქვენი დედანი
— გაგზარდე ბიჭად, რატომ უნდა გახდე ცვედანი!
გახსოვთ? გათხოვდა ჩოხოსანი ბიჭი ქართველი
გაქრა უკვალოდ, ვინ აუნთოს მის სულს სანთელი.

როცა პატრიარქს შეურაცხყოფს ვიღაც ჩათლახი,
შეუბრალებლად წელზე უნდა დაჰკრა მათრახი!
გახარიაში მოელანდა ვისაც ბერია,
დასტურ ვაცხადებ, ის სამშობლოს ჩუმი მტერია!

დუმს პარლამენტი, დუმს მთავრობა, დუმს ეკლესია,
სატანის მოდგმა ჩემს სამშობლოს შემოესია!

**ვლადიმერ ჟანტურიძე**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
http://www.saertogazeti.ge E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99